გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№70 (826) 24 – 25 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

**მხოლოდ 40 თეთრი**

## ბიძინა ივანიშვილი: „როგორც კი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, პოლიტიკიდან რამდენიმე დღეში წავალ!"

ვის ამზადებს ივანიშვილი პრემიერად



გვ. 3–4

## ლაშა მაქაცარია ყოფილ ნაციონალ გოჩა თევდორაძეს კორუფციაში ამხელს?!

იმერეთის ექსგუბერნატორი „ვერსიას" ექსკლუზიურ ინფორმაციებს აწვდის

გვ. 9



## „არ გამოვრიცხავ, მამაჩემი ვანო მერაბიშვილის სახლში „კოკა-კოლით" მოწამლეს!"

როგორ გადაიფორმა მომღერალ ნინო ჩხეიძის ქმარმა ბიზნესმენ ნოდარ საქუაშვილის ღვინის ქარხანა და რატომ ფიგურირებს საქუაშვილის საქმეში „ქართუ ბანკი"



გვ. 6–7

„თაკო სალაყაია ჩვენს ოჯახში წლების განმავლობაში დადიოდა, მას შემდეგ კი, რაც მამა ცუდად გახდა, სიარულს მოუხშირა, რათა გაეკონტროლებინა, ავადმყოფობა როგორ ვითარდებოდა".

საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ბიზნესმენის ქალიშვილი თაკო სალაყაიას დაჭერას ითხოვს?!

## გიორგი თარგამაძე საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის?!



„ქართულ ოცნებას" პრობლემები აქვს და „ცუდ პალასაზეა!"

გვ. 5

## გიორგი ვაშაძე, შეიძლება, ნაციონალებს გაემიჯნოს და პოლიტიკიდან წავიდეს



გვ. 4

## მითები ლუდის წარმოებაზე

რატომ ჰგონიათ ადამიანებს, რომ ბაზარზე დამკვიდრების შემდეგ, მწარმოებელი პროდუქციის ხარისხს გააფუჭებს

გვ. 11

## მარნეულის სასურსათო ქარხნისა და კულინარიის აკადემიის ერთობლივი პროექტი „მარგებელი კულინარია"

გადაუღე, აცვირთე და დაამტკიცე, რომ „ის" მარგებელია!

გვ. 11

დიტო გელოვანი

**...ვერ წაუვიდოდნენ, უმეტესობათაგანნი მაინც: ფეხისწვერებზე დიდხანს მოარულს და უკვე გადარჩენის იმედჩაღვრილს — უცებ, ანაზდად, ფერდში ქვემოდან ნაძგერები დანა... ტოტზე გაჭირვებით ამძვრალს, ზემო ტოტიდან — ყელში, მაჩტე... ხეს ამოფარებულს — თითქოსდა გადამრჩენელ ხეზე მილურსმული შუბი... წაკლული თანაკორპუსელის ხვედრით შეძრწუნებულ მორბენალს, უკან-უკან შიშით მზირალს — წინიდან, კეფაში, სენობიოს გამოჭედილი ხმალი... ტყიდან თავდაღწეულსა და გაკვირვებით მდგარს, ავი წინათგრძნობით გახევებულს — ყელზე ქამანდი და მერე სწორედ ცხენის სისწრაფით მიწაზე მწარე ხახუნით თრევა...**

***(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)***

# შესრულება ოთხი ფეხით

უუუხ, შენი გულისა!.. მაგრამ, ახლა 21-ე საუკუნეა და არც ქვეყანაა გამოგონილი, თუმცა საუკუნეს რა მნიშვნელობა აქვს? გაგება გაგებაა, გრძნობა — გრძნობა, ქვეყანა კი — ადამიანები. ქვეყანას გამოიგონებ, გრძნობებსა და ადამიანებს — ვერა. გრძნობები ყოველთვის ნამდვილია, მათი გამოხატვაა სხვადასხვანაირი, ხან ისეთი და ხან ასეთი, ბოლომდე და ნაწილობრივ, სრულად და ისე, გულს რომ დაგაკლდება — გინდა, რომ თქვა და გააკეთო, მაგრამ გამოხატვის თავისუფლების ერთგული დამცველები არ თვლემენ. ისინი მხოლოდ საკუთარ თავისუფლებას იცავენ, შენ კი მხოლოდ იმის თქმის საშუალებას გაძლევენ, რაც მათთვისაა სახეირო, ხეირისმომტანი, რაღა...

რა უნდა ვნახოთ და რისი ნახვა არ შეიძლება, რა უნდა ვთქვათ და რა არ უნდა ვახსენოთ, ვინ უნდა გვიყვარდეს და ვისი სიყვარულია აკრძალული, რა არის კორექტული და რა — პოლიტკორექტული და რომ „მამული, ენა, სარწმუნოება“ უსარგებლო გადმონაშთია, რადგან 21-ე საუკუნეში, გლობალიზაციის ეპოქაში, სამშობლოს სიყვარული ეროვნული უმცირესობების ჩაგვრას ნიშნავს, სარწმუნოების დაცვა — რელიგიური უმცირესობების უპატივცემულობას, ენა კი... ვინც მათი ენით არ მეტყველებს, ის მეტყველებს სიძულვილის ენით და არის არაპოლიტკორექტული.

ისინი ყველა ხელისუფლებაში იყვნენ, ახლაც არიან და ყოველთვის იქნებიან. განა არსებობს სადმე ისეთი სახლი, სადაც ვირთხა და ტარაკანა არ დარბოდეს? დარბიან და თან გენდერულ ბალანსსაც იცავენ.

მთავარია, ბალანსი იყოს, მაგრამ ბალანსსაც აქვს თავისი სტანდარტი, რომელსაც ვიღაც აწესებს და ვიღაც თამაშგარე მდგომარეობაში რჩება.

სამოქალაქო საზოგადოება... დღემდე ვერ მივმხვდარვარ, რას ნიშნავს. რადგან არსებობს სამოქალაქო საზოგადოება, ე.ი. არსებობს არასამოქალაქო საზოგადოებაც. არასამოქალაქო საზოგადოება სწავლობს, შრომობს, წვალობს, ოფლს ღვრის, შვილებს ზრდის... სამოქალაქო საზოგადოება არ სწავლობს, არ შრომობს, არ წვალობს. ისინი მხოლოდ სტანდარტებს აწესებენ — რა უნდა წაიკითხო, როგორ უნდა იმეტყველო, რა უნდა ნახო და რა არ უნდა გაივლო ფიქრად.

მე რა... სულ მარტოც რომ დავრჩე, მაგათ არ მოვეშვები, მაგრამ მოულოდნელი თანამებრძოლების გამოჩენა დიახაც, რომ მახარებს და მაკვირვებს კიდეც. თუ გასული კვირის ნიუსებიდან რომელიმეს გამოყოფა შეიძლება, ვფიქრობ, რომ ეს არის:

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, თინათინ ხიდაშელის განცხადებით, „აბსოლუტურად არ ესმის“ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტის, რომლებმაც შს სამინისტრო კადრების ნახვამდე დატოვეს. როგორც თინათინ ხიდაშელი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“, საკუთარ გვერდზე წერს, მას სურს, შეეხმიანოს „მის მეგობარ უფლებადამცველებს“, ვინც სხდომა დატოვა.

„მათ წინასწარ იცოდნენ, რომ კადრები უნდა ენახათ და წავიდნენ შეხვედრაზე. არ უნდოდათ ამ ვიდეოების ნახვა, ეს მათი ნებაა, ეს სამსახურია ასეთი, მეგობრებო, თქვენი ნებაყოფლობითი არჩევანია. როდესაც სახელმწიფო აწამებს, აუპატიურებს, სცემს, ეს თქვენ უნდა იცოდეთ, ეს უნდა მოიკვლიოთ, უნდა გამოიძიოთ, ამაზე პასუხისმგებლობისთვის უნდა იბრძოლოთ... აბსოლუტურად არ მესმის თქვენი პროტესტი. თუ ისედაც იცით და არ გჭირდებათ დარწმუნება, ეს სხვა საკითხია, ოღონდ ეს შესაბამისად უნდა ითქვას. შეხვედრა დატოვეთ. არაფერი გინახავთ, მერე კომენტარები გაკეთდა, მე არ მინახავს, მაგრამ მითხრეს, იდენტიფიცირებადი იყოო. მითხრესო?! „ასე მითხრეს“ არ არის სერიოზული. არ არის სერიოზული!!!! იმაზე უნდა წუხდეთ, რომ თქვენ არ გაგანდეს თავის დროზე ეს საშინელებები, თქვენამდე ვერ ან არ მოიტანეს. თუ არ გეცოდინებათ, თუ შესაძლებლობა გაქვთ და არ იყენებთ, რომ საკუთარი საქმე აკეთოთ, მაშინ ხვალ და ზეგ როგორ უნდა შეასრულოთ თქვენი ფუნქცია?! ისევ მითხრესო!!!!!“, — წერს თინათინ ხიდაშელი“.

დავბერდი კაცი და, მიჯრით დაწერილი ხუთი ცალი ძახილის ნიშანი არც მინახავს და არც გამიგია.

რა თქმა უნდა, ყველამ იცით, რაზეცაა ლაპარაკი — რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ცნობილი კადრების ყურებაზე უარი რომ თქვა და დარბაზი რომ დატოვა. „არასამთავრობო ორგანიზაცია“-მეთქი და, უფრო ზუსტი იქნებოდა, „მოთამაშე ერთი ადგილები“ რომ მეთქვა. ისე, ყველა მთავრობასთან ჩახუტებული ეს არასამთავრობო სექტორი, მთლიანობაში, ორად გაყოფილი ერთი ადგილია, პრესას დაგვიანებით და დაჭმუჭნულს ილებენ და ჯიუტად ცდილობენ, რომ თავშეყრის ადგილებში ექსკლუზიური ხმის უფლება მოიპოვონ. ოცი წელია, ამ ხმით იპყრობენ ყურადღებას, ოცი წელია, რაც ერთჯერადი ოცი ათასი ფულად არ მიაჩნიათ, ოცი წელია, ირწმუნებიან, რომ მათი მთავარი მიზანი არის სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება. ეს ოც-ოცი რომ შევკრიბოთ, იმდენს მივიღებთ, რომ მართლა გავოცდებით, მაგრამ ამ ოც წელიწადში, ამ ოც-ოცობით რაც მივიღეთ, ყველამ კარგად დავინახეთ და გასულ კვირაში წამებებსა და გაუპატიურებებში გამოჩხერილი ერთი ნიუსი ყველაფერზე ისე კარგად მეტყველებს, რომ, წაიკითხავ და მეტყველების უნარი დაგეკარგება — „გიგი უგულავას ადვოკატი დარწმუნებულია, რომ გამამართლებელ განაჩენს მიიღებს“.

მთელმა თბილისმა და მთელმა საქართველომ იცის, რომ გიგი უგულავას ადგილი ვირის აბანოშია, ადვოკატი კი დარწმუნებულია, რომ მის კლიენტს გაამართლებენ. აქ ორი მომენტია. ერთი ის, რომ სასამართლოა ასეთი, ხოლო მეორე ის, რომ ბრალდების მხარეა ისეთი. „მიგვაჩნია, რომ ბრალდების კუთხით საკმაოდ სუსტია საქმე, მათ არ აქვთ არგუმენტები და დარწმუნებულები ვართ, რომ გამამართლებელ განაჩენს მივიღებთ“, — უთქვამს უგულავას ადვოკატს.

დარწმუნებულია და, შეეკითხე თუ გინდა. იმ დღეს, მეცხრე არხზე, ბიზნეს-ომბუდსმენს ვუსმენდი და თუ იცით რა თქვა? რა და — ყველა საქმე დასკანალურად უნდა იქნას გამოძიებულიო. დასკანალურადო! ჰოდა, ეგეთი „დასკანალური“ მეოცნებე კვერცხებისა და ნანი-ნანატრი კვერცხუჯრედების შემხედვარე, ნელ-ნელა ვრწმუნდები, რომ სამართლიანობის აღსადგენად რაღაც სხვა არის საჭირო, ისეთი სხვა, რომელსაც ასეთ სასამართლოსთან, ისეთ პროკურატურასთან და ღრმად „დასკანალურ“ ოცნებასთან არაფერი ექნება საერთო.

ის კადრებიც ამიტომ იქნა ნაჩვენები და ამიტომაც იყო, ჩვენების წინ სწორედ იმ ხმებით გაიპარნენ დარბაზიდან ისინი, რომლებიც ამ ხმების ლეგიტიმაციას ცდილობენ — ასეთი ხმებით უნდა ვირჩევდეთ მომავალს და, ვთქვათ სიმართლე, ბევრჯერ აგვირჩევია ასეთი ხმებით და შედეგიც სახეზეა.

ვიცით, რომ სასამართლო გიგი უგულავას გაამართლებს. ალბათ. მაგრამ იმ კადრების ჩვენებას იმიტომაც ჰქონდა აზრი, რომ სასამართლომ უკვე იცის — სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს გამოუტანენ ადამიანები.

იქ ვიყავი და ვნახე. ბევრი წესიერი ადამიანი იყო და ნახეს. სადაც ვიქნებით, ყველას მოვუყვებით, რადგან ხალხი უნდა იცნობდეს თავის „გმირებს“, თუმცა იმასაც ყველგან ვყვები, როგორი ხმოვანი გაფორმება იკადრეს ე.წ. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა.

რატომ გვაჩვენებთო... მეც მაქვს კითხვა — რატომ არ ვაჩვენებთ სრულიად საქართველოს იმას, რაც დიპლომატიურმა კორპუსმა ნახა და შემდეგ ჟურნალისტებსაც გვაჩვენეს? „შოკირებული ვარ“ — უთქვამს ამერიკის ელჩს, ბ-ნ ნორლანდს, რომელსაც პირადად არ უნახავს, მაგრამ დეტალებში მოუყვნენ. ბევრს არ უნახავს პირადად, მაგრამ ყველამ დეტალებში უნდა იცოდეს. ვნახეთ, რათა მოგვეყოლა. ეს იყო და ეს.

თითქოს 26 მაისი არ ეყოფოდა იმას, რასაც პარლამენტი აპირებს — „პარლამენტმა ნაციონალური მოძრაობის 9-წლიან მმართველობას, შესაძლოა, პოლიტიკური შეფასება მისცეს“. და ვისთვისაც არც ეს არის საკმარისი და არც ის, მათთვის არის ეს ნიუსი: „შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღეს კიდევ 4 კასრი აღმოაჩინა, — ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გადაცემა „პოზიციაში“ სტუმრობისას განაცხადა. მისი თქმით, ეს ისევ სამეგრელოში იქნა ნაპოვნი, თუმცა ღარიბაშვილმა დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა. „აქ არის დოკუმენტები და ვიდეომასალები. დეტალური ინფორმაცია, სავარაუდოდ, ორშაბათისთვის იქნება“, — განაცხადა მინისტრმა.

ისე, ამდენი ვიდეომასალის განადგურებას სჯობს, სადმე ცხრაკლიტულში შევინახოთ. უფრო იაფი დაგვიჯდება. ერთი ათი წელი კიდევ, ახალი ელჩი რომ ჩამოვა და ვისაც საჭიროა, რწმუნებათა სიგელს რომ გადასცემს, უნდა დასვა და ეს კადრები აჩვენო. იმიტომ კი არა, რომ იცოდეს, ვინ არიან ნაციონალები, არამედ იმიტომ, რომ იცოდეს, რას უძლებდა ქართველი ხალხი მაშინ, როდესაც ბნელით მოცულ სააკაშვილს დასავლეთი დემოკრატიის შუქურას უწოდებდა.

ხალხი უნდა იცნობდეს თავის „გმირებს“, ხოლო სასამართლო უნდა იცნობდეს ხალხს, ხოლო ხალხმა მშვენივრად იცის, რომ იქ, სადაც არ არის სამართალი, არ არის მშვიდობა და ამ დროს, ყველაზე მისაღები ენა სწორედაც რომ, სიძულვილის ენა ხდება, რადგან ამ დროს, ამქვეყნად არსებულ ყველა რეაქციას შორის ყველაზე ზუსტი რეაქცია



სიძულვილია.

„სიბნელე ვერასოდეს გააჩერებს სინათლეს, რამდენიც უნდა ირბინო „ტაბურეტკებით“, რეალურად, ამით არ იცვლება ის, რომ ახალი პროგრესი, ტექნოლოგიები, იდეები, მათ შორის ისეთებიც, რომელიც შეიძლება არ მოგწონდეს, შემოვა“, — განაცხადა გასულ კვირაში მიხეილ გიულისა და თემურის ძემ.

ტაბურეტკაც რეაქციაა და მას ოთხი ფეხი აქვს. „ორ ნაწილად გაყოფილნი, ერთობოდნენ მაიმუნნი, მათი მერვედი კვადრატში, ლაღად ანცობდა ჭალაში...“ — კვადრატული განტოლებაა და ბოლომდე არ მახსოვს, სწორ პასუხს კი მით უმეტეს ვერ გავიხსენებ. ყოველ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ორად გაიყოფიან თუ ოთხად — ტაბურეტკას ოთხი ფეხი აქვს.

„შეუძლებელია, გულზე არ ვსკდებოდე, როცა კონგრესი ასეთ განცხადებას იღებს“, — თქვა გიულის ბიჭმა გასულ კვირაში და ეს სიტყვები — „გულზე ვსკდები“ — სხვა თემებთან დაკავშირებით რამდენჯერმე გაიმეორა.

ამ ქალაქში ყველაფერი დასწრებაზეა. გვარს არ დავასახელებ, მაგრამ სანამ გულზე გასკდებოდეს, ერთი სუბიექტი ნაკერავზე გახეთქვის ღირსია.

„საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა „დარღვევების ჩამდენი ორი მთავარი ფიგურა“ — ჩხატარაშვილი და ლევან ქარდავა დაასახელა. როგორც პრეზიდენტმა ვიდეომიმართვაში განაცხადა, კონკრეტულ სისტემას, დარღვევების ჩამდენებს აქვთ სახელი და გვარები“ — ეს ერთი და მეორეც: „შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბოლო დროს გავრცელებულ ფირებში, თუ ეს ფირები, რა თქმა უნდა, სიმართლეს შეესაბამება, არის ასახული ძალიან მძიმე დანაშაული და, რა თქმა უნდა, ამ დანაშაულის ჩამდენები უმკაცრესად უნდა დასაჯონ, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა საგანგებო ვიდეომიმართავში განაცხადა“.

აეწვა სატაბურეტკე ადგილი გიულის ბიჭს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ სწავლობს 2005-2012 წლებში პრეზიდენტის მიერ პირდაპირი განკარგვის წესით, კერძო პირებისთვის სიმბოლურ თანხად, 1 ლარად გადაცემულ ქონებას. დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა კერძო პირთა სია, რომლებსაც უსასყიდლოდ და ყოველგვარი საინვესტიციო პირობის გარეშე გადაეცათ ქონება. აღნიშნულ პირთა სიაში შედის პრეზიდენტის მიერ ხსენებული ლევან ქარდავა. 2011 წლის 16 ნოემბერს პრეზიდენტის 16/11/05 განკარგულებით, ლევან ქარდავას 1 ლარად გადაეცა 2501 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი კოჯორში (საკადასტრო კოდი: 81.01.06.325). აღნიშნული ქონება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ლევან ქარდავას სახელზეა რეგისტრირებული და მის თანამდებობრივ დეკლარაციაშიცაა აღნიშნული“.

ესეც — მესამე. მესამე და სამართალი, ოღონდ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, საქმეში ტაბურეტკის პირველივე ფეხი უნდა ჩაერთოს.

„არა მგონია, სააკაშვილი დააპატიმრონ. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ბევრი დაფარული ამბავი გამჟღავნდა და გასაჯაროვდა. მათ შორის, უამრავი თანხის გაფლანგვის ამბავი. ჩვენ დაინტერესებული ვართ, ვმართოთ უკეთესი ქვეყანა და წავიყვანოთ ის ნატო-სკენ, ევროკავშირისკენ, გადავჭრათ სოციალური პრობლემები, რადგან ქვეყანაში მოსახლეობის ნახევარი გაჭირვებულია. ასე რომ, ჩვენს ინტერესებში არ შედის ყოფილი ხელისუფლების წევრთა ბრალმდებლებად ყოფნა, მაგრამ, ამავდროულად, ჩვენ ქვეყნის სათავეში ვართ და უნდა აღვადგინოთ სამართლიანობა“, — ვკითხულობ უსუფაშვილის სიტყვებს და მინდა, რომ მას თინა ხიდაშელთან სრული კოჰაბიტაციისკენ მოვუწოდო.

ვისაც ნემსიც არ მოუპარავს, მას აქლემის ქურდობა დაბრალდა, ხოლო ვინც აქლემი მოიპარა, აქეთ უნდა გვმოძღვრავდეს, როგორც ვაშაძე („საქართველოს ეკონომიკური ვარდნა გრძელდება“), როგორც ჩიორა („ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ტესტი ვერ ჩააბარა“) და როგორც მანან-მანჯგალა („არ მოხდებოდა გენერალ ტიშკევიჩის ვადაზე ადრე გაწვევა, რომ არა დღევანდელი მთავრობის უპრინციპობა“). აქეთ უნდა ითხოვდნენ — „თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია ე.წ. უკანონო ჩანაწერებთან მისი სახელის დაკავშირების გამო, „უპასუხისმგებლო ადამიანებისა თუ გამომცემლობებისგან" ბოდიშის მოხდას ითხოვს“ და „ვანო მერაბიშვილს ტელევიზორს დღეს ან ხვალ შეუტანენ“.

ჰოოო... ნორლანდი შოკირებული იყო. ერთხელ მასაც ხომ უნდა გაუკვირდეს რაღაც, მაგრამ მას მხოლოდ ერთხელ გაუკვირდა, თვითონ კი, გვაკვირვებს და გვაკვირვებს. ა, ბატონო და თავად შეაფასეთ: „ტიტანურ ბრძოლაში, რომელიც იმართება ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის, ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სხვა პარტიებიც არსებობენ, — ამის შესახებ ჟურნალისტებს აშშ-ს ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ გიორგი თარგამაძესთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა. მისივე განმარტებით, მულტიპარტიული სისტემა დემოკრატიული საზოგადოებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი და სასიკეთოა. „ჩემთვის სასიამოვნო იყო გიორგი თარგამაძესთან შეხვედრა. მიმოვიხილეთ პარტიაში მიმდინარე მოვლენები“.

ქვეწარმავლების შემსწავლელ მეცნიერებას, თუ არ ვცდები, ჰისტოლოგია ეწოდება. ჰისტოლოგები უცნაური ხალხია — კაი ქალთან კოტრიალს, კაი ფეხბურთის ყურებასა და ლუდის სმას ისინი გველებთან ლაციცს ამჯობინებენ, ბუთქუნა ლეკვს გველის წიწილი ურჩევნიათ. უცნაური ხალხია დიპლ... უკაცრავად, ჰისტოლოგები.

ერთ უცნაურ სათაურს მოვკარი თვალი — „საქართველოს მოქალაქეები შტეფან ფულეს პეტიციას უგზავნიან“. საქართველოს მოქალაქეები, ანუ ბევრი მოქალაქე, რამდენიმე ასეული ათასი. ვენაცვალე რამდენიმე ასეულ ათას ქართველს!!! ალბათ, რაღაც ჯიგრული ეწერა და იმედია, ჩემს მაგივრადაც მოაწერეს ხელი. ნახეთ, როგორ ამაყად ჟღერს — საქართველოს მოქალაქეები!!!

სათაური, ემოციები... ახლა, პეტიციასაც გადავხედოთ: „...ჩვენ მივესალმებით ევროკავშირის განცხადებას 17 მაისთან დაკავშირებით, თუმცა მიგვაჩნია, რომ საქართველოში კანონის წინაშე თანასწორობისა და უმცირესობათა უფლებების დაცვა საჭიროებს ევროკავშირის მიერ უფრო აქტიურ მხარდაჭერას. გთხოვთ, საქართველოს ხელისუფლებას უფრო ნათლად განუმარტოთ, რომ უმცირესობების უფლებების დაცვა უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის, რომ საჭიროა, მთავრობამ უფრო კონკრეტული ნაბიჯები გადადგას ძალადობრივი დაჯგუფების იდენტიფიცირებისა და დასჯის კუთხით“.

აი, თქვენ კი მოგხვდათ არმაგედონის ზანგის! (მაგათთვის — ლოცვაა).

ხელმომწერი ოთხმოცი ყოფილა, სათაურიც მაგათი მოფიქრებული იქნება — „საქართველოს მოქალაქეები შტეფან ფულეს პეტიციას უგზავნიან“, მაგრამ ამ ნიუსს, სანამ გავრცელდებოდა, არავინ გადახედა, რომ „საქართველოს მოქალაქეები“ შეეცვალა და „მოქალაქეთა ჯგუფი“ დაეწერა?

რას იზამ, ხდება ხოლმე. სხვა დროს ყურადღებით იყავით, ძმებო, ინფორმირებულო აგენტებო.

სხვა დროს ყველანი ყურადღებით ვიყოთ. ტაბურეტკა მხოლოდ ერთია, სატაბურეტკე — ბევრი და ყველა — უსაქმური, უვიცი და უპასუხისმგებლო, ანუ ენჯეოშნიკი. არ გამოვრიცხავ, ბევრი ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდა ენჯეოშნიკობის მოკრძალებულ ხიბლს და ამიტომ გთავაზობთ ნიუსს ასეთი სათაურით — „გია ხუროშვილი არ გამორიცხავს, რომ ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის ტრენინგი თურქეთში ჩატარდეს“.

თუ იცით, რა ხდება? ხდება ერთი შეხედვით წარმოუდგენელი, მაგრამ ენჯეოშნიკისთვის ჩვეული და ყოველდღიური: „...გაჩნდა იდეა, რომ ამხანაგობების თავმჯდომარეებთან მომხდარიყო შეხვედრა და საჭიროებების ჩამოთვლა.

მისივე ინფორმაციით, გამგეობამ 813 ამხანაგობის თავმჯდომარეს ტრენინგის შესახებ ინფორმაცია გაუგზავნა. ხუროშვილის განცხადებით, მხოლოდ 300 ამხანაგობის თავმჯდომარე გამოეხმაურა, რის შემდეგაც, ტრენინგი დაიგეგმა...

*დასასრული მე-3 გვერდზე*

# ბიძინა ივანიშვილი: „როგორც კი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, პოლიტიკიდან რამდენიმე დღეში წავალ!“

**ესტონურმა გამოცემა Postimees-მა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუ გამოაქვეყნა.**

— **თქვენს წინაშე არსებული პრობლემები შეიძლება ასე განისაზღვროს: ჩატარდა არჩევნები, ქვეყანას ჰყავს ახალი მთავრობა, რომელიც მწვავედ გრძნობს რაღაც ისეთის გაკეთების აუცილებლობას, რასაც საქართველოში „სამართლიანობის აღდგენას“ უწოდებენ. ამავდროულად, ევროკავშირისა და აშშ-დან ისმის კრიტიკა, რომ ვანო მერაბიშვილისა და ყოფილი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების დაკავება პოლიტიკური მოტივებითაა განპირობებული და დემოკრატიის პრინციპებს არღვევს. საქმე გაუგებრობასთან ხომ არ გვაქვს?**

— კარგად აღწერეთ საქმის არსი. ზოგიერთები მოითხოვენ სამართლიანობას, მეორენი კი კითხულობენ, ხომ არ მიმდინარეობს პოლიტიკური მოტივებით დევნა. ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად ავხსნათ, რა ხდება. ევროპის სახალხო პარტიის წევრთა ნაწილმა რეალური პრობლემა შექმნა. სამწუხაროა, რომ ევროპის ყველაზე დიდ პარტიაში, რომლის მიმართაც ჩვენ ღრმა პატივისცემა გვაქვს, არიან წევრები, რომლებიც მხოლოდ ერთ მხარეს უსმენენ. ეს უცნაურია. მათ მეორე მხარის მოსმენა, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ფაქტების გაანალიზება არ სურთ. ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ ევროპულ ფასეულობებს, ესაა სამართლიანობა, ადამიანის უფლებები, ობიექტურობა და ა.შ. ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთი წევრი ამ ფასეულობებს არ აღიარებს, მიუხედავად იმისა, რომ საუბარია ევროპულ პარტიაზე და ისინი ევროპაში ცხოვრობენ.

ჩვენ ვაგრძელებთ ახალი ფაქტების წარმოდგენას და დარწმუნებას. ორი დღის წინ, პოლიციამ წინა ხელისუფლების დანაშაულებრივი ძალადობის შესახებ ახალი ფაქტები გამოავლინა. ვახსენებ კრიტიკოსებს, გაიხსენეთ, რა უქნეს კონსტიტუციას. ჩვენ ამის მონაწილეები არ ვართ, პრეზიდენტს დიქტატორული ძალაუფლება ჩვენი ნებით არ გასჩენია. მან პარლამენტის სრული იგნორირება მოახდინა. არსებობს რიგი ფაქტები, რომელიც ჩემს მთავრობაზე აბსოლუტურად არაა დამოკიდებული: სასამართლოზე ზეწოლა, ჩანაწერები, რომელიც მოწმობს, რომ ერთი ახალგაზრდა კაცის (სანდრო გირგვლიანი) მკვლელობის საქმის გამოძიების ნებართვა პრეზიდენტის დონეზე არ იყო გაცემული. ეს არის მესამე ბრალდება, რომელსაც ვანო მერაბიშვილს უახლოეს დღეებში წაუყენებენ.

ევროპის სახალხო პარტიის რიგი წევრები ძალიან მაგონებენ მათ პარტნიორებს საქართველოს ნაციონალური მოძრაობიდან, როდესაც გულმოდგინედ ცდილობენ, ქართველ ხალხს დაუმტკიცონ, რომ შავი თეთრია, თეთრი კი — შავი. ევროპელი პოლიტიკოსების ნაწილს ამ იდეოლოგიის სჯერა. მსგავსი რამ მოხდა აშშ-შიც, როდესაც კონგრესის ერთ-ერთმა კომისიამ ერთ ღამეში შეიცვალა პოზიცია და დაიწყო იმის მტკიცება, რომ საქართველოში პოლიტიკური დევნა ხორციელდება, თუმცა აღვნიშნავ, რომ ეს ჯერ კიდევ მთელი კონგრესი არ არის. შევხვდი აშშ-ს ელჩს და დავრწმუნდით, რომ კონგრესი მსგავს შეფასებას არ მისცემს. გარკვეული ამერიკელი კონგრესმენები ვერ პოულობენ დროს, საქართველოში არსებულ ვითარებას თვალი გადაავლონ და ცალმხრივი ინფორმაციით ხელმძღვანელობენ. ხელისუფლება 9 წლის განმავლობაში, ლობირებით იყო დაკავებული. მათ კარგი სპეციალისტები ჰყავთ.

შეიძლება გვკითხონ, რატომ არ ვცდილობთ ამ პიარის დაბალანსებას. არ შეგვიძლია, მთელი ხელისუფლება პიარზე გადავისროლოთ. ჩვენი ყურადღება მიმართულია ეკონომიკისა და სახელმწიფოსკენ და არა იმაზე, როგორ დავარწმუნოთ ევროპა ან აშშ, თუმცა ვიმედოვნებთ, დროთა განმავლობაში ყველაფერი შეიცვლება.

— **თქვენ ზოგადად უპასუხეთ ჩემს კითხვას, თუმცა მაინც მინდა, რამდენიმე თემას ჩავუღრმავდე. მახსოვს, საზოგადოების მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენის შესახებ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის შემდეგ, თუმცა დასავლეთის ნაწილის შეშფოთება იმაში გამოიხატება, რომ თუ სამართლიანობას ყველაფერზე მაღლა დააყენებ, ამით დემოკრატია დაზარალდება. გესმით დასავლეთის შეშფოთება — დემოკრატია ოპოზიციის გარეშე, ვერ იფუნქციონირებს.**

— გეთანხმებით. თუ მხოლოდ იმას გავაკეთებთ, რასაც ხალხი მოითხოვს, ამას დასასრული არასოდეს ექნება. ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ხშირად ხდებოდა და ამასთან ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელია დაკავშირებული. ამიტომ მოვამზადეთ ამნისტია, თუმცა მას პრეზიდენტმა ბოიკოტი გამოუცხადა და მოითხოვა, ამნისტირებულიყო უკლებლივ ყველა, მისით დაწყებული, თუმცა ეს აბსოლუტურად შეუძლებელია.

ამის მიუხედავად, მოვამზადეთ ამნისტია საშუალო და დაბალი დონის ჩინოვნიკებისთვის, რომლებიც ბრძანებების შესრულების დროს ხშირად არღვევდნენ კანონს. პროკურატურაში ამასთან დაკავშირებით 6 ათასზე მეტი საჩივარია შესული. დაკავებულნი არიან მხოლოდ გარკვეული პირები, არც ისეთი დიდი ოდენობაა, როგორც ამტკიცებენ, თუმცა ალბათ, ეს არაა ის, რის შესახებაც მეკითხებით...

— **ნამდვილად მქონდა უფრო კონკრეტული კითხვა, რომელიც უკავშირდება ნაციონალურ მოძრაობას, როგორც ოპოზიციას...**

**— დიახ, ოპოზიციის გარეშე დემოკრატია არ შეიძლება იყოს, ეს კარგად ვიცით. ნაკლებსავარაუდოა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა კონსტრუქციულ ოპოზიციად გადაიქცეს, ისინი გარკვეული პერიოდი შეასრულებენ ამ როლს. ოპოზიციის განადგურებას არავინ აპირებს, როგორც ამას სააკაშვილი ამტკიცებს. ისინი თავად აყენებენ ზიანს საკუთარი საქმიანობით პარტიას და მომხდარისგან დასკვნა ვერაფრით გამოიტანეს. ისინი კვლავინდებურად დაჟინებით ამტკიცებენ, რომ თეთრი შავია და შავი თეთრი. თუ მათ მაინც არ შეუძლიათ, ოპოზიციის ნიშა დაიკავონ, ასეთი შემთხვევისთვის ჩვენ გვაქვს თადარიგი თავად სახელისუფლებო კოალიციაში, რომელიც 6 პარტიისგან შედგება. ძალიან მინდა, რომ დასრულდეს სიტუაცია, როდესაც 20 წლის განმავლობაში ოპოზიცია არ იყო.**

— **საქართველოში ხელისუფლების შეცვლასთან ერთად, ჯერ კიდევ მოქმედებს პრინციპი — „გამარჯვებულს რჩება ყველაფერი“. მაგალითად, სააკაშვილის დროს ნაციონალური მოძრაობა იყო ხელისუფლებაში და უკლებლივ ყველა ადგილობრივ თვითმმართველობაში. ოდნავ პარადოქსულია, რომ თქვენ სააკაშვილი დემოკრატ ლიდერად აქციეთ იმით, რომ მან არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაზე უარი თქვა. მზად ხართ იმისთვის, რომ მომდევნო ან შემდეგ არჩევნებზე ვინმე ხელისუფლებას ჩამოგართმევთ?**

**— პოლიტიკიდან წასვლას მალე ვაპირებ. როგორც კი სააკაშვილი გადადგება და ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, დავრჩები არაუმეტეს რამდენიმე დღისა. ჩვენ კარგი გუნდი გვყავს, ჩვენს შორის არჩეული იქნება ძალიან საინტერესო პრეზიდენტი, გვყავს პარლამენტის ძალიან კარგი სპიკერი და მაქვს იდეა იმასთან დაკავშირებით, ვინ შეიძლება, ჩემი ადგილი დაიკავოს. არ მსურს და ეს საქართველოში პოლიტიკისთვისაც ძალიან ცუდი იქნება, ფსონი მუდმივად ერთ ადამიანზე კეთდებოდეს. ზემოაღნიშნული სამი თანამდებობის გარდა, მჯერა, ყველა მათგანი სუფთა ადამიანად, დემოკრატად დარჩება. აუცილებელია ასევე, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, თავისუფალი მედია. ახალი სისხლია საჭირო.**

— **როგორც ჩანს, რთული სამუშაო იქნება. საქართველოში არსებული ვითარება მაგონებს ქანქარას, რომელიც სააკაშვილმა ბოლო წერტილამდე მიიყვანა და ახლა ცენტრისკენ ბრუნდება...**

— მართალი ხართ...

— **მაგრამ როგორ შეაჩერებთ ქანქარას?**

— ვფიქრობ, ის მეტად აღარ იმოძრავებს. ცუდს არავის ვუსურვებ, არენიდან მალე გავალ, ცუდს არ ვიმახსოვრებ. წარსულში სააკაშვილს ბევრჯერ დავეხმარე, რჩევებს ვაძლევდი, არ მინდა, ცუდად დაასრულოს. უფრო მეტად, მინდა, კვლავ დადგეს ფეხზე, თუმცა, სამწუხაროდ, მეჩვენება, რომ როგორც ბოლო 9 წელი გაატარა, ისევე მოიქცევა მომავალშიც. არ მჯერა, რომ ამის გადალახვას შეძლებს.

— **ინგლისელებს აქვთ ანდაზა, რომ სამართლიანობამ არა უბრალოდ უნდა იზეიმოს, არამედ უნდა იზეიმოს საჯაროდ. შეგიძლიათ გვითხრათ, რა იქნება მერაბიშვილისა და სხვათა საქმეზე?**

— როგორც თქვით, სამართლიანობა უნდა გამოჩნდეს. ქართველი ხალხი უფრო მეტს მოითხოვს. პრობლემები, სამწუხაროდ, რიგ ადამიანებს ევროპასა და ამერიკაშიც აქვთ. შეხვედრების დროს ოფიციალურად შევთავაზე, რომ პირადად დავაფინანსებ აქ ნებისმიერი მოცულობის დამკვირვებლებს, გამოგზავნონ მეტი მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებლები და ყველამ საკუთარი თვალით ნახოს, ყველაფერი ისე მიდის თუ არა, როგორც უნდა მიდიოდეს.

— **აღნიშნეთ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ლობირების კუთხით დიდი მუშაობა გასწია. თანხის ოდენობა ზუსტად არ მახსოვს, თუმცა საუბარია მილიონებზე, რომელიც არჩევნების წინ დაიხარჯა. მახსოვს, რომ გამოძიება მიმდინარეობს. შედეგები თუ გამოქვეყნდება?**

— ყველაფერი გასაჯაროვდება. ჯერ კიდევ 2012 წელს, მათ ლობირებაში 26,5 მლნ ლარი დახარჯეს. ფინანსთა სამინისტრო 3-4 თვე მუშაობდა, რომ ხარჯებზე გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნა. რა არის დასამალი? — ჩვენი მთავრობა თვეში 40 ათასს ლარს ხარჯავს და ყველაფერი ინტერნეტში, ჩვენს ვებგვერდზეა. ნაციონალური მოძრაობის სახსრები კვლავინდებურად ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ მუშაობს. ახლა ამით პროკურატურაა დაკავებული, იქ საშინელი რამაა: ზოგიერთი ელჩი თვეში იღებდა 3-4 ათასს ნაღდ ფულს.

— **როგორც ესტონელმა, მინდა ესტონეთზეც გკითხოთ: რას ფიქრობთ ამ ყველაფერში ესტონეთის მონაწილეობაზე?**

— უჭერდა თუ არა ესტონეთი მხარს სააკაშვილს? — ვვარაუდობ, რომ ესტონეთი ჩვენს ქვეყანას უჭერდა მხარს. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სააკაშვილი კვლავინდებურად უყვართ, თუმცა ეს ტრაგედია არაა. ეს ნორმალურია. თქვენი ქვეყანა ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე ევროპული წევრია. შევხვდი თქვენს პრეზიდენტს, მივიღე ესტონეთში სტუმრობის მიწვევა. ვიცნობ საგარეო საქმეთა მინისტრს. თქვენი ქვეყანა ბევრ რამეში დაგვეხმარა და კვლავინდებურად გვეხმარება.

დასასრული მე-4 გვერდზე



ვის ამზადებს ივანიშვილი პრემიერად

## ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

# შესრულება ოთხი ფეხით

*მე-2 გვერდიდან*

ხუროშვილის ინფორმაციით, ტრენინგის თითოეულ მონაწილეზე, სამი დღის განმავლობაში, დღეში 200 ლარი გამოიყოფა, რაც სასტუმროში დაბინავებას, კვებასა და სხვა მომსახურებასაც გულისხმობს. მისივე თქმით, ტენდერის პირობებში წერია, რომ სემინარის გამართვის ადგილი თბილისიდან მინიმუმ 70კმ-ით უნდა იყოს დაშორებული... ხუროშვილის განცხადებით, ეს შეიძლება იყოს როგორც ბაზალეთი, ისე კაჭრეთი და ბორჯომი. საბურთალოს რაიონის გამგებლის განმარტებით, ადგილმდებარეობის განსაზღვრა დამოკიდებული იქნება შეთავაზების პირობაზე. ხუროშვილი არ გამორიცხავს, რომ ტრენინგი თურქეთში ჩატარდეს... გია ხუროშვილი უარყოფს ინფორმაციას, რომ საბურთალოს რაიონის გამგეობა ორგანიზებულ დასასვენებელ ტურს გეგმავდა. საბურთალოს რაიონის გამგეობა ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის სემინარ-ტრენინგის ჩასატარებლად 180 000 ლარის დახარჯვას გეგმავს“.

არა მგონია, კომენტარი ზედმეტი იყოს, უნდა იყოს, მაგრამ რაც შეიძლება მოკლე. მაგალითად ასე — „თქვენ კი მოგხვდათ...“

ეს ყველაფერი არის მიშა. რა ვუყოთ მიშას? უსუფაშვილი ფიქრობს, რომ მიშას არავინ დააპატიმრებს. ასეთი სასამართლოსა და ისეთი პროკურატურის პირობებში — კი, მაგრამ ხომ არსებობს სხვაც — არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ...

**ი.ა.ჯ. (იქნებ ასე ჯობდეს)** „ახლა რომ მოგკლა, შური ვიძიო... — მშვიდად სუნთქავდა — ჩემდაუნებურად, ჩემიანებთან გაგატოლებ ამით... ამის ღირსი კი, მასიმო, არ ხარ“. ვერაფერს მიხვდა ჩვიდმეტმეთაური, თავზარდაცემული შესცქეროდა. „ისევე მორმა ზლოს, ის მირჩევნია...“ — ჩაილაპარაკა სანტოსმა; დაფიქრებულმა, ერთიც ახედ-დახედა მერე, შეაბრუნა და პანღურიც კი არ ამოურტყამს, ოდნავ უბიძგა, უთხრა: „ახლა კი გიშვებ, როგორც ნაბიჭვარს. წადი“.

*(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)*



# გიორგი ვაშაძე, შეიძლება, ნაციონალებს გაემიჯნოს და პოლიტიკიდან წავიდეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ვიდრე პრემიერი ივანიშვილი შს სამინისტროს მიერ უკანონო ჩანაწერების განადგურების გადადებას „გაგებით ეკიდება“, ნაციონალური მოძრაობა გამოძიების პროცესის ხელოვნურად გაწელვას გაუგებრად მიიჩნევს და ნაციონალებში დამნაშავეებს ემიჯნება. ამასთან, ყოფილი მმართველი გუნდი საპრეზიდენტო კანდიდატურის გამოსავლენად პრაიმერისთვის მზადებას 24 ივნისიდან დაიწყებს. „ვერსია“ ნაციონალ დეპუტატ გიორგი ვაშაძეს ესაუბრა.**

— ყველაზე დიდი ანტისაოცნებო მოძრაობა თავად „ქართული ოცნების“ ქმედებები და ნაბიჯებია. სასაცილოა მათი მიდგომა აშშ-ს კონგრესის რეზოლუციის მიმართ, ის კიდევ უფრო სასაცილოა, თუ ნაციონალების მიერ 300-ზე მეტი კონგრესმენის მოსყიდვა რეალურად მიაჩნიათ! ჩემი აზრით, ახლა საერთაშორისო იზოლაციის გზით მივდივართ! ვფიქრობ, ეს „ოცნებაში“ რაღაც გარკვეული ჯგუფის სტრატეგიაა და ამ ჯგუფს მთელი პოლიტიკური სპექტრის უაზრო თამაშში შეყვანა სურს.

**— გახსენით ფრჩხილები — რომელია ეს ჯგუფი?**

— ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ჩარევის გარეშე არაფერი ხდება. რომელი ძალაა უშუალო კონტაქტში რუსეთთან, სამწუხაროდ, ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს, თორემ აუცილებლად გეტყოდით, თუმცა არ მგონია, ეს „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ იყვნენ. ისიც ვაღიაროთ, რომ პარლამენტში ძალიან ბევრია შემთხვევით მოხვედრილი.

**— დაასახელეთ გვარები: ვინ არის შემთხვევით მოხვედრილი, ვინ თანამშრომლობს რუსეთთან?**

— ვიღაც რომ თანამშრომლობს რუსეთის სპეცსამსახურებთან, ცხადია! რუსეთს პირდაპირი სტრატეგია აქვს — დაასუსტოს ქვეყანა და დაქსაქსოს პოლიტიკური ძალები საქართველოში. შესაბამისად, ახლა გვაქვს კატასტროფული, ქაოტური ვითარება. ქვეყანაში ადამიანი არ მეგულება, ვისაც ხვალინდელი დღის შიში არ აქვს. ყველამ, ვინც ამ სტატიას წაიკითხავს, ერთი კითხვა დასვას — ვიცით, რა იქნება ხვალ?!

**— ანუ არ იცით, ხვალ რომელ ნაციონალს დაიჭერენ?**

— დიახ, არ ვიცით, ვის დაიჭერენ და არც ის ვიცით, სად იქნება ერთ წელიწადში ქვეყანა.

**— ეკა ბესელია ბრალს გდებთ, რომ ევროპარლამენტის სესიებზე ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი პიარკამპანიის დაწყებას აპირებთ...**

— ახლა ნატო-ს მინისტერიალიც იქნება, ჩვენ კი ყველა საერთაშორისო შეხვედრაზე, სადაც საშუალება გვექნება, ხაზს გავუსვამთ ქვეყნის კურსს და ვეცდებით, შევინარჩუნოთ გზა ნატო-სკენ! ყველა შეხვედრაზე ისედაც იმას ვამბობთ, რომ ქვეყანაში არსებული ქაოსის შესაჩერებლად, საქართველოს ინტეგრაცია ნატო-სა და ევროკავშირში უნდა დაჩქარდეს. რაც შეეხება კონკრეტული დევნის ფაქტებს, ყველაფერს, რა თქმა უნდა, დავაფიქსირებთ. სწორედ მსოფლიოს აქტიური ჩარევა გააჩერებს ჩვენს წინააღმდეგ დაწყებულ პოლიტიკურ დევნას — გავამახვილებთ ყურადღებას უკანონო, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებებზე, თვითმმართველობებში მიმდინარე პროცესებზე...

**— ვანო მერაბიშვილზეც იქნება საუბარი?**

— რა თქმა უნდა! ძალიან მინდა, 26 მაისისა და გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით ყველა კითხვას პასუხი გაეცეს. თუ ჩვენი გუნდიდან, ნაციონალური მოძრაობიდან ვინმე რამენაირად ჩართული იყო ამ დანაშაულში, პასუხი კანონის სრული სიმკაცრით უნდა აგოს, თუმცა მერაბიშვილის ციხეში ჯდომა ამ გამოძიების ბოლომდე სულაც არაა აუცილებელი.

**— მერაბიშვილი ციხიდან რომ გამოუშვან, ხომ შეიძლება, ზურაბ ადეიშვილივით გაიქცეს?**

— მერაბიშვილს გაქცევა რომ ნდომებოდა, აქამდეც გაიქცეოდა.

**— მერაბიშვილის თემის საპირწონედ, „ოცნება“ ევროპარლამენტს სამეგრელოში ნაპოვნ კადრებს აჩვენებს. ეს თქვენს იმიჯს არ შელახავს?**

— ღიად ვაცხადებ: „ოცნების“ ინტერესებში არ შედის, გამოიძიოს და წერტილი დაუსვას კადრების თემას! პირიქით, ის ცდილობს, ეს პროცესი გაახანგრძლივოს. ნახეთ, როგორ დადიან და რაღაც შოუებს აწყობენ: ფირს ხან ერთ ჯგუფს აჩვენებს, ხან — მეორეს, ახლა თქვეს, პარლამენტში მოვიტანთო. ჰოდა, თუ უკვე 10 000-მა კაცმა ნახა, გასაჯაროება მეტი რაღაა?! მერწმუნეთ, ჩვენ უფრო გვინდა, გამოძიება დასრულდეს და „ოცნებამ“ დამნაშავეები დაასახელოს, მაგრამ მათ არ აწყობთ კონკრეტული გვარების გამოკვეთა. ჩვენ ვამბობთ: ვინც დამნაშავეა, დაისაჯოს! ხოლო თუ „ოცნება“ ამ დამნაშავეებს გამოკვეთს, გამოდის, მთელი ნაციონალური მოძრაობა დასაჭერი ყოფილა! ეს კი მათ ხელს არ აძლევთ!

**— და თქვენ გაწყობთ, სისტემის ყველა პირველი პირი დაიჭირონ?!**

— რა მაწყობს და რა არა, აქ ამაზე არაა საუბარი.

**თუ ადამიანმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, პასუხიც უნდა აგოს — არ მაინტერესებს, ეს ადამიანი ნაციონალურ მოძრაობაშია თუ „ქართულ ოცნებაში“. თუ ჩემს გვერდით დამნაშავე დადის, ის უნდა დაისაჯოს! ჩემი მიზანი გამოძიების მალე დასრულებაა. ზუსტად ამიტომ არ მოგვყვება ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექნაზე — მას არ სურს დამნაშავეების პოვნა. მზად ვარ, ბოლომდე ვიმუშაო, რომ ყველა დამნაშავე გამოვლინდეს და, ბოლოს და ბოლოს, მზად ვარ, პოლიტიკიდან საერთოდ წავიდე. ჩემი თვითმიზანი პოლიტიკაში ყოფნა არ არის!**

**— ჯერ ახლა მოხვედით პოლიტიკაში და უკვე გარბიხართ?**

— არსადაც არ გავრბივარ. უბრალოდ, იმას ვამბობ, რომ ხალხი გამუდმებულ დაძაბულობაში ცხოვრობს და ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ეს 8-9-თვიანი გამოძიებებიც პასუხს არაფერს სცემს. ეს კი ხელს მხოლოდ იმ აგენტურულ ქსელებსა და ძალებს აძლევს, რომლებიც საქართველოში რუსეთის დავალებით მოქმედებენ და ერთი მიზანი აქვთ — ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს.

**ამ კადრების მიმართაც ვერ გავიგე ხელისუფლების დამოკიდებულება: ფირებს ხან ანადგურებს, ხან — არა, მერე ისევ ვიღაც მივარდება შსს-ში, დაიყვირებს, კადრები არ უნდა განადგურდესო! მთელი ამ მოქმედებების მიზანი კი ნაციონალური მოძრაობის განადგურებაა, ხოლო სტრატეგიად ამ თემების მუდმივად ტრიალია შემუშავებული! პირადად მე, გიორგი ვაშაძეს მინდა, წერტილი დაესვას გირგვლიანის, რობაქიძის, 26 მაისის, ვიდეოკადრებს, წამების საქმეებს და ყველა დამნაშავე გამოვლინდეს!**

**— ახლა ჰკითხეთ მერაბიშვილსა და ადეიშვილს — უნდათ იგივე?**

— არ მაინტერესებს, ვის რა უნდა. არც ის მაინტერესებს, ჩვენს გუნდში, შიგნით, ამის წინააღმდეგ ვინ წავა! ჩემს აზრს ვამბობ და ამ პარტიაში დღეს იმიტომ ვარ, რომ ადამიანების დიდი ჯგუფი სწორედ ამ აზრზეა. თუ დავინახავ, რომ მარტო აღმოვჩნდები, პარტიას იმავე დღეს დავტოვებ!

**— და „ქართულ ოცნებაში“ გადახვალთ?**

— არა, მანდ არა! საერთოდ, ვფიქრობ, ეს კადრები და ფირები ბოლო არ არის, პირდაპირ ვამბობ: ახალ გააქტიურებას სექტემბერში ველოდებით!

**— დააკონკრეტეთ!**

— მათი ზუსტი ჩანაფიქრი გაურკვეველია.

**არ ვიცი, ეს ისევ კადრები იქნება თუ სხვა რამ, მაგრამ პირობითად, მათ შენახული აქვთ იარაღი, რომელსაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ „გაისვრიან“! „ოცნების“ მთელი ეს მოქმედებები დასავლური ანალიტიკური ჯგუფების წინასაარჩევნო ნამუშევარი არ არის, ეს რუსული სპეცსამსახურების მიერ გაანალიზებული პროცესებია, როცა ხალხის ფსიქოლოგიაზე ზეგავლენა ნეგატივით ხდება! ფაქტია, 8 თვის წინ, ახალმა ხელისუფლებამ ნაძირლებისგან გადაიბარა ეს კადრები და დღეს მათ თავადაც ძალიან კარგად იყენებს! დარწმუნებული ვარ, „ოცნება“ ამ კადრებს არ გაანადგურებს და ხალხის შანტაჟს გააგრძელებს!**

**— ეს 12 888 ჩანაწერი ხომ ზუსტად მაშინაა „გაკეთებული“, როცა ყველა შესაბამის უწყებას თქვენი თანაგუნდელები მართავდნენ...**

— ჩემი თანაგუნდელი იყო ის, ვინც იუსტიციის სამინისტროში მუშაობდა! მე ამ გუნდში, ნაციონალებთან, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე შემოვედი. იმ კონკრეტულ პირებს, ვინც ამ უკანონობით იყო დაკავებული, საერთოდ არ ვიცნობ და ისიც არ ვიცი, ამას ვინ აკეთებდა!

**— ისე ლაპარაკობთ, თითქოს ნაცმოძრაობის ცოდვებს ემიჯნებით!**

— მე ნაციონალების ცოდვებს კი არა, კონკრეტული ადამიანების დანაშაულებრივ საქმიანობას ვემიჯნები!

**— დაბოლოს, რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, პრაიმერში ასაკის გამო ვერ მონაწილეობთ, მერაბიშვილი — ციხეში ყოფნის. ბაქრაძე ამბობს, რომ პრეზიდენტობა არ სურს, არც უგულავა გეგმავს გადადგომას და ვინღა დაგრჩათ?**

— გეტყვით იმას, რომ პრაიმერი 24 ივნისიდან დაიწყება. ვიცი, პრაიმერში მონაწილეობას მიიღებს დავით ბაქრაძე, გიორგი ბარამიძე და ზურაბ ჯაფარიძე. გეტყვით იმასაც, რომ სხვა ლიდერის, იგივე გოკა გაბაშვილის პრაიმერში მონაწილეობის საკითხი საერთოდ არ დასმულა. დანარჩენს კი უახლოეს მომავალში, ყველანი ერთად ვნახავთ.

# ბიძინა ივანიშვილი: „როგორც კი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, პოლიტიკიდან რამდენიმე დღეში წავალ!“

*მე-3 გვერდიდან*

თქვენს პრეზიდენტთან ურთიერთობა პირველ დღეს, გარკვეულწილად, დაძაბული იყო, თუმცა მან ყველაფერი გაიგო და როდესაც გაიგო, გულახდილად თქვა, რომ მნიშვნელოვანი სახელები არ არის, სააკაშვილი ან ივანიშვილი, ესტონეთი საქართველოს უჭერს მხარს და სტუმრად მიმიწვია. ვუთხარი, რომ სექტემბერში სიამოვნებით ვესტუმრები. მინდა, მადლობა გადავუხადო ესტონეთს, რომ მრავალი წლის განმავლობაში მხარს უჭერდა საქართველოში დემოკრატიულ ინსტიტუტებს.

**— გულწრფელობისთვის დიდი მადლობა, თუმცა თქვენთვის ცნობილია, რომ შარშან სექტემბერში, არჩევნების წინ, ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა Wall Street Journal-ის ფურცლებზე, პრაქტიკულად, პუტინის თანამზრახველი გიწოდათ?**

— შემიძლია განვმარტო: ვფიქრობ, ევროპის სახალხო პარტია ადამიანებზე სულელურ ზეგავლენას ახდენს. ის ხომ ევროპის სახალხო პარტიის წევრია, ასე არ არის? დღემდე ამ პარტიის ნაწილი, მაგრამ არა მთელი პარტია, პატივს სცემს კორპორატიულ და არა დემოკრატიულ ინტერესებს. ვიმედოვნებ, მომავალში ვითარება შეიცვლება. ადეკვატური ინფორმაცია მათთანაც მიაღწევს. თქვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ამიხსნა, რომ ეს ხელისუფლების მოსაზრება არ იყო.

**— ამბობთ, რომ პოლიტიკიდან მალე წახვალთ, თუ წარმოგიდგენიათ, როგორი იქნება საქართველო ოცი წლის შემდეგ?**

— ჩვენ 20 წლის განმავლობაში ერთ ადგილს ვტკეპნიდით. მინდა, საქართველო მომავალი 20 წლის შემდეგ ტიპური ევროპული საზოგადოება გახდეს, რომ ევროპული ხელისუფლება კი არ იყოს, არამედ თავად საზოგადოება. ესაა ჩემი ოცნება, ჩვენი მოძრაობის სახელწოდება. საზოგადოებამ ხელისუფლების უკეთ გაკონტროლება უნდა ისწავლოს.

**— რამდენად შორს შეგიძლიათ წახვიდეთ იმისთვის, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდეს?**

— ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხია, ევროკავშირი და ნატო... არჩევანი გააკეთა არა სააკაშვილმა ან მე, არამედ ქართველმა ხალხმა. ამ არჩევანის შეცვლა არც ერთ ლიდერს არ შეუძლია. ჩვენ გვსურს ნატო-ში, გვსურს რუსეთთან ურთიერთობის დამყარება და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება. ეს ყველაფერი დროს მოითხოვს. სამწუხაროდ, სააკაშვილმა კუთხეში მიგვიმწყვდია. ავიღოთ ბალტიისპირეთის მაგალითი: მოეწონა რუსეთს, როდესაც თქვენ ნატო-ში გაწევრიანდით? ურთიერთობები დაზარალდა, თუმცა ახლა მეტ-ნაკლებად არსებობს. გაგვიჭირდება და დიდი დრო დაგვჭირდება.

**— დიდი ხნის განმავლობაში მხარს უჭერდით სააკაშვილს, ყოველ შემთხვევაში, ფინანსურად. რა მოხდა?**

— პირველი სამი წელი მას ნამდვილად ვუჭერდი მხარს. იმ ფონდების მეშვეობით, რომლებიც არ იყო ჩემს სახელთან დაკავშირებული, ვაფინანსებდი ჯარისკაცებისთვის ყაზარმების მშენებლობას, პოლიციის რეფორმირებას, ციხეების, საბაჟოს და ა.შ. ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი კორუფციისგან გათავისუფლება, ინსტიტუტების შექმნაა. დავტოვე, რადგან სააკაშვილმა დემოკრატიას ზურგი აქცია. ყოველ ჯერზე, როცა ამბობდა: „მე შენი ძალიან მადლიერი ვარ“, ვპასუხობდი: „მიშა, მე შენ არ გეხმარები, ეს ყოველთვის გახსოვდეს. ვეხმარები საკუთარ ქვეყანას და მის პრეზიდენტს და ამას გავაკეთებ იქამდე, ვიდრე შენ იქნები სასარგებლო ჩემი ქვეყნისთვის!“ როდესაც მათ პირველად დაშალეს მშვიდობიანი დემონსტრაცია და დაიკავეს დამოუკიდებელი ტელევიზია 2007 წელს, ვუთხარი, რომ მეტჯერ ჩემთან არ დაერეკა. მაშინ პოლიტიკაში წასვლის გეგმა არ მქონდა, მაგრამ ვხედავდი ოპოზიციის განადგურებას, ბიზნესის შევიწროებას, მედიის 95%-ის კონცენტრირებას ერთი ადამიანის ხელში. სხვა გზა არ მრჩებოდა.

**— გაგიკვირდათ, სააკაშვილმა საშუალება რომ მოგცათ, ხელისუფლებაში მოსულიყავით?**

— ძალიან კარგად იმუშავეს ამერიკელებმა. სააკაშვილი ხედავდა, რომ თუ დამარცხებას არ აღიარებდა, კატასტროფა მოხდებოდა. მან აღიარა დამარცხება არა იმიტომ, რომ დემოკრატი იყო, ხალხი აფეთქების ზღვარზე იყო და სააკაშვილს გამოსავალი არ ჰქონდა.

*„პირველი“*

# გიორგი თარგამაძე საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის?!



## „ქართულ ოცნებას“ პრობლემები აქვს და „ცუდ პალასაზეა!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ახალ-ახალი ვიდეოკადრების ძიებაში გართული შს სამინისტრო, ქრისტიან-დემოკრატების ლიდერის, გიორგი თარგამაძის შეფასებით, ნელ-ნელა კვლავ მონსტრს ემსგავსება. ამასთან, თარგამაძე ეჭვობს, რომ ახალი მთავრობა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერების განადგურებისგან ფეხს ითრევს; მეტიც — სამეგრელოს ქვევრებსა თუ კასრებში ნაპოვნი კომპრომატები სწორედ გასანადგურებელი არქივის ნაწილია. სკანდალური ფირების თემის გარდა, გიორგი თარგამაძე „ვერსიას“ აშშ-ს ელჩთან, რიჩარდ ნორლანდთან შეხვედრის დეტალებსა და აშშ-ს კონგრესის მიერ საქართველოს მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ შეფასებებზეც ესაუბრა.**

— მნიშვნელოვანი ის იყო, რომ აშშ-ს ელჩი საკუთარი პოზიციის გამოსახატად იმ პარტიის ოფისში მოვიდა, რომელიც ამჯერად, საპარლამენტო პარტიათა რიგში არაა. ეს სტუმრობა აშშ-ს კონგრესის რეზოლუციას დაემთხვა და ამ თემაზე ნორლანდმა პირველი საჯარო კომენტარი სწორედ ჩვენი პარტიის ოფისიდან გააკეთა. ეს გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას ჩვენც გვაძლევს და სხვებსაც.

**— თქვენ რა დასკვნა გააკეთეთ?**

— ეს ძალიან ღია, მეგობრული, დემონსტრაციული სიგნალია, რომ აშშ საქართველოში მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ნორლანდმა მიანიშნა კიდეც, ე.წ. ტიტანების ბრძოლის შედეგად, ქვეყანაში რა პრობლემები შეიქმნა — რეალური პოლიტიკური პროცესი შეჩერებულია.

**— ელჩთან გაურკვეველ საგარეო კურსზეც ისაუბრეთ. რა არის ჩვენს კურსში გაურკვეველი... რიჩარდ ნორლანდისა და თქვენი შეფასებები ემთხვევა?**

— სხვისი სახელით ვერ ვისაუბრებ... ძირითადი მსოფლიო მოთამაშეების ჩვენდამი დამოკიდებულება იმითაა განპირობებული, მთავრობას რა დამოკიდებულება აქვს დემოკრატიულ ფასეულობებთან. სააკაშვილის დემოკრატია რომ აყროლდა, ეს ცალკე თემაა, მაგრამ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ახალი მთავრობის მიერ გადადგმულ არადემოკრატიულ ნაბიჯებზეც: არ უსმენენ არც ერთ არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას და ჩვენს გარეშე, პარლამენტში, ნაციონალებთან ჩაკეტილებმა, მიიღეს კონსტიტუციური რეფორმა. ასე მოხდა პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონმდებლობის ცვლილებაც, რაც თვით შევარდნაძე-სააკაშვილსაც არ გაუკეთებია! „ოცნება“ კიდევ ერთ გაუგონარ რამეს გეგმავს: ცესკო-ში 7 პარტიული წარმომადგენლიდან 6 „ოცნების“ წევრია, ადგილობრივ დონეზე დანარჩენი 6-ის დაკომპლექტებაც, ავტომატურად, „ოცნების“ მიერ ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ 13 წარმომადგენლიდან 12 „ოცნების“ იქნება. ვინც გაჰყვირის სააკაშვილის პასუხისმგებლობაზე, სწორედ ის აუარესებს ამ ისედაც მანკიერ სისტემას! პარლამენტშიც სრული მარაზმია და ეს განცდა მხოლოდ მე არ მაქვს იმის გამო, რომ იქ არ ვარ!

**— მარაზმი მერე იქნება, ყველა სახელისუფლო შტოს ერთი და იგივე პოლიტიკური ძალა თუ დაიკავებს. ცნობილია, რომ ელჩს საპრეზიდენტო კანდიდატებზეც ესაუბრეთ — რას აპირებთ ქრისტიან-დემოკრატები?**

— ვადასტურებ, საპრეზიდენტო არჩევნები ჩვენი საუბრის ერთ-ერთი ძირითადი თემა იყო. ზოგადად, საარჩევნო გარემოც შევაფასეთ და ჩვენი პარტიის გეგმებზეც ვისაუბრეთ. ფაქტია: ქვეყანაში ძალიან არაკონკურენტული საარჩევნო გარემოა. ერთი დასდევს მეორეს, მეორე თავს იცავს, მაგრამ მას იჭერენ და ა.შ. — ესაა მთელი ქართული პოლიტიკური პროცესი. არ არის ფინანსები, პრობლემებია ბიზნესში, ბიზნესმენები პოლიტიკაში ინვესტირებისგან თავს იკავებენ — პოლიტიკური კამპანიისთვის თანხების მოზიდვის ჩვენი შანსები ძალიან მცირეა, თუმცა წუწუნი და ხელების ჩამოშვება გამოსავალი არ არის!

**— აბა, რა არის გამოსავალი — საერთო ოპოზიციური კანდიდატი?**

— ეს ტაქტიკის საკითხია, რაც შეეხება სტრატეგიას, ამ თემაზე რამდენიმე არასაპარლამენტო პარტიასთან ერთად ვფიქრობთ.

**— პირდაპირ გკითხავთ: გიორგი თარგამაძე საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარ კანდიდატურას დააყენებს თუ მხარს ნინო ბურჯანაძეს დაუჭერს?**

— ამ ეტაპზე, ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობასთან“ ერთად, უბრალოდ, ინტერფრაქციულ ჯგუფში ვართ. ეს ვარიანტი, ანუ ბურჯანაძე, როგორც საერთო კანდიდატი, ჩვენს ერთ გეგმაშიც არ განხილულა. ისე კი, დასახელებულ კანდიდატთაგან, ჯერჯერობით, პროდასავლური არავინაა. ასე რომ, ამ ნიშას შევსება სჭირდება.

**— ანუ ვერ გავიგე, იყრით თუ არა კენჭს საპრეზიდენტო კანდიდატად?**

— ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა გეტყვით, რომ საკუთარი თავის, პარტიის წევრებისა და ამომრჩევლის პატივისმცემელმა პარტიამ ამ არჩევნებში მონაწილეობა, ალბათ, უნდა მიიღოს!

**— ბატონო გიორგი, როგორც პარტიის ლიდერი და ყოფილი ტელესახე, სამეგრელოში აღმოჩენილი ცნობილი ფირების ტირაჟირებას როგორ აფასებთ? სხვათა შორის, ნორლანდი მათ დაუყოვნებლივ განადგურებას ითხოვდა...**

— პირველ რიგში, იმაზე ვთანხმდებით, რომ ნაცმოძრაობის „გათეთრება“ გამორიცხულია. ამ პარტიის „გაპრავების“ შანსი ნულის ტოლია და ეს „განტევების ვაცად“ მიჩნეული ბაჩო ახალაიასთვის ან თუნდაც ვანო მერაბიშვილისთვის ხელის შეწმენდის შემდეგაც კი არ მოხდება. მიუხედავად ამისა, ყველანი ვხედავთ, რომ „ქართულ ოცნებასაც“ პრობლემები აქვს და „ცუდ პალასაზეა“: ჯერ დავიჭირეთ „ტერორისტები“, რომლებიც სულაც არ აღმოჩნდნენ ტერორისტები, შემდეგ მოჯაჰედების კლიპი გამოჩნდა, რომლის ავტორებს რაც უფრო დიდხანს ვერ დაადგენენ, ახალი ხელისუფლების მიმართ ეჭვი უფრო გამძაფრდება. ამას მოჰყვა აშშ-ს კონგრესის საკმაოდ მკაცრი და კრიტიკული რეზოლუცია, რომლის მსგავსი აქამდე არ მახსოვს! ამ ყველაფრის შემდეგ, შინაგანად, მოლოდინი მქონდა, რომ რაღაც მოხდებოდა და მოხდა კიდეც — სამეგრელოში იარაღის სამალავი აღმოაჩინეს. ახლა რა ვერსიები გვაქვს: როგორც ოფიციალურად ცნობილია, სამალავებში იპოვეს იარაღი, დღიურები, ხელნაწერები და ა.შ. ვფიქრობ, იმ ვერსიის არსებობასაც აქვს საფუძველი, რომლის მიხედვითაც

**ის დისკები და ხელნაწერები სულაც არ იყო იმ ქვევრებში და ყველაფერი იმ არქივის ნაწილია, რომელიც მთელი ეს დრო შს სამინისტროში ინახებოდა, ანუ ეს ინფორმაცია იმ ქვევრებში შსს-სგან დამოუკიდებლად არ აღმოჩენილა. ყველაფერ ამის ფარულად განადგურება „ოცნებისთვის“, რა თქმა უნდა, ისეთ პოლიტიკურ შედეგსა და პროპაგანდისტულ ეფექტს არ მოიტანდა, როგორიც აღმოჩენა.**

ამ კადრების განადგურებას ყველანი დიდი ხანია ველოდებით, თუმცა იმასაც კარგად ვხვდებით, რომ განადგურება ძალიან პირობითი სიტყვაა. როგორც მინიმუმ, ამ ჩანაწერების ერთი ასლი მაინც სადღაც იარსებებს და ოდესმე აუცილებლად ამოტივტივდება. ახლა ვსვამ კითხვას:

**ძველი ხელისუფლების დროს არსებობდა სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც პოლიტიკური პარტიების თვალთვალსა და ჩაწერებს კურირებდა. რატომ მოქმედებს მსგავსი დეპარტამენტი დღევანდელ მთავრობაშიც? ამ კითხვას საქართველოს მთავრობას უახლოეს დღეებში პრესკონფერენციაზეც დავუსვამ. „ქართული ოცნება“ ღალატობს ხალხს, რომელსაც შეპირდა, რომ შს სამინისტრო დაიშლებოდა და მონსტრის სახით აღარ იარსებებდა, მაგრამ მონსტრი მონსტრად რჩება!**

**— ამის ფონზე, აშშ-ს კონგრესმა ჩვენს შესახებ კრიტიკული დასკვნა დადო, რაზეც „ოცნებას“ დიდად არ უდარდია. რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვის ამ შეფასებას?**

— ვერ დავეთანხმები შეფასებას, თითქოს, ადრე გასაოცარი დემოკრატია გვქონდა და ახლა აღარ გვაქვს. ამ ამორალური სახელმწიფოს სახე თავად სააკაშვილია, მთელი ნაციონალური ელიტით! ამიტომ პირადად ჩემთვის, მათი მორალური და სამართლებრივი დევნა აუცილებელი პროცედურაა. ვფიქრობ, დღევანდელი ხელისუფლება დიდ შეცდომას უშვებს, როცა ანგარიშს მხოლოდ საზოგადოებრივ განწყობას უწევს. დიდი უმადურებაა აშშ-სთვის იმის თქმაც, რომ აქამდე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს სათანადოდ არ აფასებდა: შეფასებები ძალიან კრიტიკული იყო 2007-2010 წლებში, აშშ-ს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მწვავე დასკვნები საქართველოზე ყოველ წელს ქვეყნდება, ამიტომ ეს დასკვნა სათანადოდ უნდა დავაფასოთ და შევაფასოთ: როცა რეზოლუცია წარმომადგენლობითი ორგანოს ქვედა პალატის მიერაა მიღებული და შეფასებები სენატში ჯერ კიდევ წინაა, გონიერი ხელისუფალი მიხვდება, რომ გარკვეული დრო აქვს ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამ დასკვნისადმი „ოცნების“ არასერიოზული დამოკიდებულება იმას ჰგავს, მარტო კაცი ღამით ტყეში რომ მიდის და ხმამაღლა მღერის, არ მეშინიაო.

## ვერსიანიუსი

### პოლიციამ „ჰეროინის“ შეძენა-შენახვისთვის აზერბაიჯანის მოქალაქე დააკავა




თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1958 წელს დაბადებული აზერბაიჯანის მოქალაქე ნაილა დ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა პირადი ჩხრეკისას დაკავებულის ხელჩანთიდან 85,265 გრამი „ჰეროინი“ ამოიღეს.

ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც 7-დან 14 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს).

*„ვერსიანიუსი“*

### ქრთამის აღების ფაქტზე ორი ჩინოვნიკი დააკავეს



შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი და ამავე მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2013 წლის 21 ივნისს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა და ამავე მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა მიწის ნაკვეთზე ნებართვის გარეშე მშენებლობის დაწყებისათვის და სამსახურებრივი მფარველობისათვის მოქალაქეს ქრთამის სახით გამოართვეს 700 აშშ დოლარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით. აღნიშნული მუხლი სასჯელის სახით ითვალისწინებს 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

*„ვერსიანიუსი“*

# „არ გამოვრიცხავ, მამაჩემი ვანო მერაბიშვილის სახლში „კოკა-კოლით“ მოწამლეს!“

ნიკა ჯანხოთელი

**ზუსტად ერთი კვირის წინ, „ვერსიაში“ გამოქვეყნებული სკანდალური ვერსია იმის შესახებ, რომ სანდრო გირგვლიანის დედა, ირინა ენუქიძე და კახელი ბიზნესმენი ნოდარ საქუაშვილი ხელოვნური სიმსივნით გარდაიცვალნენ, დადასტურდა — გაზეთის გამოსვლის შემდეგ, რედაქციას აწ განსვენებული ბიზნესმენის ქალიშვილი, ინგა საქუაშვილი დაუკავშირდა, რომელიც მამის მკვლელობაში ხელს პირდაპირ ყოფილ შს მინისტრსა და ყოფილ პრემიერს, ნაცმოძრაობის გენმდივანს, ამჟამად პატიმრობაში მყოფ ვანო მერაბიშვილს ადებს და აცხადებს, რომ ნოდარ საქუაშვილი სწორედ მერაბიშვილის სახლში, „კოკა-კოლით“ მოწამლეს! ამასთან, ინგა საქუაშვილი მერაბიშვილის მეუღლის, თაკო სალაყაიას დაპატიმრებას ითხოვს...**

**საერთოდ, საქუაშვილის საქმეში ბევრი ე.წ. ცნობადი სახე ფიგურირებს, მათ შორის, მომღერალ ნინო ჩხეიძის ქმარი, გიორგი კორახაშვილი, რომელიც ბიზნესმენის გარდაცვალების შემდეგ, როგორც „ვერსიის“ რესპოდენტი ამბობს, ნოდარ საქუაშვილის ღვინის ქარხნის მფლობელი გახდა...**

**მართალია, საქუაშვილი მილიონერი იყო, მაგრამ მის შვილებს დღეს არაფერი აბადიათ — მთელი ქონება, ინგა საქუაშვილის განმარტებით, მამიდამისმა, ნოდარ საქუაშვილის ღვიძლმა დამ, ქეთინო ჯინჭველაძემ, მერაბიშვილ-სალაყაიას დახმარებით მიითვისა... შეგახსენებთ: ნოდარ საქუაშვილი სააკაშვილის ფავორიტ ბიზნესმენად ითვლებოდა — იულია ტიმოშენკოსა და სხვა გავლენიან სტუმრებს სააკაშვილი სწორედ მის მამულში, სოფელ სანიორეში მასპინძლობდა...**

**ნოდარ საქუაშვილის ქალიშვილი ინგა საქუაშვილი „ვერსიას“ მამის მოწამვლისა და ქონების წართმევის სკანდალურ დეტალებს ექსკლუზიურად უყვება:**


ნოდარ საქუაშვილი მეგობართან ერთად

## საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ბიზნესმენის ქალიშვილი თაკო სალაყაიას დაჭერას ითხოვს?!

— მამა აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, მაგრამ ერთ დღეს შეუძლოდ გახდა — აუტანელი ტკივილები დაეწყო, ვერ წვებოდა, ვერ იძინებდა... საავადმყოფოში დაწვა, მაგრამ ვერ გაუგეს, რა სჭირდა, თან მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში დაწვა, ერთ კვირაში, 17 კილოგრამი დაიკლო. ვეჭვობ, ექიმებიც მოსყიდული ჰყავდათ...

**— რომელ საავადმყოფოში იწვა?**

— ონკოლოგიურში...

**— ინგა, რატომ ეჭვობთ, რომ ექიმები მოსყიდულები იყვნენ?**

— მამის გარდაცვალების შემდეგ, ისტორია მოვითხოვეთ, მაგრამ გაქრა... მამამ საქართველოში ტომოგრაფია გადაიღო და გამოჩნდა, რომ სიმსივნის მეტასტაზები ჰქონდა. მერე, აშშ-ში წავიდა, სადაც უთხრეს, რომ რვა თვის წინ, ანუ 2006 წლის მარტში მოწამლეს და სიმსივნე ამიტომ გაუჩნდა. ამერიკელმა ექიმებმა ისიც უთხრეს, ერთი თვით ადრე რომ ჩამოსულიყავით, გადაგარჩენდითო.

**— და რა უთხრეს, რითი მოწამლეს?**

— „კოკა-კოლით“... სასმელში რაღაც რადიაციული ნივთიერება შეურიეს... მახსოვს, მამამ თქვა, ინტოქსიკაცია მქონდა, რამაც ღვიძლის დაშლა გამოიწვიაო.

**— ის, რომ მამათქვენი „კოკა-კოლით“ მოწამლეს, ავადმყოფობის ე.წ. ამერიკულ ისტორიაში ოფიციალურად წერია?**

— არა, ამის შესახებ ექიმმა მამას პირადად უთხრა... სხვათა შორის, მამას სჯეროდა, რომ არ მოკვდებოდა და მტრებს საკადრის პასუხს გასცემდა.

**— მტრებად ვის მიიჩნევდა?**

— ეს არ უთქვამს, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა — მთელ ქონებას მამაჩემის და, ქეთინო ჯინჭველაძე დაეპატრონა.

**— ქეთინო ჯინჭველაძე და ნოდარ საქუაშვილი ღვიძლი და-ძმა იყო?**

— დიახ... ქეთინო ჯინჭველაძის მეუღლე, ნუგზარ ჯინჭველაძე თაკო სალაყაიას ბიძაა — სალაყაია მისი დისშვილია. მამაჩემის ქონება სწორედ თაკო სალაყაიას მფარველობით მიითვისეს... თაკო სალაყაია ამბობს, ნოდარ საქუაშვილს არ ვიცნობდიო, მაგრამ არსებობს ფოტოსურათი, რომელიც ჩვენს მამულშია გადაღებული და რომელზეც მამა, თაკო სალაყაია და დათა ახალაია ჩანან.

> **თაკო სალაყაია ჩვენს ოჯახში წლების განმავლობაში დადიოდა, მას შემდეგ კი, რაც მამა ცუდად გახდა, სიარულს მოუხშირა, რათა გაეკონტროლებინა, ავადმყოფობა როგორ ვითარდებოდა.**

**— ინგა, ეჭვობთ, მამა ზემოხსენებული ფოტოს გადაღებისას მოწამლეს?**

— არა, ამ დროს უკვე ცუდად იყო.

**— მამათქვენს დასთან როგორი ურთიერთობა ჰქონდა?**

— არაჩვეულებრივი, მაგრამ, ბოლო დროს, აღარავის ენდობოდა და წამლებს მხოლოდ ჩემი დის, ნინოს ხელით იღებდა.

**— არც თქვენ გენდობოდათ?**

— მაშინ არასრულწლოვანი ვიყავი...

**— მამა ხვდებოდა, სად და როდის მოწამლეს?**

— როგორც მამა ამბობდა, ერთ-ერთ შეხვედრაზე „კოკა-კოლა“ დალია, რის შემდეგაც ძალიან ცუდად გახდა — მუცლის საშინელი ტკივილი დაეწყო და საავადმყოფოში წაიყვანეს... თავიდან სხვადასხვა კუთხით მკურნალობდნენ, ანუ დროს წელავდნენ, ნივთიერებას რომ ემოქმედა და სიმსივნე ჩამოყალიბებულიყო... როგორც მერე გავარკვიეთ, ამ წამლის მიღება პერიოდულად უნდა მოხდეს, რადგან ორგანიზმი მოიწამლოს...

**— შეხვედრა, რომლის დროსაც ნოდარ საქუაშვილმა „კოკა-კოლა“ დალია და თავი შეუძლოდ იგრძნო, ვისთან ჰქონდა?**

— ვანო მერაბიშვილთან.

**— სად?**

— მერაბიშვილის სახლში, სადაც მერაბიშვილის მეუღლეც იმყოფებოდა.

**— ესე იგი, მამა და მერაბიშვილი მეგობრობდნენ?**

— დიახ...

**— ყოფილ „ხერხემალს“ თავისი დის საშუალებით დაუმეგობრდა?**

— კი, მაშინაც იცნობდა, როცა ვანო არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მერე, როცა სააკაშვილი ჩვენს მამულში ჩამოდიოდა, უფრო დაუახლოვდა.

**— მამას სააკაშვილი მერაბიშვილმა გააცნო?**

— მთლად ასე არ იყო, მაგრამ მამაჩემისა და სააკაშვილის გაცნობაში წვლილი ვანოსაც მიუძღვოდა... საერთოდ, ყველაფერი მამიდის ხელით მოხდა.

**— და ძმას რატომ დაუპირისპირდა?**

— ქონებისა და ფულის გამო... ხომ იცით, ფული ჯოჯოხეთს ანათებს. მამაჩემის ქონებიდან თეთრიც არ მიგვიღია...

**— ინგა, როგორც ვიცი, მამა და დედა ერთად არ ცხოვრობდნენ...**

— ჩემი მშობლების ოჯახის დანგრევაშიც წვლილი მამიდაჩემს მიუძღვის. საერთოდ, მამიდაჩემი კარგი ფსიქოლოგია და მამაჩემზე გავლენას ახდენდა, რის საფუძველზეც, მშობლებს შორის განხეთქილება მოხდა, მაგრამ მამას დედა სიცოცხლის ბოლომდე უყვარდა და განქორწინებას ხელი არ მოაწერა...

**— ნოდარ საქუაშვილს, როგორც ვიცი, მეორე ცოლი ჰყავდა...**

— კი, მაგრამ მასთან ხელი არ ჰქონდა მოწერილი... ნახევარ და-ძმა მყავს, მაგრამ ქონებიდან წილი არც მათ მისცეს...

**— ინგა, მამამ ფული როგორ იშოვა — ლეგენდა, რომ მძღოლი იყო, ჩეჩნებს ტვირთი გადაუტანა. ეს „ტვირთი“, თურმე, დოლარებით სავსე ტომრები იყო და ჩეჩნებმა, მადლიერების ნიშნად, საქუაშვილს რამდენიმე ტომარა აჩუქეს, სიმართლეა?**

— არა. მამაჩემი მძღოლი იყო და ოჯახს ასე არჩენდა. მერე ფული დააბანდა და შუააზიაში წავიდა, სადაც კონიაკის „ცეხი“ გახსნა. საერთოდ, მამა ცხოვრებას, როგორ იტყვიან, რქებით აწვებოდა და ამდენსაც ამიტომ მიაღწია... მამას უკანონო არაფერი გაუკეთებია — არც ვინმე მოუკლავს და არც ფული გაუთეთრებია...

**— ვინმეს მოკვლა რა შუაშია?**

— მომისმენია, მამაჩემს ამხელა ფული თითქოს იმიტომ ჰქონდა, რომ ხალხი დახოცა, მაგრამ ეს აბსურდია... შუააზიიდან ჩამოსვლის შემდეგ, სანიორეში ღვინის ქარხანა ააშენა, რომელიც დღეს ნაციონალების მოლარეზე, ნინო ჩხეიძის ქმარზე, კორახაშვილზეა გაფორმებული.

**— ინგა, საერთოდ, რა რაოდენობის ქონებაზეა საუბარი?**

— აუდიტი გააყალბეს — მამული, სადაც მამას სააკაშვილი ჩამოჰყავდა ხოლმე, 4 მილიონი დოლარის ღირებულებისაა, მაგრამ მათ თეთრებად აქვთ შეფასებული. სახლის ღირებულება მილიონია, აუდიტის დასკვნით კი, სახლიც მინიმუმადაა შეფასებული...

**— თუკი მამამ იცოდა, რომ მოკვდებოდა, ანდერძი რატომ არ დაწერა, ან ქონება სიცოცხლეშივე შვილებს არ გადაგიფორმათ?**

— ანდერძი არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, მამაჩემმა თქვა, მალე აღარ ვიქნები, მაგრამ შვილებს იმდენს გიტოვებთ, ცხოვრება უზრუნველყოფილი გექნებათო. ამის შესახებ მძღოლთანაც ჰქონდა ნათქვამი.

**— ანუ ზეპირი ანდერძი არსებობს?**

— ანდერძი დაწერილი ჰქონდა, მაგრამ გააქრეს.

**— ვინ და როგორ გააქრო?**

— მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, რამდენიმეკაციანი მაფიოზური კლანი შეიკრიბა, რომელმაც ყველაფერი დაგეგმა.

**— ეს „რამდენიმე კაცი“ ვინ იყო?**

— მამაჩემის და ქეთინო ჯინჭველაძე, მისი ქმარი, თაკო სალაყაიას ბიძა ნუგზარ ჯინჭველაძე, ნოდარ ჯინჭველაძე, რომელიც შსს-ში ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელი იყო. სხვათა შორის, ამ ადამიანმა მამაჩემის „ლექსუსისა“ და „ჰამერის“ მარკის ჯიპებზე კოდები მოხსნა, რომ ძიებამ ვერ იპოვოს.

**— სადაა მანქანები?**

— თვითონ ჰყავს.

ამ მაფიოზური კლანის წევრია თამრიკო მეტრეველი, რომელიც კახეთში თავისი შავი საქმეებითაა ცნობილი. იგი ოჯახის ადვოკატი იყო და მამამ გვითხრა, როცა აღარ ვიქნები, ყველაფერში თამრიკო დაგეხმარებათო, მაგრამ ეს ქალი მამიდაჩემს შეეკრა და აბსოლუტურად ყველა დოკუმენტი გააყალბა. მართალია, მტკიცებულება არ მაქვს, მაგრამ ვეჭვობ, მამას ანდერძი დაწერილი ჰქონდა. როგორ შეიძლება, ადამიანს, რომელიც 50-მილიონიან ქონებას ფლობდა და რომელიც მიხვდა, რომ მტერმა ზურგში დანა ჩაარტყა, ანდერძი არ დაეწერა?

სხვათა შორის, მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, მამიდაჩემმა და გია ჯიქურიშვილმა, რომელიც მამას ბიძაშვილია და რომელზეც ნათქვამი ჰქონდა, გიამ იცის, ჩემი გარდაცვალების შემდეგ, რა და როგორ გაკეთდესო, გვითხრეს, ექვსი თვე უნდა დავიცადოთ, მერე ადვოკატი მოვა და ანდერძს წაიკითხავსო.

მამაჩემს ბანკიდან 2-მილიონიანი კრედიტი ჰქონდა აღებული, რომელიც, სხვათა შორის, ვანო მერაბიშვილის თავდებით აიღო.

**— ამხელა ქონების პატრონს ბანკიდან კრედიტის აღება რატომ დასჭირდა?**

— როცა გაიგო, ცუდად იყო, კრედიტი მაშინ აიღო... გარდაცვალების შემდეგ გვითხრეს, თუ ხელს არ მოვაწერდით, რომ ქონების მემკვიდრე ერთი ადამიანი გამხდარიყო, მაშინ ყველაფერს ბანკი წაიღებდა და მამასაც საფლავიდან ამოიღებდა.




# როგორ გადაიფორმა მომღერალ ნინო ჩხეიძის ქმარმა ბიზნესმენ ნოდარ საქუაშვილის ღვინის ქარხანა და რატომ ფიგურირებს საქუაშვილის საქმეში „ქართუ ბანკი“

**— საფლავიდან ამოღება რა შუაშია?**

— მამაჩემი, თავისი სურვილისამებრ, მამულშია დაკრძალული... შესაბამისი იურიდიული განათლება არ გვქონდა, რომ მივმხვდარიყავით, გვატყუებდნენ. ამიტომ ხელი მოვაწერეთ, რომ მემკვიდრე პაპა გამხდარიყო, რომელმაც ქონება მამიდაჩემს გადაულოცა. ასე ჩაიგდო მამაჩემის უძრავი და მოძრავი ქონება მამიდაჩემმა. საერთოდ, სამკვიდროში ქონების დიდი ნაწილი არაა შეტანილი.

**— მაგალითად?**

— სახლი კვარიათში, სადაც ზაფხულობით თაკო სალაყაია ისვენებს ხოლმე. ასევე, მიწის ნაკვეთები და „მაგი სტილის“ მიერ აშენებული ორი ბინა, რომელშიც მამას ფული ჰქონდა გადახდილი და სადაც მამიდაჩემი ცხოვრობს, თუმცა „მაგი სტილში“ ეს საბუთებიც გამქრალია...

**მამას კახეთში კომპანია „ავტოგაზი“ ჰქონდა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, შპს „ინდუსტრიულ ცენტრზე“ გადაფორმდა. ამ შპს-ს მფლობელი კი, „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი მეპატრონეა... მოკლედ, ვეჭვობ, ყველაფერი დაგეგმილი იყო, ანუ ბანკიდან კრედიტი რომ არ აეღო, ვერც მამას მოწამლავდნენ და ვერც ქონებას წაგვართმევდნენ. სხვათა შორის, კრედიტი „ქართუ ბანკიდანაა“ აღებული...**

**— ინგა, ვერ გავიგე, კრედიტი ქონების წართმევასა და, მით უმეტეს, ნოდარ საქუაშვილის სიკვდილთან რა კავშირშია?**

— 2007 წელს ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო. ნაციონალებს, როგორც ჩანს, ფული სჭირდებოდათ და ეს კრედიტიც ამიტომ აალებინეს.

**— საქუაშვილს ხომ შეეძლო, ნაციონალებისთვის ფული საკუთარი ჯიბიდან მიეცა?**

— ალბათ, მოსთხოვეს, ფული მოგვეციო, მაგრამ, როგორც ჩანს, არ მისცა... ნაციონალებს წინააღმდეგობის გაწევა არ უყვარდათ და, ალბათ, სწორედ ამ უარის გამო მოწამლეს...

**— შეეძლოთ, კახელი ბიზნესმენი თავიდან სხვა გზით მოეცილებინათ, მაგალითად, დაეჭირათ...**

— რომ დაეჭირათ, ქონებას ვერ წაართმევდნენ.

**— ძალიან ბევრს ქონება სწორედ დაჭერის შემდეგ წაართვეს...**

— კი ბატონო, მაგრამ ნაციონალები ერთი სტილით არ მოქმედებდნენ, თან მამაჩემის ქონება სულ სხვადასხვა ადამიანზე გააფორმეს. სხვათა შორის, ღვინის ქარხანაში მამაჩემის პარტნიორები რუსები იყვნენ, მაგრამ ეს რუსები საერთოდ გაქრნენ და ქარხანა კორახაშვილისა და ნოდარიკო ჯინჭველაძის საკუთრებაა...

**— ინგა, ადვოკატი გყავთ?**

— ყველა ადვოკატი მოისყიდეს და წინ წასვლის ნაცვლად, უკან დაგვხიეს, ანუ სტრასბურგში გასაჩივრებას ვგეგმავდით, მაგრამ ადვოკატებმა დრო გაწელეს და საქმე ხანდაზმულზე „დაგვისვეს“...

**— პირველი ოქტომბრის შემდეგ პროკურატურას მიმართეთ?**

— დიახ... ვერ აღვწერ, ექვსი წლის განმავლობაში რა გადავიტანეთ — მამიდაჩემს უნდოდა, გადავებირებინე და მაფიოზივით, „პრადოს“ ჯიპით დამდევდა, მოტაცებას მიპირებდა...

**— ვიდრე მამა ცოცხალი იყო, მამიდასთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?**

— კარგი — ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა, რადგან მის ოჯახს არაფერი ებადა, დღეს კი, მამაჩემის ქონებით, მაფიოზია... მართალია, ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ პროკურატურა სამართლიანი მაინც არაა. მაგალითად, თელავის პროკურორი გიორგი ძოწენიძე საქმეს ობიექტურად არ უდგება და ელოდება, ისინი რას ეტყვიან. არადა, ქეთინო ჯინჭველაძეზე, წესით, სისხლის სამართლის საქმე უნდა იყოს აღძრული, რადგან მის წინააღმდეგ პროკურატურაში არაერთი მასალა დევს. ჩემი დის სახლი, რომლის გასაღებიც მამიდაჩემსაც ჰქონდა, გაძარცვეს და 15 ათასი ლარის ქონება გაიტანეს. ამ საქმეზე ძიება წინა ხელისუფლების დროს დაიწყო. პირველი ოქტომბრის შემდეგ კი, პროკურატურაში განცხადება ხელმეორედ შევიტანეთ და გამოძიება იმ პროკურორს დაავალეს, რომელმაც თავის დროზე, ეს საქმე არ გამოიძია... ამიტომ მივმართავ ქალბატონ წულუკიანს: ყურადღება მოგვაქციოს!

**— ინგა, პროკურატურაში განაცხადი მხოლოდ ქონების დაკარგვაზე გაქვთ შეტანილი თუ მამის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებაზეც?**

— მხოლოდ ქონებაზე, მაგრამ საბუთებს ვაგროვებთ, რომელთა საფუძველზეც, მამაჩემის გვამის ეგსჰუმაცია ჩატარდება და ყველა, შინაური იქნება თუ არა, აუცილებლად დაისჯება!

**— ნოდარ საქუაშვილი 2007 წელს გარდაიცვალა. არადა, ამ დროს ნაციონალებს არაერთი საშინელება ჰქონდათ ჩადენილი. ყველაფერ ამის მიუხედავად, მერაბიშვილსა და სააკაშვილთან მაინც მეგობრობდა?**

— მამაჩემი ამბობდა, პოლიტიკაში არასოდეს გავერევი, რადგან დიდი სიბინძურეაო... იცოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ მამას რა უნდა გაეკეთებინა?.. მამაჩემმა სააკაშვილისა და მერაბიშვილის მაქინაციები იცოდა და წინააღმდეგობა რომ გაუწია, გააქრეს!

**— ინგა, იზიარებთ მოსაზრებას, რომ მამათქვენის მსგავსად, სანდრო გირგვლიანის დედა, ირინა ენუქიძეც მოწამლეს და ისიც ხელოვნური სიმსივნით გარდაიცვალა?**

— დიახ...

**— სანიორეს სახლში ახლა ვინ ცხოვრობს?**

— მამიდაჩემი...

**— იქ ვერ მიდიხართ?**

— ვერა... ოთხი წლის წინ, ჩემმა მამიდაშვილმა, ნოდარ ჯინჭველაძემ, რომელიც მამაჩემის სავარძელში ფეხიფეხგადადებული იჯდა, მითხრა, ამ სახლიდან მიბრძანდი, ვერ ხვდები, რომ შენი აღარააო.

**— ინგა, დღეს რით ცხოვრობთ?**

— ვალებით.

**— ნაქირავებში ცხოვრობთ?**

— არა. ჩემს დას, როცა სტუდენტი გახდა, მამამ ბინა აჩუქა და რადგან ეს ბინა ჩემს დაზე იყო გაფორმებული, ვერ წაგვართვეს.

**— პაპა ცოცხალია?**

— დიახ, სანიორეში ცხოვრობს...

**— რას ამბობს?**

— ორჯერ ინსულტი „ჰქონდა“... უბრალოდ, მეშინია, ყველაფერი უდანაშაულო პაპა-ბებიას არ დააბრალონ...

სხვათა შორის, ჩემი და, ნანა საქუაშვილია მოწმე, როგორ გეგმავდა ნოდარ ჯინჭველაძე დედაჩემის მოშორებას.

**— მოკვლას?**

— დიახ. პროკურატურაში დღესაც დევს დედაჩემის, ლია ელიზბარაშვილის განცხადება, სადაც წერია, თუკი რამე მომივიდა, ნოდარ ჯინჭველაძის ბრალი იქნებაო.

**— თქვენი და ამ საუბრის მოწმე როგორ გახდა?**

— მაშინ ჩემი და გადაბირებული ჰყავდათ, მაგრამ მერე, ყველაფერს მიხვდა...

**— ესე იგი, ინგა, თქვენი უბედურების მთავარი, ასე ვთქვათ, წყარო ვანო მერაბიშვილია?**

— მერაბიშვილი და მისი მეუღლე!

**— სააკაშვილთან შეხვედრა არ გიცდიათ?**

— დედაჩემმა წერილი გადასცა, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია. როგორ გგონიათ, მერაბიშვილის შავი საქმეების შესახებ სააკაშვილმა არ იცოდა?

**— ქონების დაბრუნების იმედი გაქვთ?**

— კი, თუმცა ჩემთვის მთავარი მამაჩემის მკვლელობის გამოძიებაა! სიცოცხლის ბოლო წუთამდე ვიბრძოლებ, რომ სამართალს მივაღწიო!

**— ინგა, თაკო სალაყაიას პასუხისმგებლობასაც ითხოვთ?**

**— სალაყაია თავის მეუღლეს უნდა მიუჯდეს, რადგან მას თავისი მაფია აქვს! სალაყაიას ძალაუფლება დღესაც აქვს და სწორედ ამიტომ მივმართავ ქალბატონ თეა წულუკიანს, რომ ამ საქმით დაინტერესდეს, თორემ პროკურატურა არაფერს აკეთებს!**




სხვათა შორის, დედაჩემი აპირებს, ადვოკატ გოგიტა გაბაიძის წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელი შეიტანოს და მისგან მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, რადგან გაბაიძე ტელევიზიით დედაჩემს დაემუქრა, თუ ნოდარ საქუაშვილის მეუღლე, ლია ელიზბარაშვილი არ გაჩერდება, რესტორან „შუამთაში“ 1/7 წილსაც დაკარგავს და, საერთოდ, დიახაც, ღირსი არ იყო, საფლავზე რომ ვუშვებდითო...

# აშშ-ს მოქალაქე ირაკლი კაკაბაძე აშშ-ს პოლიტიკას ებრძვის?!

რუსუდან შელია
557-100-768

**რამდენიმე დღის წინ, შსს-ში, სადაც მედიასაშუალებების ხელმძღვანელებსა და არასამთავრობოთა წარმომადგენლებს სამეგრელოს სამალავში აღმოჩენილი ადამიანის წამებისა და გაუპატიურების ვიდეო აჩვენეს, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტ ეკა კვესიტაძეს დაუპირისპირდა, რის გამოც, ამ უკანასკნელმა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა... ამბობს, რომ ეკა კვესიტაძეს შეხვედრის ჩაშლა უნდოდა და ამის საშუალება არ მისცა... მიაჩნია, რომ მხოლოდ მერაბიშვილისა და ახალაიას დაკავება უსამართლობაა და, ნაცმოძრაობის მიერ შექმნილი სისტემის გასასამართლებლად, სიმართლის კომისიის შექმნას ითხოვს... ეკა კვესიტაძესთან დაპირისპირების გარდა, ირაკლი კაკაბაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აქცენტს და აშშ-ს პოლიტიკის უარყოფით მხარეებზეც აკეთებს.**



> „თუ ეკა კვესიტაძე ამბობს, რომ სხვისი პირადი ცხოვრება უნდა დავიცვათ, ჩემი პირადი წერილი რატომ გამომიქვეყნა?“

— დათო პაიჭაძე და ეკა კვესიტაძე შს მინისტრთან შეხვედრაზე ცუდი თვალებით შემოცვივდნენ და ჩვენების ჩაშლას შეეცადნენ, რაზეც ვუთხარი, რომ ამის უფლებას არ მივცემდი. ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრაზე საზოგადოება საკმაოდ სერიოზულ თემებზე სასაუბროდ შეიკრიბა და იქ სააკაშვილის ფავორიტი გაუნათლებელი ჟურნალისტების — კვესიტაძისა და პაიჭაძის აზრი არავის აინტერესებდა. საერთოდ, ვერ ვხვდები, რას წარმოადგენს კვესიტაძე...

— **კვესიტაძემ სოციალურ ქსელში თქვენს მიერ მიწერილი პირადი წერილები გამოაქვეყნა, სადაც გადაცემასა და ჟურნალისტურ საქმიანობას უქებთ. კვესიტაძე მაშინ განათლებული იყო?**

— არ ვმალავ, რომ მასთან ურთიერთობა მქონდა, თანაც მაშინ ამერიკელებთან ერთად, საკმაოდ საინტერესო პროექტზე ვმუშაობდი, რომლის განხორციელებაც „პირველ არხს“ შევთავაზე და წერილიც ამიტომ მივწერე. საინტერესოა, თუ კვესიტაძე ამბობს, რომ სხვისი პირადი ცხოვრება უნდა დავიცვათ, ჩემი პირადი წერილი რატომ გამომიქვეყნა? ნაციონალების ლოგიკა, მართლაც, ფანტასტიურია, თანაც ფაქტია, რომ შარშანდელი სექტემბრის შემდეგ, კვესიტაძე ავმყეფარე არსებად გადაიქცა. არც კვესიტაძეს და არც პაიჭაძეს უფლება არ აქვთ, თავი ობიექტურ ჟურნალისტებად წარმოგვიდგინონ.

— **თქვენ ობიექტური ხართ?**

— ობიექტური დღეს არავინაა, მათ შორის, არც მე, მაგრამ მინისტრთან შეხვედრაზე ნაციონალების ჟურნალისტებმა აგრესიული შეტევა განახორციელეს, სწორედ ამიტომაც გააბუნძულეს დარბაზიდან. იმის გამო, რომ წლების განმავლობაში ვანო მერაბიშვილს ემსახურებოდნენ, კვესიტაძესა და მის დამპალ ქმარს სინდისი რომ ჰქონდეთ, ბოდიშს მოიხდიდნენ! ვის უნდა ასწავლოს ჭკუა კვესიტაძემ?

— **ისე, კვესიტაძე თქვენი დის თანამოაზრეა...**

— ჩემმა დამ საკუთარ შეხედულებებზე თავად ისაუბროს, ამ შემთხვევაში, არ არის მნიშვნელოვანი, რას იფიქრებს.

— **რამდენიმე დღის წინ, ინიციატივით გამოხვედით, სააკაშვილის რეჟიმის გასასამართლებლად სიმართლის კომისია უნდა შეიქმნასო. ვინ დააკომპლექტებს კომისიას და რატომ უნდა იდგეს სასამართლოზე მაღლა?**

— ამ იდეის ავტორი ანა დოლიძეა, რომელმაც კომისიის დაკომპლექტების შესახებ საკმაოდ დახვეწილი წინადადება წარმოგვიდგინა. დიახ, სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. ასე მოხდა სამხრეთ აფრიკაში, არგენტინაში... კომპეტენტური კომისია იმსჯელებს, რა ტიპის სასჯელი უნდა დაეკისროს დამნაშავე სისტემას. რაც შეეხება სასამართლოს, მასთან მჭიდროდ ვითანამშრომლებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ინდივიდუალური ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი არასწორი მიდგომაა.

> **9 წლის განმავლობაში, საქართველოში, ნეონაცისტური სისტემა ჩამოყალიბდა, მერაბიშვილისა და ახალაიას დაჭერა და მათზე სრული პასუხისმგებლობის დაკისრება, გაუმართლებლად მიმაჩნია. გაუპატიურება სისტემის მიერ შექმნილი მანკიერების მხოლოდ მცირე ნაწილია, ისინი ადამიანებს ახრჩობდნენ, ხოცავდნენ, რაც სააკაშვილის მიერ გამოცხადებული ნულოვანი პოლიტიკის ნაწილი იყო. მომავალშიც იგივე რომ არ მივიღოთ, სისტემა უნდა დავსაჯოთ ისევე, როგორც გერმანელებმა საკუთარი სხეულიდან ნაციზმი, იტალიელებმა კი ფაშიზმი ამოძირკვეს.**

— **ნაცმოძრაობის პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრობამ ხომ შეიძლება, ქვეყანაში პოლიტიკური ბალანსი დაარღვიოს და „ქართული ოცნების“ სახით, ახალი უკონტროლო ძალა მივიღოთ?**

— ადამიანების წამების 13 ათასი შემთხვევის ფონზე, პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნებაზე საუბარი არასწორად მიმაჩნია. ამაზე მეტი ნაცისტებს არაფერი გაუკეთებიათ, პირიქით, სააკაშვილი უარესს აკეთებდა — საკუთარ ხალხზე ძალადობდა.

> **სიმართლის კომისია ერთ შანსს ყველას მისცემს — თუ ნაციონალური მოძრაობა აღიარებს, რომ ქვეყნის წინაშე დანაშაული ჩაიდინა, სხვადასხვა პროცედურის გავლა მოუწევს, რითიც შეიძლება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც გადაურჩეს. კომისიაში მწერლები, მღვდლები და ის ადამიანები იქნებიან, რომლებიც ჰუმანურობით გამოირჩევიან. მიმაჩნია, რომ ეს ბევრად ეფექტური გზაა, ვიდრე რევანშისტული სასამართლოები.**

რაც მთავარია, კომისიის ეფექტური მუშაობისთვის ჩანაწერების არსებობა აუცილებელია, შემდეგ კი, ისინი აუცილებლად უნდა განადგურდეს. წარმოიდგინეთ, მოქალაქეების საწოლ ოთახში მთავრობა იჭრებოდა, თავს ემიგრაციაში წასულებსაც არ ანებებდა და ღამით, გახდილებს, სურათებს უღებდა. აი, ამ პოლიტიკის ავტორების დაუსჯელობა ძალიან დიდი უსამართლობა იქნება. ჩანაწერების განადგურების გადაწყვეტილება კი ქართველმა ხალხმა ამერიკელების ჩარევის გარეშე უნდა მიიღოს.

— **ბოლო დროს, აშშ-ს პოლიტიკის წინააღმდეგ განცხადებას ხშირად აკეთებთ. თუ ჩვენი პარტნიორი სახელმწიფოს პოლიტიკა ასე მიუღებელია, იქაური მოქალაქეობა რატომ მიიღეთ?**

— ასეთ განცხადებებს სწორედ იმიტომ ვაკეთებ, რომ აშშ-ს მოქალაქე ვარ და დემოკრატიის ფასიც ვიცი. არ ვამბობ, რომ აშშ-ზე უარი უნდა ვთქვათ, ძალადობა უნდა უარვყოთ.

— **აშშ მოძალადეა და რუსეთი — არა?**

— აშშ-ში ცხოვრობენ ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან არეტა ფრანკლინი და ბარაკ ობამა, რომელიც ბევრად ჰუმანური პოლიტიკოსია, ვიდრე ჯონ მაკკეინი. ჩვენ სწორი არჩევანი უნდა გავაკეთოთ და 2014 წელს, ამერიკელებთან ერთად, ავღანეთიდან ქართველი ჯარისკაცებიც უნდა გამოვიყვანოთ. საერთოდ, მიმაჩნია, რომ არც ერთ ოკუპაციაში საქართველომ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს, რადგან საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი, რამდენად მწარეა, როცა სხვა სახელმწიფოს ჯარი შენს ტერიტორიაზე შემოდის და შენს ახლობლებს ხოცავს.

— **ავღანეთის მისიაში მონაწილეობა ევროკავშირისა და ნატო-ში ინტეგრაციის სანაცვლოდაც არ უნდა მივიღოთ?**

— არა, რადგან სხვის ქვეყანაში არავის დაუპატიჟივართ და ვინც ამას ამტკიცებს, საბჭოთა პროპაგანდას იზიარებს.

> **პირდაპირ ვთქვათ: ავღანეთში, ძირითადად, ჰეროინის გადანაწილების პროცესი მიდის, იქ ყაყაჩოს დიდი პლანტაციებია და აშშ-ს ინტერესსაც მხოლოდ ეს წარმოადგენს. ანტიტერორისტული სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით და არა უპილოტო თვითმფრინავებიდან ადამიანების ხოცვით.**

— **ოპონენტები აუცილებლად გეტყვიან, რომ რუსული სპეცსამსახურების აზრს ახმოვანებთ, რომლის ძირითადი მიზანიც საქართველოში ანტინატოური და ანტიდასავლური პროპაგანდის წარმოებაა. სავარაუდოდ, ამასვე ემსახურებოდა ის ვიდეორგოლებიც, რომელიც საქართველოს ჯიჰადით ემუქრებოდა.**

— მხოლოდ იმას ვამბობ, რომ არც ერთი ძალა არ უნდა გვინდოდეს, რომელიც ადამიანებს ხოცავს. 80-იან წლებში საქართველოში რუსეთის ოკუპაციასაც ვაპროტესტებდი, რის გამოც თავი არაერთხელ გამიტეხავს, მაგრამ ნამდვილად არ მჯერა, რომ დასავლეთი რუსეთს საქართველოს ტერიტორიებიდან გააგდებს. სისულელეა! შესაძლოა, რუსეთი თავად მივიდეს იმ გადაწყვეტილებამდე, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა აღარ აწყობს.

— **ამ გადაწყვეტილების მოლოდინში უნდა ვიყოთ მაშინ, როცა პირობითი საზღვრიდან ქართველებს იტაცებენ?**

— პირველ რიგში, აუცილებელია, რუსეთი დავარწმუნოთ, საქართველოსგან საშიშროება არ ემუქრება. დიახ, რუსეთს პარანოია აქვს, რომ კავკასიის ქედსაქეთ ბუნტს ვამზადებთ. სხვათა შორის, ლაფანყურის ინციდენტმა რუსების ამ თეორიას დასაყრდენი მისცა. ვიზიარებ პრემიერის პოზიციას, რომ საჭიროა ნდობის აღდგენა როგორც აფხაზეთთან, ასევე ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და რუსეთთან.

საერთოდ, უნდა გვესმოდეს, რომ კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს როგორც რუსეთთან, ისე აშშ-სთან, ჩინეთთან, ბრაზილიასთან და ა.შ. სამწუხაროდ, ხელისუფლება დაბალანსებულ პოლიტიკას ვერ ატარებს, სწორედ ესაა მიზეზი, რომ სერიოზული პრობლემები გვექმნება!

## ვერსიანიუსი

### შსს-მ დიდი ოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო




შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1959 წელს დაბადებული სულიკო გ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით გორის რაიონის სოფელ ფხვენისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს: „გე-ვე 932“-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი ტყვიამფრქვევი, სავაზნე ლენტში მოთავსებული 223 საბრძოლო ვაზნა, „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატის 7 მჭიდი, „ა-კა 74“-ის, „ა-კა-ეს 74“-ის, „ა-კა-ეს 74-უ“-ს, „ერ-პე-კა 74“-ის, „ერ-პე-კა-ეს-74“-ის 135 საბრძოლო ვაზნა, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, „ეფ 1“-ის ტიპის ხელყუმბარა, 3 ქარხნული წესით დამზადებული 200-გრამიანი და 1 ცალი 75-გრამიანი ტროტილის კოჭა, 1 ქარხნული წესით დამზადებული ჰექსოგენის შემცველი პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერება.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

*„ვერსიანიუსი“*

### სამეგრელოში კიდევ ოთხი სამალავი აღმოაჩინეს




შს მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, „აღნიშნულ სამალავშიცაა აღმოჩენილი ფარული ჩანაწერები, თუმცა მათი შინაარსის შესახებ ჯერჯერობით უცნობია.“

მინისტრის განცხადებით, დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ 24 ივნისს გახდება ცნობილი.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

# ლაშა მაქაცარია ყოფილ ნაციონალ გოჩა თევდორაძეს კორუფციაში ამხელს?!

თორნიკე ხურციძე
„ვერსიისთვის“ ქუთაისიდან



## რას პასუხობს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი იმერეთის ექსგუბერნატორს

**რამდენიმე დღის წინ, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ლაშა მაქაცარია დაკითხა. გამოძიებას მაქაცარიასთან კითხვები ქუთაისის ბაგა-ბაღების ხელმძღვანელების სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით ჰქონდა. საუბარია 3 წლის წინ, 2010 წელს ჩატარებულ სპეცოპერაციაზე, როცა რამდენიმე ბაღის დირექტორი დააპატიმრეს, 30 კი, გაათავისუფლეს. იმდროინდელი გამოძიების ვერსიით, ბაგა-ბაღების დირექტორები თანხებს ინდმეწარმეებისგან უკანონოდ იღებდნენ... ყოფილმა ხელმძღვანელებმა რამდენიმე თვის წინ, პროკურატურას გამოძიების მოთხოვნით მიმართეს. ბაღის ყოფილი გამგეები ამბობენ, რომ მათი გათავისუფლება სწორედ იმერეთის ყოფილი გუბერნატორის, ლაშა მაქაცარიას ბრძანებით მოხდა. საქმეზე ძიებას დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა სისხლის სამართლის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით აწარმოებს, რაც თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს და თავისუფლების სამ წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.**
**სხვათა შორის, „ვერსიამ“ ლაშა მაქაცარიას დაკითხვა, პროკურატურაზე დაყრდნობით, რამდენიმე ხნის წინ ექსკლუზიურად დააანონსა, თუმცა მაშინ ყოფილმა გუბერნატორმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა. დღეს კი, ლაშა მაქაცარია დუმილს არღვევს და „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში მათ ვინაობას ასახელებს, ვინც, ყოფილი გუბერნატორის ეჭვით, ქუთაისის ბაგა-ბაღებში არსებული კორუფციული სქემის უკან იდგნენ.**

**— ბატონო ლაშა, რა შეკითხვები ჰქონდა გამოძიებას?**
— გამოძიებას კითხვები, ძირითადად, 2010 წლის ბაგა-ბაღებში არსებულ კორუფციულ ფაქტზე დაკავებულ დირექტორებთან დაკავშირებით ჰქონდა, ყველა კითხვას ვუპასუხე და მინდა აღვნიშნო, რომ გამოძიება ძალიან სწორი მიმართულებით მიდის, ჩემი ჩვენების საფუძველზეც ბევრი რამ გაირკვა.
**— რას გულისხმობთ?**
— იცით, რა? ბაგა-ბაღების ყოფილმა ხელმძღვანელებმა ერთდროულად მიმართეს გამოძიებას. მტკიცებით ფორმაში არ ვსაუბრობ, თუმცა ვეჭვობ, ეს ჩემ მიმართ იმერეთის ყოფილი ვიცე-გუბერნატორის, გოჩა თევდორაძის მიერ დაგეგმილი პატარა პოლიტიკური პროვოკაცია და ანგარიშსწორებაა. თუკი გამოძიება სწორი მიმართულებით წავა, ეს საქმე შეიძლება, თევდორაძის ბრალეულობის გამოკვეთით დასრულდეს. ასევე, მოვითხოვ, 2010 წელს დაწყებული გამოძიება, დასრულდეს და ყველა ის პიროვნება გახდეს ცნობილი, ვინც ბაგა-ბაღებში არსებული კორუფციული სქემის უკან იდგა. რაც შეეხება იმ ბაღის გამგეებს, რომლებმაც პროკურატურას მიმართეს, მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ მაქვს და ისინი, უბრალოდ, გოჩა თევდორაძის მიერ ჩემს წინააღმდეგ დაგეგმილი პოლიტიკური პროვოკაციის მსხვერპლი მგონია.
**— ანუ ბაგა-ბაღებში არსებული კორუფციული სქემის უკან გოჩა თევდორაძე იდგა?**
— ეს მხოლოდ ჩემი ეჭვია... თევდორაძესთან ერთად, შემიძლია დაგისახელოთ ქუთაისის საკრებულოს მაშინდელი წევრი მარინა ცირეკიძე. ამის შესახებ გამოძიებასაც მოვუყევი და იმედია, სიმართლეს დაადგენს.
**— თუკი ასეთი ეჭვი გქონდათ, ამ ადამიანების დასჯა გუბერნატორობის დროს რატომ არ მოითხოვეთ?**
— პირდაპირ გეტყვით: გუბერნატორობის დროს, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, ბევრი რამ მოვითხოვე, მაგრამ გამოძიების დაჩქარების პრეროგატივა არ მქონდა. რადგან გოჩა თევდორაძე ნაციონალურ მოძრაობას გაემიჯნა და მმართველ გუნდთან დაახლოებულ პირად მიიჩნევა, გამოძიებამ მისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება არც დააყენოს.
**— ბატონო ლაშა, ბაგა-ბაღების ყოფილი დირექტორები ამბობენ, რომ სამსახურებიდან, უშუალოდ, თქვენი გადაწყვეტილებით გაათავისუფლეს...**
— მათი გათავისუფლება, რა თქმა უნდა, ჩემი რეკომენდაციით მოხდა, რადგან დანაშაული, რომელსაც ისინი სჩადიოდნენ, ძალიან მძიმე იყო.
**— თუკი დანაშაულს ყველა ბაღის გამგე სჩადიოდა, მაშინ მხოლოდ რამდენიმე რატომ დააპატიმრეს?**
— ახლა ისეთ რამეს მეკითხებით, რომელიც ჩემი კომპეტენციის მიღმაა. ეს გამოძიების პრეროგატივა იყო, მე კი მსურდა, ბაღებში წესრიგი დამყარებულიყო. მარტივად რომ ვთქვათ, ეს ადამიანები ჩვენს შვილებს საჭმელს პარავდნენ და მიმაჩნია, რომ მძიმე დანაშაულს სჩადიოდნენ.
**— ბაღის ყოფილი გამგეები ამბობენ, რომ ერთ ოთახში ჩაკეტეს და სამსახურიდან წასვლაზე განცხადებები იძულებით დააწერინეს...**
— მაშინ სიმართლესთან ერთად, ბევრი ტყუილიც ითქვა. არავისთვის მიბრძანებია, ვინმე სადმე ჩაეკეტათ და მასზე ზეწოლა მოეხდინათ... ეს გამოძიების დასადგენია. თუკი ჩემი აზრი გაინტერესებთ, მსგავს ფაქტს გამოვრიცხავ, მეტსაც გეტყვით, ბაღის გამგეებს არც კი ვიცნობდი. იმასაც ამბობდნენ, რომ ამ ადამიანების გათავისუფლების შემდეგ, ბაღებში ნაცნობები და ახლობლები დავნიშნე. მინდა გითხრათ, რომ ქუთაისში მხოლოდ რამდენიმე ნაცნობი და მეგობარი მყავს... იმასაც გეტყვით, რომ ჩემი ჰუმანური გადაწყვეტილების შედეგად, ბაღის დაკავებული გამგეები ციხეში მხოლოდ რამდენიმე თვე ისხდნენ — ამის შესახებ სამინისტროს რეკომენდაციით მივმართე.
**— გოჩა თევდორაძის თემას დავუბრუნდეთ. თევდორაძე სხვა კორუფციული სქემის უკანაც იდგა?**
— მაგის თქმა ჩემგან რა საჭიროა, ისედაც ყველამ ყველაფერი კარგად იცის.
**— ანუ?**

**— მოგვიანებით გეტყვით, რომელი კორუფციული სქემების უკან იდგა. ამის შესახებ ყველამ იცის. გადახედეთ მის ოფიციალურ ქონებრივ დეკლარაციას და არაოფიციალური შემოსავლებიც მოიძიეთ. ამაზე ვრცლად მოგვიანებით გესაუბრებით, ახლა საჭიროდ არ მიმაჩნია. ამის შესახებ რომ ვიცოდი, ამიტომაც, ჩემი გუბერნატორობის დროს, პარტიის თავმჯდომარე ეგ აღარ იყო, ჩემს ოთახშიც ველარ შემოდიოდა. პარლამენტარის იმუნიტეტს ვერ გავუუქმებდი და მეტი რა მექნა? დანარჩენის შესახებ ოდნავ მოგვიანებით...**

**„ვერსიის“ სანდო წყაროს ინფორმაციით, ბაგა-ბაღების ხელმძღვანელთა ნაწილის დაკავება, ნაწილის კი სამსახურიდან გათავისუფლება, იმერეთის მაშინდელი ვიცეგუბერნატორის, გიგა შუშანიას პირადი სურვილითა და ლაშა მაქაცარიას ხელმძღვანელობით მოხდა. წყაროს თქმითვე, ბაგა-ბაღების სკანდალი შუშანია-თევდორაძეს შორის მომხდარმა კონფლიქტმა გამოიწვია — ერთ-ერთი შელაპარაკების დროს, გოჩა თევდორაძემ გიგა შუშანიას ხელი გაარტყა, შუშანიამ სწორედ ეს არ აპატია და თევდორაძეს „ხურდა“ ბაგა-ბაღების თემით დაუბრუნა და ბაგა-ბაღების კორუფციული სქემიდან შემოსული ფული „გადაუკეტა“. თევდორაძით იმერეთის მაშინდელი გუბერნატორი ლაშა მაქაცარიაც იყო დაინტერესებული — მათ კარგი ურთიერთობა არასოდეს ჰქონიათ.**

**„ვერსია“ ინფორმაციის გადასამოწმებლად იმერეთის ყოფილ ვიცე-გუბერნატორსა და ამჟამად ნაცონალურ მოძრაობასგამიჯნულ, პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელს, გოჩა თევდორაძეს დაუკავშირდა.**
**— ბატონო გოჩა, იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ლაშა მაქაცარია ამბობს, რომ ბაგა-ბაღებში არსებული კორუფციული სქემის უკან იდექით.**
— მერე, მე რა ვქნა?
**— მაქაცარიას ბრალდებაზე პასუხს არ გასცემთ?**
— მაქაცარიას სულ უნდოდა, ყველანაირი სიგლახის უკან მე ვმდგარიყავი. მაქაცარიასა და მისნაირებზე რომ ააგო ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი სტრატეგია, ამიტომაც მიიღო პირველი ოქტომბერი. ყველას თავისი გაჭირვების გადატანა სხვის ხარჯზე უნდა და მე რა ვქნა?
**— თქვენი აზრით, მაქაცარიას ბრალდების მიზეზი რა არის?**
— ალბათ, ის, რომ იმერეთში ჩემმა ქმედებებმა ყველაზე მეტად დაარტყა მაქაცარიასა და მისნაირებს.
**— ლაშა მაქაცარია სხვა კორუფციული სქემების უკანაც მოგიაზრებთ...**
— აბა, ახლა, მაქაცარია ჩემზე სხვას რას იტყვის?! ის კაცი არ ვარ, მაგის მსგავსად ვილაპარაკო. მაქაცარიამ, ყველანაირი კანონდარღვევით, ქუთაისის მერად ბესიკ ბრეგაძეც კი დანიშნა, მაგრამ ჩვენ ყველა წესის დაცვით დავნიშნეთ შემდეგი მერი. მაქაცარია ასეთი კაცია. მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო. მაქაცარია და მისნაირები იყვნენ ხალხის სამსახურიდან მომხსნელებიც, დამჭერებიცა და ყველანაირი უბედურების სათავეებიც.
**— ბატონო გოჩა, „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ბაგა-ბაღების სკანდალი თქვენსა და ყოფილ ვიცე-გუბერნატორ გიგა შუშანიას შორის არსებულმა კონფლიქტმა გამოიწვია. გავრცელებული ინფორმაციით, შუშანიას სახეში ხელი გაარტყით...**
— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ შუშანია არასოდეს მიცემია. ამის ღირსად, უბრალოდ, არასოდეს ჩავთვლიდი...
**— რაც შეეხება თქვენი და მაქაცარიას ურთიერთობას?**
— მასთან კარგი ურთიერთობა არასოდეს მქონია. როდესაც საკრებულოს არჩევნები ტარდებოდა, საარჩევნო სიის შედგენასთან დაკავშირებით, გარკვეული უთანხმოება გვქონდა. მას შემდეგ მასთან ურთიერთობა არ მქონია და არც ვთვლიდი საჭიროდ...

## ვერსიანიუსი

### ირაკლი ალასანია: „ყველა მოძალადე უნდა დაისაჯოს!“



საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, ყველა მოძალადე უნდა დაისაჯოს. როგორც ალასანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ფაქტია, რომ საქართველოში იქმნებოდა მასობრივი წამების, სადიზმის ინსტიტუტები.
**„ჩემი აზრით, ეს უნდა გასამართლდეს საჯაროდაც, რათა ჩვენ და, ზოგადად, კაცობრიობამ მეორედ არ დაუშვას ასეთი შეცდომა და ასეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბება თავიდან აიცილოს. პოლიტიკურად, პასუხისმგებლობა ამაზე ეკისრება არა მხოლოდ სამართალდამცავი სტრუქტურების მაშინდელ ხელმძღვანელობას, არამედ პირადად პრეზიდენტ სააკაშვილსაც. რაც შეეხება კრიმინალურ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ეს, ბუნებრივია, გამოძიების დასადგენია“,** — აღნიშნა ალასანიამ.

***„მედიანიუსი“***

### კახეთში გარყვნილი ქმედებისთვის 57 წლის მამაკაცი დააკავეს




შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1956 წელს დაბადებული რობიზონ ჩ. არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედებისთვის დააკავეს.
გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა ახმეტის რაიონში 9 წლის მოზარდის მიმართ 2012 წლის ზაფხულში გარყვნილი ქმედება ჩაიდინა. სამართალდამცველებმა რობიზონ ჩ. მიმდინარე წლის 20 ივნისს საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს.
გამოძიება გარყვნილი ქმედების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 141-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

***„ვერსიანიუსი“***



## 1 ივლისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ფართოვდება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 1 ივლისიდან ფართოვდება ურგენტული შემთხვევების დაფინანსების სპექტრიც. სამინისტროს ინფორმაციით, გაფართოებული პროგრამა ითვალისწინებს ამბულატორიაში ოჯახის ექიმის მომსახურების, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევების დაფინანსებას. ასევე დაფინანსდება გეგმური ოპერაციების ფართო სპექტრი (წლიური ლიმიტი 15 000 ლარი, დაფინანსდება 70%-ით), ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობა (წლიური ლიმიტი 12 000 ლარი, დაფინანსდება 80%-ით), ორსულთა პატრონაჟი და მშობიარობა (ფიზიოლოგიური 500 ლარი, საკეისრო კვეთა — 800 ლარი).

პროგრამით მოსარგებლეებს უფლება ექნებათ, თავად აირჩიონ სასურველი კლინიკა საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა და საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს შეეხო, რომლებსაც 28 თებერვლის მდგომარეობით, დაზღვევა არ გააჩნდათ.

28 თებერვლიდან დღემდე, პროგრამაში დარეგისტრირებულია 1 347 658 ბენეფიციარი. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის სრული ვერსია უახლოეს დღეებში, ჯანდაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდებზე გამოქვეყნდება. ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობს ცხელი ხაზი ნომრით — 1505.

*რადიო „კომერსანტი“*



## სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებმა რუსეთში ექსპორტის დაწყებისთვის სურსათის სააგენტოს უნდა მიმართონ

როსსელხოზნადზორმა ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის აკრძალვის განკარგულება გააუქმა, რამდენად წარმატებული იქნება რუსულ ბაზარზე ქართული ხილ-ბოსტნეულისა თუ თაფლის გატანა, ეს ბიზნესზეა დამოკიდებული, — ამის შესახებ რადიო „კომერსანტს“ სურსათის ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს.

რუსული მედიის ინფორმაციით, საქართველოდან რუსეთში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გატანა, შესაძლოა, ორ-სამ კვირაში დაიწყოს. ამის შესახებ საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა, ზურაბ ჩეკურიშვილმა მოსკოვში, როსსელხოზნადზორის ხელმძღვანელთან, სერგეი დანკვერტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ურთიერთგაგებას მიაღწიეს და ახლა სოფლის მეურნეობის ცალკეული პროდუქციის მიწოდების პირობებს აზუსტებენ:

**„მიწოდების პირობების საბოლოო შეთანხმებაზე მუშაობა ორ-სამ კვირაში უნდა დასრულდეს. ამავე პერიოდში დაიწყება ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება. ესაა მცენარეული პროდუქციის ჩვეულებრივი სპექტრი – სანელებლები, ხილი, ბოსტნეული, ასევე თაფლი“,** – აცხადებს ჩეკურიშვილი.

მიწოდებას ორმხრივი ხასიათი ექნება, თავის მხრივ, რუსეთი საქართველოს ცხოველური წარმოშობის პროდუქტს, ხორცსა და რძის პროდუქტებს მიაწვდის. შეგახსენებთ, რომ 10 ივნისიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის ნებართვების გაცემის წესი, პირობები და სანებართვო მოწმობის ფორმები იცვლება. იმპორტიორების განმარტებით, თუ აქამდე კომპანიებს „აისო სერტიფიკატის“ ფლობის შემთხვევაში, პროდუქცია ქვეყანაში უპრობლემოდ შემოჰქონდათ, ამჯერად იმპორტის განხორციელებისთვის, სურსათის ეროვნულ სააგენტოს უნდა მიმართონ, სააგენტომ კი ინსპექტირება უნდა ჩაატაროს.

*რადიო „კომერსანტი“*

# საქართველოს მოსახლეობის ზუსტი რაოდენობა და ამომრჩეველთა სია 2014 წლის ნოემბერში დაზუსტდება

## „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორი ზაზა ჭელიძე საყოველთაო აღწერის დეტალებზე საუბრობს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაში, სააკაშვილის ხელისუფლებამ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თარიღის დადგენა ვერ ან არ მოასწრო. 2013 წლის 2 აპრილს კი, ივანიშვილის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარდება. „საქსტატის“ აღმასრულებელი დირექტორი ზაზა ჭელიძე „ვერსიას“ საყოველთაო აღწერის მეთოდოლოგიურ-ტექნიკურ დეტალებზე ესაუბრა.**

— მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5-დან 19 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდება, რა დროსაც ჩვენი ინტერვიუერები თითოეულ ოჯახში შევლენ და სპეციალურ კითხვარს თითოეულ ადამიანზე შეავსებენ, თუმცა მანამდე მომზადება გვჭირდება, რადგან არ ვიცით, როგორაა განლაგებული მოსახლეობა ქვეყნის ტერიტორიაზე. მეტიც, შენობები იდენტიფიცირებული არაა — არ ვიცით, რომელ შენობაში ცხოვრობს ხალხი და რომელში არა, არ გვაქვს ინფორმაცია, სავარაუდოდ, რა რაოდენობის მოსახლეობა გვყავს თითოეულ სოფელსა თუ ქალაქში. ერთი ინტერვიუერის სამოქმედო არეალი რომ განვსაზღვროთ, რომელსაც მიზანმიმართულად გავუშვებთ კონკრეტულ მისამართზე, პირველადი შემოვლა გვჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ინტერვიუერები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე სპეციალური რუკის საშუალებით გავლენ და შენობების რეესტრს გააკეთებენ. შესაბამისად, გაიმიჯნება შენობები, რომელში ცხოვრობს მოსახლეობა და რომელში არა. გარდა ამისა, ისინი ოჯახების რეესტრსაც განახორციელებენ და მარტივად დავაზუსტებთ, როგორც შენობებს, ასევე მოსახლეობის ოდენობას. 2014 წლისთვის, სწორედ ამ მონაცემებით განვსაზღვრავთ თითოეული ინტერვიუერის სამოქმედო არეალს.

პირველადი შემოვლისთვის, საქართველოს ტერიტორია 3 500 სააღწერო უბნად დავყავით — 3 500 რეგისტრატორი ველზე სპეციალური, ელექტრონულ-კარტოგრაფიული რუკით გავა და რეესტრს გააკეთებს, ანუ ოჯახში მისულები მხოლოდ გვარს, ასევე, ოჯახის წევრების რაოდენობას იკითხავენ ამ პროცესს 2013 წლის 1 ივლისიდან აჭარასა და გურიაში დავიწყებთ, 15 ივლისს კახეთში გადავინაცვლებთ, ნოემბერ-დეკემბერში — თბილისში, სამეგრელოსა და სამხრეთ საქართველოში, 2014 წლის თებერვალში კი — იმერეთში, ქართლსა და საქართველოს დანარჩენ რაიონებში. 2014 წლის თებერვლიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდს კი იმისთვის გამოვიყენებთ, რომ კითხვარების საბოლოო ვარიანტი შედგეს და დამტკიცდეს. ამავდროულად, საქართველოს 11 000 სააღწერო უბნად დავყოფთ, რათა 11 000 ადამიანი მოვამზადოთ, რომელსაც ზუსტად ეცოდინება, რომელ შენობაში უნდა მივიდეს.

საყოველთაო აღწერის შედეგად, მოსახლეობის რაოდენობას დავითვლით და ინფორმაცია მხოლოდ რაოდენობაზე კი არ გვექნება, არამედ გენდერული და ასაკობრივი ჯგუფების მონაცემებსაც დავაზუსტებთ, მოსახლეობას სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობის სტატუსის მიხედვით დავყოფთ და ზუსტად გვეცოდინება, რამდენია დასაქმებული, უმუშევარი და სამუშაოს მაძიებელი. გარდა ამისა, დავაზუსტებთ, მოსახლეობის რა რაოდენობა ფლობს საკუთარ სახლს და რამდენი უსახლკაროა ქვეყანაში; ასევე, როგორია მოსახლეობის განათლების დონე, მაგალითად, რამდენი ბავშვი დადის სკოლაში და რამდენი არა. მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებითაც ზუსტი მონაცემი გვექნება. მოკლედ, ესაა 6-გვერდიანი, საკმაოდ რთული კითხვარი, რომელიც ყველა ტიპის ინფორმაციას მოიცავს, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო აქტივობის შესახებაც. აღწერით, პრაქტიკულად, ყველა ტიპის ინფორმაციას განვაახლებთ და, თითოეული სოფლის, მუნიციპალიტეტისა თუ რეგიონის დონეზე, სრულყოფილ ინფორმაციას დავდებთ.

— **ბატონო ზაზა, ამ აღწერაში მთავარი პოლიტიკური პრობლემა ის არის, რომ საქართველოს ტერიტორიები დაკარგულია, რამდენად ზუსტი ინფორმაცია გვექნება 2014 წლის ნოემბერში?**

— ბუნებრივია, აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის რაოდენობას ვერ დავითვლით, 2002 წელსაც არ დაუთვლიათ. მეტიც, მიმდინარე სტატისტიკური კვლევები, რასაც სულ ვაკეთებთ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისედაც არ ხორციელდება. რა თქმა უნდა, ეს პრობლემაა, რადგან მოსახლეობის ახალი აღწერის მონაცემებში, საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებს ვერ გავითვალისწინებთ.

— **შიდამიგრაცია ახსენეთ, მაგრამ ქვეყანას დევნილების პრობლემაც აქვს. შესაძლებელია, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს ეს მონაცემებიც დაზუსტდეს?**



— ბოლო წლებში, განსაკუთრებით, 2002 წლის შემდეგ, როცა ბოლო აღწერა ჩატარდა, საქართველოში შიდამიგრაციული პროცესები აქტიურად მიმდინარეობდა. შიდამიგრაცია რეგულირებული არაა — ადამიანები საცხოვრებელ ადგილს, განსაკუთრებით, ერთი და იგივე მუნიციპალიტეტის, ან ქალაქის ტერიტორიაზე ხშირად იცვლიან, მაგრამ ვალდებულნი არ არიან, რომ ეს პროცესი დაარეგისტრირონ, ამიტომ შიდამიგრაციული მოძრაობები აღურიცხავია. ახალი აღწერის შედეგები კი საშუალებას მოგვცემს, ინფორმაცია 2002 წლის აღწერის შედეგებს შევადაროთ და ვნახოთ, ამ 10 წლის განმავლობაში, სად მოხდა მოსახლეობის კონცენტრაცია უფრო მეტად, ან სად შეიცვალა მდგომარეობა, სად შემცირდა რაოდენობა და სხვა. ბუნებრივია, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობასაც დავაზუსტებთ, რადგან აღწერის დროს მათაც აღვრიცხავთ. იგივე შეიძლება ითქვას ეკომიგრაციაზეც, იმ ადამიანებზე, რომლებიც ქვეყანაში არიან შემოსულები, ან პირიქით, ქვეყნიდან გავიდნენ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს, ამომრჩევლის სიაა, რადგან აღწერით, ადგილზე მყოფი ადამიანების რაოდენობა დაზუსტდება, რაც მნიშვნელოვანია. ამომრჩეველი ყველგანაა, მათ შორისაა ის ადამიანებიც, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, მაგრამ დროებით, ქვეყანაში არ ცხოვრობენ. აღწერით კი ზუსტად გვეცოდინება, მოსახლეობის რა რაოდენობა ცხოვრობს მუდმივად ქვეყანაში და რამდენია ქვეყნიდან დროებით გასული.

— **2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა რამდენი იყო?**

— დაახლოებით, 4 375 000. დღეს კი, დაახლოებით, 4 483 000 მოქალაქე ვართ.

— **აქედან, მოსახლეობის რა რაოდენობაა საზღვარგარეთ?**

— აღწერა იმიტომ ტარდება, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა დაზუსტდეს. საქართველოზე ბევრად განვითარებული რეგისტრაციის ქვეყნებშიც კი, სწორედ აღწერიდან აღწერამდე ზუსტდება მოსახლეობის რაოდენობა. ყველა ქვეყანაში, რეგიონი იქნება თუ ევროკავშირის წევრი, მიმდინარე აღწერის დროს, მოსახლეობის რაოდენობა იცვლება. აღწერიდან აღწერამდე, ორ ძირითად ინფორმაციას ვიყენებთ. ერთია, ბუნებრივი მატება ანუ განსხვავება შობადობა-გარდაცვალებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში, საქართველოში რეგისტრაცია განვითარდა, გარკვეული ხარვეზები მაინც გვაქვს, განსაკუთრებით, 2002-დან 2005 წლამდე პერიოდში. გარდა ამისა, დიდია მიგრაციაც, ჩვენ ვიყენებთ ბუნებრივ მატებას, რასაც მიგრაციის სალდოს ვამატებთ ანუ ქვეყანაში შემოსვლასა და გასვლას შორის განსხვავებას. ბუნებრივია, აქ ვერ ხდება იდენტიფიცირება ქვეყანაში დროებით, მოკლე ვიზიტით ჩამოსულებს, გასულებსა და მიგრანტებს შორის, მაგრამ აღწერის დროს, ეს მონაცემებიც დაზუსტება, შესაბამისად, მოსახლეობის რაოდენობა შეიცვლება და მოსალოდნელია, შემცირდეს კიდეც. მართალია, დღეს 4 483 000 მოქალაქე გვყავს, მაგრამ შესაძლოა, უფრო ნაკლებიც იყოს. ზოგადად, მოსახლეობის რაოდენობა იმ ქვეყნებში იზრდება, სადაც მაღალია შობადობა, მაგალითად, აფრიკასა და სამხრეთ აზიაში, ასევე იმ ქვეყნებშიც, რომლებიც მიგრანტების მიმღებად ითვლებიან, მაგალითად, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. საქართველოს ტიპის ქვეყნებში, მოსახლეობის რაოდენობა შეიცვალა და ყველგან შემცირდა, მაგალითად, სომხეთში, ასევე, ევროპის პატარა ქვეყნებშიც.

— **აღწერის დროს საარჩევნო სიასაც დააზუსტებთ?**

— დიახ, მაგრამ აღწერას მხოლოდ საარჩევნო სიების დასაზუსტებლად არ ვატარებთ, ეს ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია, რომელსაც პოლიტიკურ პარტიებთან კავშირი არ აქვს. აღწერა ყველასთვის, თითოეული მოქალაქისთვის ტარდება, რათა მარტივად გავიგოთ, რამდენი ვართ.

# მითები ლუდის წარმოებაზე

## რატომ ჰგონიათ ადამიანებს, რომ ბაზარზე დამკვიდრების შემდეგ, მწარმოებელი პროდუქტის ხარისხს გააფუჭებს

**ხშირად, ადამიანები გადაჭარბებული უნდობლობით გამოირჩევიან. ზოგჯერ, შესაძლოა, ეს დადებითი შედეგების მომტანიც კი იყოს, მაგრამ ასეთი უნდობლობა, უბრალოდ, გაუმართლებელია. მაგალითად, ბაზარზე ახალი პროდუქტი ბოლომდე არ არის გამოსული და უკვე ბევრი ამბობს: „უჰ, ხარისხს უეჭველად გააფუჭებენ“, „თავიდან კარგი იქნება, მერე — კაცმა არ იცის“, „ჯერ კლიენტებს ხარისხით მიიზიდავენ, მაგრამ რად გინდა, მალე ყველაფერი შეიცვლება“...**



ზუსტად ასე ხდება ხოლმე ბაზარზე ახალი ლუდის გამოჩენის დროსაც, რაც მხოლოდ უნებური შეცდომაა და სხვა არაფერი. სხვათა შორის, ეს რომ მართლაც ასეა, მეცნიერებიც კი ადასტურებენ, თუმცა ამაზე მოგვიანებით. კომპანია, რომელიც დიდწილად, დამოკიდებულია პროდუქციის, ამ შემთხვევაში ლუდის, ოღონდ ხარისხიანი პროდუქციის გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალზე, რატომ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ პირველი ერთი თვე ბაზარს ხარისხიანი ნაწარმი შესთავაზოს, შემდეგ კი პროდუქტს რამე დააკლოს?!

ნებისმიერმა მენეჯერმა და მარკეტოლოგმა შესანიშნავად იცის, რომ თუკი სხვადასხვა მიზეზის გამო, ლუდის ხარისხი შეიცვლება, კომპანია აუცილებლად დიდ ზარალს ნახავს. მაშ, რატომ არის, რომ მომხმარებლები მაინც ხშირად იწუნებენ ლუდს? აი, ზუსტად აქ გვინდა მეცნიერების დახმარება.

ამ თემაზე საკმარისზე ბევრი კვლევა ჩატარდა აშშ-ში, ევროპასა და თითქმის მთელ მსოფლიოში, შედეგი კი ყველგან ერთნაირია: როცა ადამიანი ნებისმიერი სახეობის პროდუქტის ერთსა და იმავე გემოს ეჩვევა, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ეს გემო, უბრალოდ, ბეზრდება. ისიც მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ადამიანის თავის ტვინში არსებობს კონკრეტული მონაკვეთი, რეცეპტორების კომპლექტი, რომელიც სიამოვნების აღქმასა და შესაბამის რეაგირებაზეა პასუხისმგებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც ადამიანი გემრიელ პროდუქტს მიირთმევს, ამ დროს თავის ტვინი შესაბამის რეაქციას ავლენს — სიამოვნებას განიცდის და რაც მთავარია, აღიქვამს. გადის დრო, ეს რეცეპტორები გემოს ეჩვევა და სიამოვნების შეგრძნება ქვეითდება. შესაბამისად, ჩნდება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და ერთი ძალიან ბუნებრივი მოვლენა — უნდობლობა...

ექსპერიმენტის ფარგლებში, ამერიკელი მეცნიერები 200-მდე მოხალისეს, 2 თვის განმავლობაში, ერთსა და იმავე პროდუქტს სთავაზობდნენ. ექსპერიმენტის შუა პერიოდში, რესპონდენტების 68%-მა დაიჩივლა, რომ პროდუქტი ისეთი ხარისხის აღარ იყო, როგორიც ადრე. არადა, რეალურად, კვლევის ავტორებს მის შემადგენლობაში არაფერი შეუცვლიათ. მაშ, რამ გამოიწვია ექსპერიმენტის მონაწილეებში ასეთი უჩვეულო ცვლილება? როგორც თავის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსულმა ტომოგრაფიამ აჩვენა, შესაბამისი რეცეპტორებიდან, ადამიანი ძველებურად ძლიერ სიგნალებს აღარ იღებდა, რაც თავის მხრივ, სწორედ მიჩვევამ გამოიწვია. ყველაფერი ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ უმჯობესია, ადამიანმა, პერიოდულად, საკუთარ გასტრონომიულ მიდრეკილებებს გადახედოს და მენიუ უფრო გაამრავალფეროვნოს.

მაგალითად, ვისაც „ნატახტარის“ რომელიმე, ერთი სახეობის ლუდი უყვარს გამორჩეულად, შეუძლია, პერიოდულად, იმავე ლუდსახარშის სხვა პროდუქტიც დააგემოვნოს, მით უმეტეს, რომ არჩევანი საკმაოდ დიდია, რადგან „ნატახტარი“ მომხმარებელს 6 სახეობის ლუდს სთავაზობს, ესენია: „ნატახტარი“, „მთიელი“, „კასრი“, „ქარვა“, „ექსტრა“, „კაიზერი“.

# მარნეულის სასურსათო ქარხნისა და კულინარიის აკადემიის ერთობლივი პროექტი „მარგებელი კულინარია“




## გადაუღე, აცვირთე და დაამტკიცე, რომ „ის“ მარგებელია!

„მარნეულის სასურსათო ქარხანა“ და კულინარიის აკადემია გურმანებს, მზარეულებს, კულინარებს, განსაკუთრებით კი მათ, რომელთაც ფოტოხელოვნებაც იზიდავს ან, უბრალოდ, განსაკუთრებული ფანტაზიის უნარით გამოირჩევიან, სპეციალურ კონკურსში იწვევს.

„მარგებელი კულინარია“ — ასე ჰქვია „მარნეულის სასურსათო ქარხნისა“ და კულინარიის აკადემიის ერთობლივ პროექტს, რომელშიც მონაწილეობა მარტივი და ამასთან „მარგებელია“.

მთავარი მოთხოვნაა, „მარნეულის სასურსათო ქარხნის“ მიერ წარმოებული ნებისმიერი პროდუქტის გამოყენება კერძის/დესერტის მომზადებისას.

გადაუღე ფოტო შენს მიერ მომზადებულ კერძს/დესერტს და დაამტკიცე, რომ შენი მომზადებული კულინარიული ნიმუში ყველაზე გემრიელი და მარგებელია.

ფოტო რეცეპტის თანხლებით გამოაგზავნეთ ელ.მისამართზე — margebelikulinaria@gmail.com მიუთითე ინგრედიენტები და მომზადების წესი.

**კონკურსის „მარგებელი კულინარია“ მედიაპარტნიორია „რუსთავი2“-ის გადაცემა „სხვა შუადღე“.**

**კონკურსი ორი ეტაპისგან შედგება:**

I ეტაპზე საკონკურსო ფოტოსურათები აიტვირთება მარნეულის სასურსათო ქარხნის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე — www.fb.me/marneulifactory. ორი კვირის შემდეგ გამოვლინდება 10 გამარჯვებული, მათ შორის 6 ლაიქების რაოდენობის გათვალისწინებით , კომპეტენტური ჟიური 4-ს „მარგებელი დესერტისა“ და „მარგებელი კერძის“ კრიტერიუმებით შეარჩევს. ფოტოკონკურსის ყველა გამარჯვებულს მარნეულის სასურსათო ქარხანა საყოფაცხოვრებო ტექნიკით დააჯილდოვებს.

**უფრო მეტი სტიმულისთვის კონკურსში მონაწილეებს დამატებითი პრიზის მოპოვების შანსი ეძლევათ.**

II ეტაპი დაკომპლექტდება კონკურსანტების საუკეთესო 20-ეულით, რომელთა ფოტოსურათებმაც ყველაზე მეტი ლაიქი მოაგროვეს.

გამოავლინე შენი კულინარიული ნიჭი პრაქტიკაში, — კულინარიის აკადემიაში გააცოცხლე ფოტოზე აღბეჭდილი კერძი/დესერტი და ჟიურის წევრებს დააგემოვნებინე.

მეორე ეტაპის შემდეგ გამოვლინდება 5 გამარჯვებული ნომინაციებში: „მარგებელი დესერტი“, „მარგებელი კერძი“ და „მარგებელი რეცეპტების“ კონკურსს ეყოლება ერთადერთი „მარგებელი კულინარი“ .

თქვენს შესაძლებლობებს კომპეტენტური ჟიური შეაფასებს:

**მერიკო გუბელაძე** („რუსთავი 2“-ის გადაცემა „სხვა შუადღე“, თანაწამყვანი);

**ლევან კობიაშვილი** (კულინარიის აკადემია, ლექტორი);

**ნათა წერუაშვილი** (კულინარიის აკადემია, ლექტორი).

დეგუსტაციის შემდეგ გამოვლინდება 5 ყველაზე „მარგებელი კულინარი“, რომელსაც მარნეულის სასურსათო ქარხანა მსხვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკით დააჯილდოვებს, ხოლო მათგან საუკეთესო სამეული კულინარიის აკადემიაში სამოყვარულო კურსს გაივლის.

**„მარგებელი პრიზები“**

I ეტაპი — ყველა გამარჯვებულს გადაეცემა წვენსაწური აპარატი;

II ეტაპი — პრიზები გადანაწილდება ნომინაციების მიხედვით:

- **I ადგილი — „მარგებელი კულინარი“;**
- **II – III ადგილი — „საუკეთესო მარგებელი დესერტი“ და „საუკეთესო მარგებელი კერძი“;**
- **IV — V ადგილი — „მარგებელი კერძი“ და „მარგებელი დესერტი“.**

„მარგებელ კულინარს“ მარნეულის სასურსათო ქარხანა დამატებით ასაჩუქრებს — გამარჯვებულ რეცეპტზე სპეციალურ ვიდეო-რგოლს მოუმზადებს, რომელიც განთავსდება კომპანიის ვებგვერდზე!

# „უნივერსიტეტების რექტორები აკადემიურმა საბჭომ კი არა, შეიძლება, მთლიანმა პროფესურამ აირჩიოს!“

## თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, თსუ-ს სრული პროფესორი ჯაბა სამუშია დისერტაციის დაცვის გამკაცრების ინიციატივით გამოდის



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**უმაღლესი განათლების ახალ კანონპროექტზე ვნებათაღელვა არ ცხრება. პროფესორთა ნაწილი, სტუდენტების მსგავსად, კანონპროექტს იწუნებს და ამბობს, უნივერსიტეტებს ავტონომიურობასა და ახალგაზრდა პროფესურას დააკარგვინებსო; მეორე ნაწილს კი საპირისპირო მოსაზრება აქვს და მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო ცვლილებები უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ ხარვეზებს გამოასწორებს. ყველაფერ ამაზე „ვერსია“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ჯაბა სამუშიას ესაუბრა.**

— ეს კანონი აბსოლუტურად არაა ისეთი, როგორც ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს უნდათ, წარმოაჩინონ. ის წლები მახსენდება, როცა უნივერსიტეტების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო — უნივერსიტეტების ავტონომიაზე დღეს ისინი საუბრობენ, ვინც უნივერსიტეტებში ავტონომია, პრაქტიკულად, ჩაკლა. 2006 წელს თსუ-დან ბევრი პროფესიონალი გააძევეს, აკადემიურ თანამდებობებზე უვიცი პროფესურა მიიყვანეს და იმის გამო, რომ ძალიან ბევრი ღირსეული და პროფესიონალი უნივერსიტეტის გარეთ აღმოჩნდა, სალექციო კურსებიც ჩაიშალა — ახალი პროფესორები ლექციებს კონსპექტებით კითხულობდნენ, რის გამოც სტუდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ ნებისმიერი უნივერსიტეტის რექტორი შეიძლება, აკადემიური ჩინის მქონე არ იყოს. ახალი კანონით კი, რექტორს დისერტაცია უნდა ჰქონდეს დაცული და თავის დროზეც ასე იყო, მაგრამ მაშინ კანონი ალექსანდრე კვიტაშვილის გამო შეცვალეს, რადგან პროფესორი არ იყო. ახლა კი, სამართლიანობა აღდგება — უნივერსიტეტს აუცილებლად დოქტორი უნდა ხელმძღვანელობდეს. მეტიც, ვიცი, რექტორის არჩევის გაცილებით რთულ და საინტერესო ფორმაზეა საუბარი ანუ რექტორი, შესაძლოა, უნივერსიტეტის მთლიანმა პროფესურამ აირჩიოს და არა პატარა ჯგუფმა, მაგალითად, აკადემიურმა საბჭომ. ახალი კანონით უნივერსიტეტები ზუსტად ისეთ ავტონომიას მიიღებენ, როგორიც ცივილურ სამყაროში...

— **ამ კანონპროექტით, როგორც ვიცი, რექტორისა და დეკანის ხელფასი მკაცრადაა განსაზღვრული...**

— უნივერსიტეტის მოქმედი სრული პროფესორი ვარ და ეს პრობლემა კარგად ვიცი. ძველი კანონით თავკომბალა გვქონდა — ადმინისტრაციას შეეძლო, პრემია და გასამმაგებული ხელფასი აეღო, პროფესურას კი არა. არადა, ყველაზე დიდი თანხა სწორედ პროფესურაზე უნდა იხარჯებოდეს, ვინაიდან უნივერსიტეტი სტუდენტი და პროფესორია. რექტორი ზოგად მენეჯმენტს ახორციელებს, მაგრამ სტუდენტებს განათლებას არ აძლევს..

— **ოპონენტთა თქმით, მას შემდეგ, რაც კანონპროექტი კანონად იქცევა, უნივერსიტეტებს საშუალება აღარ ექნებათ, უცხოელი დეკანი მოიწვიონ და მას მაღალი ხელფასი დაუნიშნონ.**

— კანონპროექტის მიხედვით, დეკანს, რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფესორთან შედარებით, არანაკლებ 1,15 კოეფიციენტით მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს. თუ უნივერსიტეტის პროფესურას რექტორი ხელფასს გაუზრდის, უფლება ექნება, პროფესორზე მაღალი ხელფასი აიღოს. აქამდე, უნივერსიტეტების რექტორების ნაწილის ჯამაგირი 10 000 ლარი იყო, პროფესორი კი, 500-600 ლარს იღებდა. სხვათა შორის, საქართველოში, ამ წლების განმავლობაში, ერთი უცხოელი დეკანიც არაა მოწვეული და ამ ფონზე, კანონში ჩავსვათ ისეთი მუხლი, რომელიც მთელ უნივერსიტეტებს ამახინჯებს?! მაღალი ანაზღაურება მან უნდა მიიღოს, ვინც შრომობს. უნივერსიტეტებში კი ყველაზე მეტს პროფესურა შრომობს.

— **კანონპროექტი ბევრ პროფესორს აკადემიური სტატუსის გარეშე ტოვებს. ეს სამართლიანია?**

— აქამდე სამი თანამდებობა — სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი არსებობდა. ზოგიერთ უნივერსიტეტში შესაძლებელი იყო, ასოცირებულისა და ასისტენტ-პროფესორის თანამდებობა დისერტაციადაუცველ ადამიანს დაეკავებინა.

**თუ უნდათ, პროფესორები გახდნენ, კეთილი ინებონ და, დისერტაცია დაიცვან! ევროკავშირის ქვეყნებში პროფესორობას ისე ვინ მოგცემს, თუ დისერტაცია არ გაქვს დაცული? მერე, რა, რომ ვიღაცამ კოლუმბიის უნივერსიტეტი დაამთავრა? — დისერტაციის დაცვით მეცნიერის დონე მოწმდება... 2006 წელს ასისტენტ-პროფესორთა წაკითხულ ლექციებზე ანეკდოტებს ჰყვებოდნენ. მერე მათმა ნაწილმა დისერტაცია სამარცხვინოდ დაიცვა — იყო შემთხვევები, როცა მივლინებაში პროფესორები უცხოეთის ბიბლიოთეკებში არსებულ დაცულ დისერტაციებს ქართულად თარგმნიდნენ და მერე საქართველოში იცავდნენ. დისერტაციის დაცვა ამიტომაც უნდა გამკაცრდეს!**

— **ბატონო ჯაბა, ოპონენტები იმასაც ამბობენ, ახალი კანონით, ძალიან ბევრი პროგრამა გაუქმდება, რადგან ეს პროგრამები მათ შექმნეს, ვინც განათლება უცხოეთში მიიღო, მაგრამ დისერტაცია არ დაუცვიაო...**

— ასეთი ადამიანების მიერ წაკითხული ლექცია, რეალურად, სემინარია — უცხოეთიდან 5-6 წიგნი აქვთ ჩამოტანილი და სტუდენტებს ევროპულ გამოცდილებასა და სამეცნიერო მიღწევებს უზიარებენ.

— **კანონპროექტის წინააღმდეგ, სტუდენტებმა და ილიას უნივერსიტეტის პროფესურამ აქციები გამართა. თსუ-ს პროფესორები აქციას რატომ არ შეუერთდით?**

— თსუ-ში, ძირითადად, დისერტაციადაცული პროფესურაა და ეს პრობლემა არ დგას. ეს კანონი იმისთვისაა, რომ უნივერსიტეტებს ნორმალური პროფესურა ჰყავდეს. პროფესორი, 7 წლის განმავლობაში, ერთ წიგნს რომ ვერ გამოსცემს და დისერტაციას ვერ დაიცავს, უნივერსიტეტში გასაჩერებელია?!




## საქართველო რუსეთის მოსახლეობისთვის „ნომერპირველი მტერი“ აღარაა

რუსეთის მოსახლეობისთვის „ქვეყნის ნომერპირველი მტრის“ კატეგორიაში საქართველომ და აშშ-მ ადგილები გაცვალეს. „ლევადა ცენტრის“ კვლევის მიხედვით, რუსეთში გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყნის ნომერპირველი მტერია.

კვლევის ავტორებმა რესპოდენტებს სთხოვეს, დაესახელებინათ 5 ქვეყანა, რომელსაც რუსეთის მიმართ მტრულად და არამეგობრულად განწყობილად მიიჩნევდნენ. გამოკითხულთა 38%-მა ასეთად აშშ დაასახელა; 33%-მა — საქართველო; ლატვია — 21%-მა; ლიტვა — 17%-მა, ესტონეთი — 16%-მა.

გასულ წელს ჩატარებული ანალოგიური კვლევის მიხედვით, საქართველო პირველ ადგილზე იყო 41%-ით, ხოლო აშშ — მეორეზე 35%-ით.

აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველო პირველად გადავიდა ამ სიაში მეორე ადგილზე.

კვლევა რუსეთში 24-27 მაისს ჩატარდა და სულ 1601 ადამიანი გამოიკითხა.

*„ინტერპრესნიუსი“*



## მეჰრიბან ალიევა საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელდა

აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის მეუღლე მეჰრიბან ალიევა საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელდა. მისი კანდიდატურა პარტიამ „მშვიდობა დემოკრატიულ აზერბაიჯანს“ დაასახელა. აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნები ოქტომბერშია დანიშნული. ეს გადაწყვეტილება პარტიის აქტივისტებმა 15 ივნისის ყრილობაზე მიიღეს, თუმცა ამის შესახებ ცნობილი ახლა გახდა.

პარტიის წევრთა მიერ მეჰრიბან ალიევას ოფიციალური წარდგენა ამ კვირასაა დაგეგმილი. ამასთან, პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების შესახებ მოქმედი პრეზიდენტის მეუღლეს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პარტია „ენი აზერბაიჯანი“ საპრეზიდენტო კანდიდატად კვლავ ილჰამ ალიევს ასახელებს. მეჰრიბან ალიევას საპრეზიდენტო კანდიდატურის შესახებ აღნიშნულ პარტიაში კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ვერსიანიუსი

## პრემიერი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების განადგურების ვადის შეცვლას „გაგებით ეკიდება“



**„გაგებით ვეკიდები გადაწყვეტილების შეცვლას, ვინაიდან ამ პროცესზე გავლენა მოახდინა სამეგრელოში აღმოჩენილმა მასალებმა“,** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა და ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნულ პოზიციას აფიქსირებს არა როგორც მთავრობის მეთაური, არამედ, როგორც რიგითი მოქალაქე. ივანიშვილის განცხადებით, ამ თემაზე გადაწყვეტილების მიღება პროფესიონალების საქმეა.

ამასთან, პრემიერი უშუალოდ, სამეგრელოში აღმოჩენილ მასალებს შემაშფოთებელს უწოდებს. პრეზიდენტის განცხადებასთან დაკავშირებით კი, აღნიშნა: **„სამწუხაროა, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები თანამშრომლებზე უარს ამბობენ და აცხადებენ, თითქოს ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.“** უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერების განადგურების გადაწყვეტილება არ შეცვლილა. როგორც შესაბამისი კომისიის წევრმა, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა განმარტა, კომისია დაახლოებით ერთ კვირაში შეიკრიბება და განსაზღვრავს კონკრეტულ თარიღს, როდის მოხდება ჩანაწერების განადგურება. იქამდე კი, დიპლომატიური კორპუსის, სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება.

*„ინტერპრესნიუსი“*



## ფინანსთა მინისტრი ალტერნატიული აუდიტის პროექტში ხარვეზების არსებობას ადასტურებს

ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური რადიო „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ალტერნატიულ აუდიტთან დაკავშირებით, შეკითხვები აქვთ საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებსაც და ხარვეზების აღმოსაფხვრელად მუშაობა, მათთან ერთად მიმდინარეობს.

მინისტრისვე ცნობით, სამუშაო პროცესში ჩართულები არიან პროექტში მონაწილე კერძო აუდიტორები. სპეციალისტების განცხადებით, დღეს მოქმედი კანონით, ალტერნატიული აუდიტის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის მხრიდან კერძო აუდიტორებზე ვალდებულების დელეგირება ხდება და კომპანია თავად ხდება გადასახადის დამრიცხავი, რაც აუდიტორების თქმით, მათსა და კლიენტებს შორის უხერხულობას ქმნის.

*რადიო „კომერსანტი“*

# რატომ არ იკრძალება ბაზრობებზე მალფუჭებადი პროდუქტის გაყიდვა



ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**საქართველოში უსაფრთხო კვების პრობლემა ვერა და ვერ მოგვარდა — კონტროლის მიუხედავად, მაღაზიებსა თუ ბაზრობებზე მალფუჭებადი პროდუქტი კვლავ არასათანადო პირობებში ინახება, რასაც მოვაჭრეები „მარტივად“ ხსნიან.**

— აბა, სად წავიღო ამდენი პროდუქტი, თავზე ხომ არ დავიწყობ, ან მაგის ფული სად მაქვს, დახლმაცივარი შევიძინო და იქ შევინახო? იცი, რა ჯდება ეგ დახლმაცივარი?! მაგის ფული რომც მქონდეს, სად დავდგა, ამ შუა ქუჩაში?!

**— რახან ფული არ გაქვთ და დახლმაცივარს ვერ ყიდულობთ, ესე იგი, ხალხი უნდა მოიწამლოს?**

— ამ პროდუქტებით მოწამლული კაცი ჯერ არ მინახავს, რა მოწამლავს — შოკოლადი თუ „მალაკო“. რომ მოწამლულიყო, ვინ შემარჩენდა, შენ შემოგევლე, ამიტრიალებდნენ დახლს.

**— ამ პროდუქტს თქვენს შვილებს აჭმევთ?**

**„ისე ჩემმა ოჯახმა გაიხაროს, როგორც ეს საშიში არაა. ჩემს შვილებსაც ვაჭმევ, აბა, რას ვიზამ? ისინი ჰაერით კი არ იკვებებიან! ვისაც არ მოსწონს, ნუ იყიდის, წავიდეს, მაღაზიაში იყიდოს და მისცეს ორმაგი. ეგეთი აზრები და შიში ფულიან ხალხს აწუხებს. ჰოდა, დახარჯოს ფული მაღაზიებში. აქ ჩემნაირი გაჭირვებული ხალხი დადის, ოღონდ იაფად იყიდოს და ეგეთი აზრები არ აწუხებს“.**

— ისე ჩემმა ოჯახმა გაიხაროს, როგორც ეს საშიში არაა. ვაჭმევ, აბა, რას ვიზამ? ისინი ჰაერით კი არ იკვებებიან! ვისაც არ მოსწონს, ნუ იყიდის, წავიდეს, მაღაზიაში იყიდოს და მისცეს ორმაგი. ეგეთი აზრები და შიში ფულიან ხალხს აწუხებს. ჰოდა, დახარჯოს ფული მაღაზიებში. აქ ჩემნაირი გაჭირვებული ხალხი დადის, ოღონდ იაფად იყიდოს და ეგეთი აზრები არ აწუხებს.

**— პატარა მაღაზიებს პროდუქტი, როგორც ვიცი, თქვენგან მიაქვთ...**

— აბა, რა ვიცი, ვის რისთვის მიაქვს?! რომ გეუბნები, არ არის მომწამვლელი, ეს იგი, ვიცი.

**— ქალბატონო, მაგალითად, შოკოლადი გამდნარია და მიმტკიცებთ, საშიში არააო!**

— ჩვენი პოზიცია ასეთია: ვისაც არ უნდა, ნუ იყიდის! სამყოფი კლიენტი მაინც გვეყოლება.

**ბაზრობაზე არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ, პროდუქტს დახლიდან კი არა, საწყობიდან ყიდიან.**

**— საწყობი სად გაქვთ? — ვეკითხები ერთ-ერთ მოვაჭრეს.**

— აგერ, ას მეტრში.

**— რამდენი კლიენტი მოგივათ, იმდენი „ას მეტრში“ უნდა ირბინოთ?**

— ჩვენგან, ძირითადად, ბევრი მიაქვთ, თუ ერთი და ორი რამე უნდა ადამიანს, აქვე აიღებს.

**— ამ სიცხისგან დახლზე პროდუქტი ხომ გაფუჭებული იქნება?**

— რა უნდა იყოს გაფუჭებული, ან ვინ უნდა მოწამლოს? — რომ ყიდულობს რამეს, ეგრევე მაცივარში დებს?! მეც ამას ვჭამ...

**„ვერსია“ იმ საწყობების მდგომარეობითაც დაინტერესდა, მოვაჭრეები თავს ასე რომ იწონებენ. ზოგიერთ ბნელ საწყობში მაცივარი დგას, თუმცა — მწყობრიდან გამოსული. ყველა მოვაჭრე ამბობს, ამ დილას გაფუჭდა და ხვალისთვის შევაკეთებთო. ზოგ ბნელ საწყობში მაცივარი საერთოდ არაა, ზოგი მოვაჭრე კი, პროდუქტს მაცივარში რამდენიმე საათით ინახავს, მერე, ამ „პარტიას“ იღებს და სხვას დებს...**

**„ვერსია“ იმითაც დაინტერესდა, რატომ ღირს ბაზრობებზე ჩვილ ბავშვთა საკვები აფთიაქებთან შედარებით იაფი. ბავშვთა საკვები ღია ტიპის ბაზრობებზე თითქმის არაა — იქ ჩვილის საკვები სპეციალური სექციაში, უმაცივროდ იყიდება. როგორც გამყიდველი ამბობს, „ჰუმანას“ პროდუქციით მათაც და აფთიაქებსაც ერთი და იგივე კომპანია ამარაგებს, მაგრამ აფთიაქები უფრო დიდ მოგებაზე მუშაობენ და ამიტომ ფასს უმატებენ.**

**იმის დასადგენად, თუ ვის ეხება ბაზრობებზე სურსათის უვნებლობის კონტროლი, „ვერსია“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროს ვერიკო გულიას დაუკავშირდა:**

— საერთოდ, საქართველოს კანონმდებლობით, გარევაჭრობა იკრძალება, შესაბამისად, გარევაჭრობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და სამართალდამცავები აკონტროლებენ. თუ ბაზრობა სარეალიზაციო ობიექტების სტატუსის მქონე ობიექტია, მაშინ კონტროლს ჩვენ ვახორციელებთ.

**— ეზოებში მოწყობილი სავაჭრო პუნქტები გარევაჭრობად ითვლება თუ ბაზრობად?**

— ბაზრობა ის ობიექტია, რომელიც მოწყობილია — არის დახლი, აქვს პროდუქციის რეალიზაციის საჭირო პირობები. თუ მალფუჭებად პროდუქტს ყიდის, სამაცივრე პირობებიც უნდა არსებობდეს. თუ ასეთი რამ არაა და ადამიანი პროდუქტს ეზოში სახელდახელოდ მოწყობილი დახლიდან ყიდის, ეს გარევაჭრობაა... ძნელია, ეზოში მოწყობილ ბაზრობებზე შენახვისა და რეალიზაციის პირობების დაცვაზე ვისაუბროთ, მით უმეტეს, როცა საქმე მალფუჭებად სურსათს ეხება. ჩვენი სააგენტო სახელმწიფო კონტროლს მხოლოდ სარეალიზაციო ობიექტებში ახორციელებს და ამიტომ მოვუწოდებ მოსახლეობას, ნუ შეიძენს სურსათს ისეთ ადგილებში, სადაც ამა თუ იმ პროდუქტის შენახვისა და რეალიზაციისთვის პირობები არ არსებობს!





## მიხეილ სააკაშვილის თქმით, იარაღის საწყობები მისი ნებართვით გაკეთდა

**„იარაღის საწყობებში რომ ვიდეოკადრები არ იყო, მგონი, ყველა ვხვდებით“,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გორში განაცხადა.

**„ნებართვა მაქვს მიცემული, გაგვეკეთებინა იმიტომ, რომ ხელახალი აგრესიის განახლების პირობებში, არ ვყოფილიყავით ისეთი დაუცველები, როგორც ჩვენი ინფრასტრუქტურა 2008 წელს იყო, მიუხედავად ჩვენი ჯარის გმირული წინააღმდეგობისა. ამიტომ, თავისთავად, იარაღის საწყობები რომ კეთდებოდა, ამაში ახალი არაფერია არც ჩემთვის, არც ახალი მთავრობისთვის. რაც შეეხება „კაგებეს“ მეთოდებს, ეს სხვა თემაა, მაგრამ თუ ვინმეს ხელი წაუცდა კრიმინალზე, უნდა დაისაჯაოს“,** — აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტი უარყოფს, რომ ადამიანების წამება და გაუპატიურება მასობრივად ხდებოდა.

**„ჩვენ ვხედავდით, რომ პოლიციაში ათასჯერ უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე ოდესმე. ალბათ, ვიღაცას წაუცდა ხელი და ყველა ვერ დავსაჯეთ. ყველა მთავრობაში შეიძლება აღმოჩნდნენ ასეთი არამზადები. მთავარია, დროზე მოხდეს გამოვლენა და დასჯა“,** — დასძინა სააკაშვილმა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## პატიმარმა თითი მოიჭრა

რუსთავის №6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარმა თითი მოიჭრა. როგორც ჟურნალისტებთან პატიმრის დედამ განმარტა, მის შვილს ამ ქმედებისკენ ციხის დირექტორმა გოჩა ვეშაგურმა უბიძგა.

თითის მოჭრის ფაქტს სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი ირაკლი კორძაიაც ადასტურებს, მაგრამ მომხდართან დაკავშირებით სხვა მიზეზებზე საუბრობს.

**„დაწესებულებაში არსებობს სამეურნეო ნაწილი, სადაც ზოგიერთი მსჯავრდებული მუშაობს და გოგოლაძესაც ჰქონდა იქ მუშაობის სურვილი, მაგრამ სხვა მსჯავრდებულებმა მასთან კონტაქტი არ ისურვეს, ამიტომ ციხის ადმინისტრაციამ მას უარი უთხრა მუშაობაზე, რის გამოც პატიმარმა თვითდაზიანება მიიყენა“,** — აცხადებს კორძაია და აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულს სამედიცინო დახმარება უკვე ჩაუტარდა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*



## მომავალ კვირას პარლამენტის საგაზაფხულო სესია დაიხურება

რეგლამენტის თანახმად, საგაზაფხულო სესია, რომელიც თებერვლის პირველ სამშაბათს იხსნება, ივნისის ბოლო პარასკევს იხურება. შესაბამისად, 28 ივნისის პლენარული სხდომა საგაზაფხულო სესიის ფარგლებში, ბოლო სხდომა იქნება.

საგაზაფხულო სესიის დასრულების მიუხედავად, დეპუტატები მუშაობის გაგრძელებას რიგგარეშე სესიის ფორმატში აპირებენ. ზაფხულში მუშაობის გაგრძელება ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებსაც უკავშირდება. კერძოდ, რეგლამენტის თანახმად, საპარლამენტო, საპრეზიდენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთი თვის განმავლობაში, როგორც წესი, პარლამენტის პლენარული სხდომები არ იმართება. ამიტომ უმრავლესობა გეგმავს, საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებამდე და საარჩევნო კამპანიაში ჩართვამდე, კანონპროექტებზე მუშაობა ზაფხულის განმავლობაში დაასრულონ.

წინასწარი ინფორმაციით, რიგგარეშე სხდომები მთელი ივლისის განმავლობაში ჩატარდება. პარლამენტში არც აგვისტოში შეკრებას გამორიცხავენ.

რიგგარეშე სესიას პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარის ან პარლამენტის შემადგენლობის არა ნაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით იწვევს.

*„ინტერპრესნიუსი“*

ნათია ვასაძე
555-98-61-65

# მიხეილ ხუბუტიამ მოსკოვში ქართული თეატრი „მუზა“ დააარსა

**„ქართველთა კავშირის“ ძალისხმევით, რუსეთში ქართული თეატრი „მუზა“ დაარსდა, რომელმაც ახლახან, მოსკოვის ეროვნებათა სახლში პირველი სპექტაკლი წარმოადგინა. საპრემიერო გამოსვლამ მხოლოდ ქართული დიასპორის წარმომადგენლების კი არა, ქართულ კულტურას მონატრებული რუსი მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა. რა მნიშვნელობა აქვს მოსკოვში ქართული თეატრის ფუნქციონირებას და რა სიძნელეებთან იყო მისი დაარსება დაკავშირებული? — „ვერსიას“ თეატრის ხელმძღვანელი, რეჟისორი ლია ფირცხალავა ესაუბრა.**

— შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი დავამთავრე 1998 წელს, მაგრამ ჩემი ცხოვრება, სამწუხაროდ, ისე წარიმართა, რომ მას შემდეგ თეატრთან შეხება აღარ მქონია.

**— ამდენწლიანი პაუზის შემდეგ, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის რეალიზება რთული არ იყო?**

— ჩემი პედაგოგების დამსახურებაა, რომ თეატრის რეჟისორობა საკუთარ თავზე ავიღე. ეთერ გუგუშვილის ჯგუფი დავამთავრე, რომელიც გარდა იმისა, რომ შესანიშნავი პედაგოგი იყო, არაჩვეულებრივი პიროვნებაც გახლდათ და, პროფესიულ ოსტატობასთან ერთად, ცხოვრებისეული გამოცდილება გადმომცა. რეჟისორის ოსტატობას ლერი პაქსაშვილი მასწავლიდა, მუსიკალურ გაფორმებას — ნათელა სვანიძე... მოკლედ, გამიმართლა — პროფესიონალების ხელში მოვხვდი.

**— რუსეთში და, შესაბამისად, „ქართველთა კავშირში“ როგორ აღმოჩნდი?**

— მოსკოვში საცხოვრებლად 2011 წელს გადავედი — ცხოვრება ეროვნებით რუს ადამიანს დავუკავშირე. რუსეთში წასვლამდე, ერთ-ერთ ქართულ ჟურნალში „ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტის, მიხეილ ხუბუტიას ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ბატონი მიხეილი, ორგანიზაციის სახელით, მზადყოფნას გამოთქვამდა, რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი ქართველის დასახმარებლად. მოსკოვში ჩასვლისთანავე „ქართველთა კავშირს“ მივაკითხე.

**— ისე, საქართველოში მიხეილ ხუბუტიას მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ და პუტინის პოლიტიკის გამტარებლადაც მიიჩნევენ...**

— არ ვიცი, ვინ როგორ ფიქრობს... მიხეილ ხუბუტია პუტინთან შეიძლება მართლაც მეგობრობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, მეგობარს ყველაფერში ეთანხმება. როგორ შეიძლება, პუტინის თანამოაზრეობად ჩაითვალოს ის, რომ „ქართველთა კავშირი“ სამშობლოს მოწყვეტილ ჩვენს თანამემამულეებს მშობლიურ კულტურასთან ზიარების საშუალებას აძლევს — ყოველწლიურად ტარდება ე.წ. საოჯახო შემოქმედების ფესტივალი, სადაც ქართული დიასპორის წარმომადგენლები ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს ასრულებენ; დედის დღისადმი მიძღვნილი საღამოები; კულინარიული კონკურსები; „სააღდგომო ფესტივალი“; ახალგაზრდული ღონისძიებები; სამეცნიერო კონფერენციები და გამოფენები... „ქართველთა კავშირი“, ასევე, დახმარებას უწევს მოსკოვში არსებულ ქართულ სკოლებსა და ამ სკოლებთან არსებულ საბავშვო ბაღებს. „ქართველთა კავშირში“ უამრავი ცნობილი ადამიანია გაწევრიანებული — თამრიკო გვერდწითელი, ლეო ბოკერია, ზურაბ სოტკილავა... ყოველივე ეს ხომ ქართულ საქმეს ემსახურება და როგორ შეიძლება, პუტინის წისქვილზე წყლის დასხმად მოიაზრებოდეს?! აქ ჩვენ პატარა საქართველო გვაქვს და ყველაფრის პოლიტიზება არ შეიძლება.

> **სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: „ქართველთა კავშირი“ რუსეთში ქართული დიასპორის ყველაზე დიდი და მძლავრი გაერთიანებაა, რომელიც ჭეშმარიტად ქართულ საქმეს ემსახურება და მის გარეშე, რუსეთში მცხოვრებ ქართველობას არსებობა გაუჭირდებოდა.**

**— ანუ ფიქრობთ, პოლიტიკა და ხელოვნება ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს?**

— რა თქმა უნდა. „ქართველთა კავშირი“ სახალხო დიპლომატიის ფარგლებში მუშაობს და ხელოვნების, მეცნიერებისა და ეკონომიკის სფეროში განხორციელებული ერთობლივი პროექტებით ცდილობს, რუსეთსა და საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას. მიხეილ ხუბუტიაც ხშირად აღნიშნავს, ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ პოლიტიკოსები შეიცვლებიან, ხალხი კი ერთმანეთს ვერსად გაექცევაო.

**— „ქართველთა კავშირის“ ბაზაზე თეატრი ვისი იდეით დაარსდა?**

— მოსკოვში ქართული თეატრის ჩამოყალიბების არაერთი მცდელობა ყოფილა, თუმცა ამა თუ იმ მიზეზის გამო, საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. როცა კავშირში მივედი და ვნახე, რამხელა საქმე კეთდებოდა, ხელმძღვანელობას შევთავაზე, იქნებ, ქართული თეატრი დაგვეარსებინა-მეთქი. რა თქმა უნდა, სურვილი მათი მხრიდანაც იყო, უბრალოდ, იმ ეტაპზე ინიციატორი მე აღმოვჩნდი. მადლობა მინდა გადავუხადო „ქართველთა კავშირს“, რომ შორეულ ქვეყანაში საყვარელი საქმის კეთების შანსი მომცა.

**— პირველი სპექტაკლი რა პრინციპით შეარჩიეთ?**

— როცა დადგა საკითხი, პირველი სპექტაკლისთვის პიესა შეგვერჩია, გამოითქვა სურვილი, რომ ქართული პიესა ყოფილიყო. მოგეხსენებათ, ამ მხრივ, მართლაც ფართო არჩევანია, მაგრამ საბოლოოდ, შადიმან შამანაძის „ღია შუშაბანდი“ ავირჩიეთ — პიესა სცენაზე მხატვრული სახეების გამოძერწვის საშუალებასაც იძლევა და გაჭირვების, სტრესული ფონისა თუ დეპრესიული განწყობის მიუხედავად, მასში წინა პლანზეა წამოწეული ისეთი ადამიანური ურთიერთობები, როგორიცაა სიყვარული, ურთიერთპატივისცემა...



## როგორ მიიღო რუსმა მაყურებელმა პრემიერა და გეგმავს თუ არა „მუზა“ საქართველოში გასტროლებს

**— პიესის სცენაზე გადატანა რთული აღმოჩნდა?**

— სპექტაკლს ორი რეჟისორი ჰყავს — მე და მსახიობი დათო სანაია, რომელიც ჩემი თანაკურსელია. ერთმანეთი მოსკოვში შემთხვევით ვიპოვეთ და დიდი ხნის მეგობრობა აღვადგინეთ. მისი გვერდით დგომის გარეშე, ნამდვილად გამიჭირდებოდა, რადგან საკმაოდ რთული აღმოჩნდა დასის წევრებთან მუშაობა — ისინი არაპროფესიონალები არიან, გარდა ამისა, ცუდად საუბრობენ მშობლიურ ენაზე, რადგან რუსულად იღებენ განათლებას, ხოლო თუ ქართულად საუბრობენ — იმ კუთხისთვის დამახასიათებელი დიალექტით, საიდანაც წარმოშობით არიან. ვფიქრობ, ამ პრობლემებს მაქსიმალურად გავუმკლავდით, სპექტაკლი წარმატებული გამოვიდა და, როგორც ქართული დიასპორის, ისე რუსი მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა. რუსი ეროვნების ადამიანები მოდიოდნენ, გვილოცავდნენ, მადლობას გვიხდიდნენ, რომ კიდევ ერთხელ მივეცით ქართულ კულტურასთან ზიარების საშუალება...

**— საერთოდ, რუსებს ქართული დიასპორის მიმართ როგორი დამოკიდებულება აქვთ?**

— წელიწადნახევარია, მოსკოვში ვარ და ვერც კი ვგრძნობ, რომ უცხო ქვეყანაში ვიმყოფები. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სულ ქართველებთან მაქვს ურთიერთობა და მეორეც, იმ დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რაც მოსკოვში აქვთ ჩვენს მიმართ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ რუს ხალხს ქართველი ერი უყვარს. ქართველობის გამო, ამ ქალაქში არავის ექმნება პრობლემა და ამას აქ მცხოვრები ნებისმიერი ქართველი დაგიდასტურებთ.

**— საქართველოში მთავრობის შეცვლის პარალელურად, მანდ თუ შეიცვალა რამე?**

— მკვეთრი ცვლილება ნამდვილად არ შეინიშნება, თუმცა უბედნიერესი ვიყავი, მაღაზიაში ქართული „ბორჯომი“ რომ დავინახე და მთელი ყუთი შევიძინე.

**— როგორც ჩანს, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დათბობას მიესალმებით...**

> **— ეკონომიკა და კულტურა დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დაგვიბრუნებს, მაგრამ სახალხო პოლიტიკას კი აუცილებლად დაალაგებს. რუსეთში ხომ ქართველი ადამიანი ნიჭთან, გონებასა და სტუმართმოყვარეობასთან ასოცირდება.**

**— თეატრის სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?**

— იმედი მაქვს, რომ ჩვენი თეატრი არსებობას გააგრძელებს და კიდევ ბევრჯერ გაახარებს მაყურებელს. სპექტაკლების დადგმას, ძირითადად, ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით ვაპირებთ. ვფიქრობ, ეს უფრო მეტად გაუსვამს ხაზს ქართულ ტრადიციებს და კულტურას და აქ დაბადებულ ახალგაზრდებსაც დაეხმარება ქართული სულისკვეთების გაღვივებაში. უახლოეს მომავალში დავიწყებთ მუშაობას ახალ პიესაზე. სავარაუდოდ, ჯემალ მონიავას „ჯვარცმული ბედნიერებაზე“, რომელიც აფხაზეთისა და სამოქალაქო ომის ფონზე განვითარებული აფხაზი გოგონასა და ქართველი ბიჭის სიყვარულზე გვიამბობს.

**— ეს პოლიტიკური მესიჯი იქნება?**

— არ მგონია. ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი მიზანი ნამდვილად არაა, მაგრამ თემის გამო, სპექტაკლს პოლიტიკური დატვირთვა, შეიძლება მართლაც მიეცეს — აფხაზეთის თემა ხომ ყველა ქართველისთვის მტკივნეულია, განსაკუთრებით აქ, მოსკოვში, სადაც აფხაზეთიდან ათასობით დევნილი ცხოვრობს.

**— გასტროლებს საქართველოში ხომ არ გეგმავთ?**

— სურვილი გვაქვს და, თუ შესაძლებლობაც იქნება, რატომაც არა — ძალიან მინდა, ჩვენი თეატრი საქართველოში ჩამოვიდეს, რათა „ქართველთა კავშირის“ და აქაური ქართველების სახელით ჩვენს თანამემამულეებს ვაჩვენოთ, როგორ შეგვიძლია შორეულ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებს სამშობლოს სიყვარული.

ვერსიანიუსი



## „მზიურში“ თეონა ქუმსიაშვილის სახელობის ხევსურული საღამო გაიმართება

26 ივნისს, 17:00 საათზე, ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ თეონა ქუმსიაშვილის სახელობის ხევსურული საღამო — მთის საჩუქარი ბარს — გაიმართება.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მთის რეგიონში მცხოვრები პოეტები, მომღერლები, მოცეკვავეები, ფოლკლორისტები. წარმოდგენილი იქნება საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი ხალხური რეწვის ნიმუშები. საღამოზე სპეციალურად ჩამოვლენ ინგუში მომღერლები. 2007 წლიდან თბილისში, ბავშვთა ქალაქ „მზიურში“, ტრადიციულად, ყოველ 26 ივნისს ტარდება „ხევსურული საღამო — მთის საჩუქარი ბარს“ სადაც ხევსური მომღერლების, პოეტების, სახალხო მთქმელებისა და მოცეკვავეების გარდა, საქართველოს მთის რეგიონის ყველა კუთხის წარმომადგენელი მონაწილეებს. ღონისძიების მიზანია, პოპულარიზება გაუწიოს მთის კულტურას, გააცნოს თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს მთის ფოლკლორი. ხელი შეუწყოს მთაში ტურიზმის განვითარებას. საღამოს დევიზია — „თუ თბილისელები და დედაქალაქის სტუმრები ვერ მიდიან მთაში, მთა თავად მოდის მათთან!“ საღამოზე დასწრება თავისუფალია

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

ქვათა მატიანე

# თმოგველები

## დასავლეთ ჯავახეთი

გელა ქოქიაშვილი

**მზე ჯერ კიდევ შუბის წვერზეა, როცა თმოგვის ციხეზე მუშაობას ვიწყებთ. თავდაპირველად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ფასადებს ვუტრიალებთ.**

**დიდებული და მრისხანეა თმოგვი. მიუხედავად იმისა, რომ 1089 და 1283 წლებში ორმა მიწისძვრამ და შემდგომ უამრავმა მომხვდურმა ლეწა მისი გოდოლები, ციხე მაინც ზღაპრულად გამოიყურება.**

თმოგვს თავდაპირველად „მატიანე ქართლისაი“ ახსენებს X საუკუნის დასაწყისში. იგი ისეთ კონტექსტშია მოხსენიებული, რომ უეჭველია, წუნდის ციხის შემდეგ მას ჩაუბარებია პირველობა და მთავარი კლიტენი ჯავახეთისა. აი, რას ამბობს „მატიანე“ აბულ კასიმის შემოსევასთან დაკავშირებით: როცა ეს მრისხანე არაბი სარდალი ქართლის მოოხრების შემდეგ 914 წელს **„შევიდა მუნით სამცხეს, და მოაოხრა სამცხე და ჯავახეთი, მოადგა ციხესა თმოგვისასა და ვითარ იხილა სიმტკიცე მისი და სიმაგრე, აიყარა მუნით...“** მეორე ხსენება თმოგვისა შინაურ სისხლიან ქრონიკებთანაა დაკავშირებული. ხელახლა გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ, იმ მიზნით, რომ საბოლოოდ შემოეერთებინა კლარჯეთი, ფანასკერტში ნადიმზე მიიპატიჟა კლარჯ ბაგრატიონთა უკანასკნელი წარმომადგენლები, მოტყუებით შეიპყრო და თმოგვის ციხეში გამოამწყვდია. ეს მოხდა სადღაც 1009-1011 წლების შუალედში. ორივე ძმა ამ ციხესიმაგრეში გამოესალმა სიცოცხლეს. ბაგრატ IV –ის ჟამს, ჩანს, რომ თმოგვის ციხეში მორჭმით ზის ჯავახეთის მპყრობელი ერისთავთ-ერისთავი ფარსმან თმოგველი. იგი ერთხანს მეფის მხარდამხარ იბრძვის, შემდეგ კი მას ოპოზიციაში უდგება და ბოლოს ათონის ივერთა მონასტერში აგრძელებს მოღვაწეობას. ამიტომ არის, რომ 1073 წელს გიორგი მეორე თმოგვს **ნინია ქვაბულის ძეს** უმტკიცებს. და აი, ჩნდება ეჭვი — ხომ არ არის ეს ნიანია ფარსმანისა, და საერთოდ, ძველი თმოგველების ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი? 1089 წელს, როცა ტახტზე დავით აღმაშენებელი ავიდა, თითქმის ერთი წელი გრძელდებოდა საშინელი მიწისძვრები. მათ უამრავი ციხე-ქალაქი თუ ეკლესია დანთქეს, **„რომელთა თანა თმოგვიცა დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ.“** უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინ ვაჰანის ქვაბებიც ქუაბილის ძეებს ეკუთვნოდათ. ერთხანს, გიორგი III-ის მეფობის ჟამს, თმოგვის ციხე **მსახურთუხუცეს აფრიდონსაც** ეჭირა, მერე კი მას ამირსპასალარი **კახა თორელი** განაგებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, 1191 წლიდან, თმოგვის ციხე ძალიან დიდი ხნით ხდება მხარგრძელების კუთვნილება, რომლებიც **თმოგველთა ახალ დინასტიას** ქმნიან.

ამ ახალი დინასტიის რიგით მესამე წარმომადგენელი იყო **სარგის თაყაიდინის-ძე**. საფიქრალია, რომ მის დროს შეიქმნა „ვაჰანის ქვაბთა განგება“ ანუ მონასტრის ტიპიკონი. არის ვარაუდი, რომ მანვე თარგმნა „ვისრამიანი“ და დაწერა პოემა „დილარგეთიანი“. სარგის თმოგველი კოხტას შეთქმულების ერთ-ერთი წევრიც იყო.

1283 წლიდან ხელახალი მიწისძვრის შემდეგ თმოგვი კვლავ აღსადგენი გახდა, მაგრამ ამ დროს ქვეყანას ძველებური სახსარი აღარ აქვს — ოდესღაც სუფთად გათლილ კვადრებს უხეშად დამუშავებული ან სულაც ფლეთილი ქვა ენაცვლება.

... თმოგვის ციხის აღმოსავლეთ მხარეს ჩამავალი ბილიკი ისეთი დამრეცია, რომ თავს ძლივს ვიკავებთ. ბოლო მონაკვეთში ბილიკს წვრილად დაფშვნილი კლდის ქანები ცვლის და, როგორც იქნა, ვსწორდებით. მტკვარგაღმა, შორს მცირე ქვაბები მოჩანს, ჩვენგან ხელმარჯვნივ კი, 50 მეტრში, განცალკევებულ ბაქანზე, კლდის შვერილზე დგას ძალიან კოხტა, მაგრამ სანახევროდ დანგრეული ორსართულიანი კარიბჭე და გუმბათმორღვეული ტაძარი **„წმინდა მარინე“**. იგი ქვევიდან, ვარძიისკენ მიმავალი ცენტრალური გზიდანაც მოჩანს, მაგრამ აქედან სულ სხვა სანახავია. პირდაპირ საკვირველია, როგორ შემორჩა უგუმბათო ნაგებობას შიდა ნალესობის, ფრესკებისა და წარწერების მცირე ნაშთები: **„„ოლოდი“, „მოყავ ყური შენი“** და ა. შ. ტაძარი რომ 1303 წელს აუგიათ, ამას ადასტურებს აქ აღმოჩენილი ასომთავრული ვრცელი წარწერა. მასში მოხსენიებულია მონღოლთა ყაენი ყაზანი, ქართველთა მეფე დავით VIII და საყდრის აგების თარიღი, ასევე ამ ტაძრის ქტიტორი **სანიმანი.** ამავე ეკლესიიდან წამოღებულია და ასევე ეროვნულ მუზეუმში ინახება მეორე წარწერიანი ქვა. იგი 1350 წლითაა დათარიღებული და გვიამბობს, რომ ამ პერიოდში თმოგვის ციხის ზღუდენი შეუკეთებია მეფე დავით IX-ის ვარძიელი საწოლის მწიგნობარს **მურვან კითხაის ძეს.**

როგორც ირკვევა, ამ ხანებში ციხესიმაგრეს აღარ განაგებენ თმოგველ-მხარგრძელნი.

... იმავე და მეორე დღეს ციხესიმაგრის სხვა მონაკვეთებსაც ვიღებთ. მათ შორისაა: კლდეში ნაკვეთი X-XI საუკუნეების წმინდა ეფრემის ეკლესიის ნაშთები, ჩრდილო-დასავლეთის კედელ-გოდოლები, ბასტიონის ზედა სართულზე ჩაშენებული გვიანდელი ხანის კიდევ ერთი ეკლესია, მტკვარზე ჩამავალი საიდუმლო გვირაბი, იდის ბურჯი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე შემორჩენილი სამი, ხუთი, შვიდი და ცხრაჯვრიანი ქვაჯვრები და ა. შ.

...ქვევით ჩვენი მანქანა გველოდება, რომ კვლავ ზევით აგვიყვანოს. ვსხდებით და თმოგვისკენ მივეშურებით ხელახლა, ოღონდ ნასოფლარზედა თმოგვისაკენ. იგი ციხესიმაგრიდან დასავლეთით, დაახლოებით 3-4 კილომეტრში, ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზეა.

აი, ისიც — მიტოვებული სოფელი და ნასოფლარის სევდა. ყრუდ ჩამესმის ბალღების გნიასი და ხევის წყალზე დასარწყულებლად მიმავალი საქონლის ბღავილი — წარსულ დროებათა სურათების აღდგენას ვცდილობ...

ნასოფლარს ოთხივე მხრიდან ერთგულ დარაჯად ოთხი სტელა-ქვაჯვარი უდგას: **ბაღების, გუგულის ჯვრის, ნასაყდრევის და ქვისწყაროსი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს პირველი მათგანი — მაღალი სტელა, რომლის მსგავსი სირგვაში გვაქვს. იოლი შესაძლებელია, იგი 13 საუკუნისა ან უფრო ძველიც კი იყოს, რადგან ამ ხნისაა ნასოფლარის დასავლეთ უბანში მდგარი წმინდა გიორგის ეკლესიაც — ჯავახეთში ერთადერთი სამნავიანი ბაზილიკა. თავდაპირველად, VII-VIII საუკუნეებში, იგი ჩვეულებრივი, დარბაზული ტაძარი ყოფილა, მაგრამ XI საუკუნეში გაუფართოვებიათ და ძველი ეკლესიის სამხრეთი ფასადი თავისი ნალისებრი არქივოლტით (იგი ძალიან ჰგავს სირგვისა და ალანძიის არქივოლტებს) ახალი ტაძრის ინტერიერში ჩაწერილა.** ახალი ტაძარი ბაგრატ IV-ის უფლისწულობისა და დედამისის მარიამ დედოფლის ზეობის ჟამს აუგია ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ ფარსმან ერისთავთ-ერისთავ თმოგველს. ამას ადასტურებს ტაძრის სამხრეთ ფასადის ნაკლული წარწერა და ამავე ფასადის ტიმპანზე, ზეთისხილის რტოიანი მტრედების გვერდით ამოკვეთილი მეორე წარწერა. პირველი წარწერა სამხრეთ კარის მაღლა, 6 ქვაზეა: **„ქრისტე იესო მეუფეო დიდებისაო (?) ადიდე ბაგრატ მეფე და მარიამ დედოფალი.“** მეორე წარწერა ზეთისხილის რტოიანი მტრედების გვერდითაა: **„ქრისტე, შეიწყალე სული ფარსმან ერისთავთ-ერისთავისა, იოანეს ძისა ჭიმჭიმელისა.“** საინტერესოა ის, რომ ამ უკანასკნელი წარწერით დგინდება ფარსმან თმოგველის მამის ვინაობაც — იოანე ჭიმჭიმელი. სამხრეთსავე ფასადზე არსებულ კიდევ ორ წარწერაში იკითხება ვინმე **გიორგი აფხაზისა** და **აქუმელის** სახელები. ხუთი წარწერაა აღმოსავლეთ ფასადზე. მათში მოხსენიებულნი არიან ვინმე **ანტონი, ნეში, არსენი და კარიჭა.** წარწერა, რომელიც 1773 წლით თარიღდება, საფარელ მღვდელს **გიორგის** ეკუთვნის. როგორც ჩანს, ამ პერიოდში კიდევ ერთხელ შეუკეთებიათ ეს ძალზე მნიშვნელოვანი ტაძარი, რომლის მშენებელი უდავოდ, იმ პერიოდის ცნობილი ხუროთმოძღვარი უნდა ყოფილიყო.

ასომთავრულ წარწერებს ვხვდებით აქვე არსებული უძველესი საფლავის ქვებზე — **„ქრისტე შეიწყალე ზო(უ)რაბი და ოქრა ოქელი“...**

სულ მცირე 6 ათეული წლის წინათ გაუკაცრიელებულა სოფელი, დარჩენილა ნაყორალი, ნასახლარი, ნაგომარი, ჩაქცეული ბანები, მოშლილი წყაროები, აქა-იქ კერიათა მოჩუქურთმებული პირები, დაჭეჭყილი სპილენძის ჭურჭელი. ქვევით, ხეობაში, სოფელ ნაქალაქევში ჩასულან საცხოვრებლად...

*ავტორის ფოტოები*





თმოგვის ციხის საერთო ხედი; წერილის ავტორი, მუხრან თაქთაქიძე და მათ უკან წმინდა მარინეს ეკლესია ტაძრის საკურთხევლის კონქი





სოფელ ზედა თმოგვის სამეკლესიანი ბაზილიკა, მისი წარწერიანი ტიმპანი და მოშორებითმდგარი ორი ქვაჯვარი









# ჰოროსკოპი
## 24 ივნისი

***ვერძი*** — თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი დაბალ დონეზეა. არ არის გამორიცხული სკანდალი დიდი ხნის პარტნიორთან. კამათი ურთიერთობის გაწყვეტამდე მიგიყვანთ.

***კური*** — შესაძლოა, ინტერესი გაგიჩნდეთ მისტიკისადმი, ფილოსოფიისა და კლასიკური ლიტერატურისადმი. შესანიშნავი დღეა შემოქმედებისთვის. ნუ გაუშვებთ ინიციატივას ხელიდან. ახლობლების დახმარების იმედი კი ნუ გექნებათ.

***ტყუპები*** — დღეს, შესაძლოა, უსიამოვნო თავგადასავალი გადაგხდეთ, რაიმე კატასტროფაში მოყვეთ ან ავად გახდეთ. სავარაუდოა, ახლობელ ადამიანთან დაკავშირებული პრობლემებიც. მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული, დაშორდებით ერთმანეთს თუ გააგრძელებთ ურთიერთობას.

***კირჩხიბი*** — დღეს რეალიზებულმა პროექტმა, შესაძლოა, საფუძვლიანად შეცვალოს თქვენი ცხოვრება, მაგრამ გვერდიდან დახმარებას ნუ დაელოდებით, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ.

***ლომი*** — ლომებს დღეს თავის განებივრება შეუძლიათ: ვარსკვლავები დიდი ხნის ნატვრის ასრულებას ჰპირდებიან. მხოლოდ ახლად გაცნობილ ადამიანებთან ფრთხილად იყავით — არის რისკი, ზედმეტი წამოგცდეთ, რაც უსიამოვნებას მოგიტანთ.

***ქალწული*** — დღეს, პრაქტიკულად, ყველა საკითხის მოგვარებას შეძლებთ, განსაკუთრებით კი, ფინანსებთან დაკავშირებულს. ალღოს წყალობით, თავს აარიდებთ უსარგებლო ხარჯებსა და უპერსპექტივო დაბანდებებს.

***სასწორი*** — შეგიძლიათ სახლში, შინაურებთან ნებისმიერ თემაზე ისაუბროთ: ოჯახის წევრები მზად არიან, გაგებით მოეკიდონ ყველაფერს და სიამოვნებით მოგისმინენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენს შეხედულებას არ იზიარებენ.

***მორიელი*** — სასიამოვნო საუბრები გულით მეგობრებთან, ახლობლებთან. ოჯახური პრობლემები მოსალოდნელი არ არის. ახლო ნაცნობებთან სიფრთხილე და გონიერება გამოიჩინეთ. დღეს შესაძლოა, ინტუიციამ გიღალატოთ, ამიტომ ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობისას ლოგიკას ენდეთ.

***მშვილდოსანი*** — კარგი დღეა შორსმიმავალი გეგმების დასაწყობად, ცხოვრებაში ახალი მიზნების დასახვისთვის. გარშემომყოფებიდან ბევრი მიხვდება, რომ ნამდვილად მზად ხართ ოჯახური ცხოვრებისთვის.

***თხის რქა*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის დღე გონებრივი სამუშაოსთვისაა სასურველი. საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწევთ, მოვლენების ორომტრიალში თუ იოლად გაერკვევით. შეგიძლიათ არა მხოლოდ გეგმების განხორციელების გზას მიაგნოთ, არამედ საქმესთან დაკავშირებით კარგი რჩევები მისცეთ ახლობლებსაც.

***მერწყული*** — ახალ ნაცნობებთან კონტაქტი სერიოზულ პერსპექტივებს გპირდებათ. უმჯობესია, ყურადღება გაამახვილოთ საქმიან შეხვედრებზე, რადგან შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ აქ გადაწყდეს. ცვლილებებისა და ახალი კონტაქტების დღეა, ფინანსური მდგომარეობაც შედარებით გაუმჯობესდება.

***თევზები*** — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება. დღეს არ გირჩევთ, რაიმე ახალი საქმის წამოწყებას, სჯობს, ძველ პრობლემებს მიუბრუნდეთ, მათი მოგვარების შანსი დიდია.

# წყალი განწყობას აგიმაღლებთ



შესაძლოა, უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ თქვენი ფიზიკური მდგომარეობა და ფსიქოემოციური ფონი იმაზეა დამოკიდებული, რა რაოდენობის წყალი დალიეთ დღეში. ეს საინტერესო კანონზომიერება კონექტიკუტის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს. სწავლულთა ჯგუფმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა, რომლის დროსაც მოხალისეები ერთი თვის განმავლობაში, ნახევარსაათიან გარბენს ასრულებდნენ, რის შემდეგაც ყოველი მათგანი სპეციალურ ტესტს აბარებდა მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამოსავლენად. აღმოჩნდა, რომ ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, მამაკაცები უფრო აფორიაქებულნი და გაღიზიანებულნი ხდებოდნენ, მანდილოსნები კი თავისტკივილსა და გუნება-განწყობის გაუარესებას უჩიოდნენ. სწავლულებმა შედეგების მიხედვით დაასკვნეს, რომ ორგანიზმის მიერ წყლის დაკარგვა ძლიერ დარტყმას აყენებს განწყობასაც და საერთო ფიზიკურ მდგომარეობასაც. რისკ-ჯგუფში იმ პროფესიის ადამიანები შედიან, ვისი სამუშაოც გამუდმებით კომპიუტერთან ჯდომას უკავშირდება. კარგი გაწყობის შენარჩუნებისთვის სპეციალისტები გვირჩევენ, დღეში არანაკლებ 8 ჭიქა წყალი დავლიოთ.

# ბოსტნეულის შიში ცხოვრებას ურთულებს



ბრიტანელი სტუდენტი გოგონა ვიკი ლარიე აცხადებს, რომ ბოსტნეულის მიმართ პათოლოგიური შიში არ აძლევს საშუალებას, ჯანმრთელი კვების პრინციპი დაიცვას. როგორც 22 წლის ლარიე ამბობს, ბოსტნეულის დანახვისას პულსი უჩქარდება, ოფლი ასხამს და პანიკაში ვარდება, ასეთი შეტევები კი ბავშვობიდან აწუხებს. ბოსტნეულის მიმართ ზიზღს ბევრი ბავშვი განიცდის, თუმცა ჩვეულებრივ, ეს იმითაა განპირობებული, რომ პატარებს სტაფილოს ან კომბოსტოს გემო არ მოსწონთ. მაგრამ ვიკის შემთხვევაში, საქმე გვაქვს ლახანოფობიასთან — ბოსტნეულის მიმართ ირაციონალურ შიშთან. სტუდენტის თქმით, ამ ფობიის გამო ხორცით, ხილითა და მარცვლეულით იკვებება. როგორც ადგილობრივი გამოცემა წერს, ლახანოფობია რამდენიმე ათას ბრიტანელს ტანჯავს, ზოგ შემთხვევაში ბოსტნეულის ფოტოებიც კი იწვევს შეტევას.

# ინტერნეტის ქსელს საჰაერო ბურთები გააფართოებს

დღეს პლანეტის ყველა წერტილში, მაგალითად, სამხრეთ პოლუსზე ან დაუსახლებელ უდაბნოში, დიდი შანსია, მობილური კავშირი ან ინტერნეტი ვერ გამოიყენოთ, თუმცა, ახლა ამ პრობლემის მოგვარებაც შესაძლებელი გახდება, რადგან კომპანია „გუგლი“ საამისოდ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და საჰაერო ბურთების გამოყენებას აპირებს. დედამიწის გარშემო, სტრატოსფეროში საჰაერო ბურთების „ჩამოკიდებით“, უკაბელო ინტერნეტი ყველგან იქნება ხელმისაწვდომი. ამ მასშტაბური პროექტის იდეა კომპანიის ლაბორატორიის თანამშრომლებს ეკუთვნით. Project Loon-ის ფარგლებში, დედამიწის ზედაპირიდან 18-20 კილომეტრის სიმაღლეზე, მზის ელემენტებითა და საკომუნიკაციო აპარატურით აღჭურვილ ასიათასობით ბურთს გაუშვებენ. ატმოსფეროს ზედა ფენებში ბურთები ჰაერის სტაბილური ნაკადის მეშვეობით იმოძრავებს, მათი სიმაღლის ცვლილებას კი მართვის ერთიანი სისტემა გააკონტროლებს. „გუგლის“ სწავლულები პირველ ექსპერიმენტს ავსტრალიაში ატარებენ. უახლოეს მომავალში ახალი ზელანდიის თავზე, საცდელად, რამდენიმე საჰაერო ბურთს გაუშვებენ. ექსპერიმენტის წარმატების შემთხვევაში, სპეციალისტები პროექტის შემდგომ განვითარებასა და მის ფინანსურ მხარეზეც იმსჯელებენ.





# ცათამბჯენში ფეხით ადიან

ფული ყოველთვის ვერ აგვარებს საყოფაცხოვრებო პრობლემებს. სწორედ ასე დაემართათ დუბაიში, ელიტური კომპლექსის Princess Tower მცხოვრებლებს — უკვე რამდენიმე დღეა, ცათამბჯენში ლიფტი არ მუშაობს და მდიდრული აპარტამენტების ბინადრები იძულებულნი არიან, კიბის საშუალებით გადაადგილდნენ, შენობა კი 107-სართულიანია. ორი დღის წინ მცხოვრებლებს, როგორც იქნა, სატვირთო ლიფტი შეუკეთეს, მაგრამ ის მხოლოდ 50-ე სართულამდე ადის. სხვა ლიფტების ასამუშავებლად კი ინჟინრები ფინეთიდან ელოდებიან იშვიათ სათადარიგო ნაწილებს. თუმცა, ზოგიერთმა გამოსავალი მაინც მონახა და გადაწყვიტა, საკუთარი კომფორტი ყველაფერზე მაღლა დაეყენებინა — ვიდრე ლიფტს შეაკეთებენ, მათ სასტუმროში იქირავეს ნომრები. მშენებლებმა Princess Tower პატრონებს შარშან ჩააბარეს, კორპუსში თითქმის 800 ბინაა და ყოველი მათგანის ფასი რამდენიმე მილიონი დოლარია.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | | 2 | | | 8 | 7 | |
| | | | | 4 | 7 | 1 | | |
| | 9 | | | | | | 5 | |
| | | 4 | | 5 | | 3 | | |
| | 8 | 9 | | | | 6 | 2 | |
| | | 2 | | 3 | | 4 | | |
| | 7 | | | | | | 8 | |
| | | 8 | 7 | 2 | | | | |
| | 6 | 1 | | | 5 | | | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | 5 | 3 | 1 | |
| | 2 | | 9 | | | | | |
| | | | | 1 | | 8 | | |
| 2 | 5 | | | | | | 3 | |
| | 1 | 4 | | | | 5 | 2 | |
| | 6 | | | | | | 9 | 8 |
| | | 5 | | 8 | | | | |
| | | | | | 3 | | 6 | |
| | 3 | 9 | 4 | | 2 | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | |
| 3 | 9 | 8 | | | 5 | | 2 | |
| 5 | | | 8 | | 2 | 9 | 3 | 6 |
| | 8 | 2 | | | | | 5 | 4 |
| | | | | | | | | |
| 9 | 5 | | | | | 2 | 1 | |
| 8 | 2 | 1 | 4 | | 7 | | | 3 |
| | 4 | | 3 | | | 1 | 8 | 2 |
| | | | | | | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | | | 4 | 9 | | | 5 |
| | | | | | | | 9 | |
| | | 3 | | | 8 | | | |
| 3 | | | 2 | | 6 | 4 | | |
| | | 9 | | 8 | | 7 | | |
| | | 2 | 7 | | 1 | | | 9 |
| | | | 8 | | | 6 | | |
| | 7 | | | | | | | |
| 5 | | | 1 | 6 | | | 3 | 7 |

## სკანვორდი




1. ყველიანი ჰამბურგერი
2. საზაფხულო ცირკი მოძრავი კარვით
3. თარაშ ემხვარის ცხენი
4. საფრანგეთის დედაქალაქი
5. დუელში ლერმონტოვის მკვლელი
6. ნიგვზით შეზავებული ბოსტნეული
7. ამერ. კალათბურთ
8. ქლიავის ჯიში
9. ხელოვნური საერთაშორისო ენა
10. პატარა ტყე მინდორში
11. ამერ. როკვოკალისტი ... პოპი
12. იტალიის საფეხბურთო კლუბი
13. ირანის ვალუტა
14. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი
15. თაგვის „ბინა“
16. ლატვიის დედაქალაქი
17. დაბა ქარელის რაიონში
18. ღია მსუბუქი ავტომობილი
19. თივის დიდი გროვა
20. მდინარე ავსტრიაში
21. შლამის თევზი
22. უზბეკი პოეტი ალიშერ ...
23. რაჭის უდიდესი ქალაქი
24. ფსიქიური აშლილობის ფორმა
25. დიდი ზომის ღამის თუთიყუში
26. ერთ-ერთი სახარების ავტორი
27. რომის იმპერატორი
28. ცისარტყელას ერთ-ერთი ფერი
29. ქართ. ანბანის პირველი ასო
30. მოდელიორი ...-სენ ლორანი
31. იტალიელი ფერმწერი
32. უმაღ. კვალიფიკ. მოჭადრაკის წოდებულება
33. ნიუ-იორკის შტატის დედაქალაქი
34. ადიღეს რესპუბლიკის დედაქალაქი
35. ბავშვის დასაძინებელი სიმღერა
36. კუდიანი ვარსკვლავი
37. მეწაღე „მარადისობის კანონში“
38. ჭიდაობ. ილეთი
39. ინდიელთა ტომი
40. ბასკ ტერორისთა ორგანიზაცია
41. საჭმელი სოკოს სახეობა
42. ფრანგი მსახიობი ანუკ ...
43. ინკვიზიციის უმცროსი მსახური
44. ბალი ძველ ქართულში
45. უდიდესი რუსი ხატმწერი
46. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი
47. ოპერა „...ჟუანი“
48. კამჩის ნაშიერი
49. მადრიდის მუზეუმი
50. მდინარე იტალიაში
51. უსამა ... ლადენი
52. ქვეყანა აფრიკაში
53. მუსლიმანთა „წმინდა ომი“ არამუსლიმანების წინააღმდეგ
54. იაპონელი მწერალი ... კობო
55. ინგლ. სიგრძის საზომი ერთეული
56. მდინარე აზიაში
57. უეცარი შიშით გამოწვეული საერთო მღელვარება
58. მიანმას ფულის ერთეული
59. ვიეტნამის დედაქალაქი
60. წყლის გრაციოზული ფრინველი
61. ძალიან ბრაზიანი, აშარი
62. აბელის და კაენის დედა
63. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
64. ჯავშნიანი რეპტილია
65. თარჯიმანი აღმოსავლეთის ქვეყნებში
66. ინგლ. მუსიკოსი კრის ...
67. აშშ-ის შტატი

## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 5 | 7 | 4 | 6 | 8 | 1 | 9 |
| 1 | 9 | 8 | 5 | 3 | 2 | 6 | 7 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 1 | 9 | 8 | 5 | 2 | 3 |
| 8 | 7 | 9 | 6 | 2 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 4 | 5 | 2 | 3 | 1 | 9 | 7 | 6 | 8 |
| 6 | 1 | 3 | 4 | 8 | 7 | 2 | 9 | 5 |
| 5 | 4 | 1 | 2 | 7 | 3 | 9 | 8 | 6 |
| 3 | 8 | 7 | 9 | 6 | 4 | 1 | 5 | 2 |
| 9 | 2 | 6 | 8 | 5 | 1 | 3 | 4 | 7 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 6 | 8 | 5 | 7 | 2 | 4 | 1 |
| 4 | 1 | 2 | 3 | 9 | 6 | 5 | 8 | 7 |
| 8 | 7 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 3 | 6 |
| 5 | 2 | 1 | 7 | 6 | 4 | 3 | 9 | 8 |
| 3 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 6 | 7 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 9 | 8 | 3 | 1 | 2 | 5 |
| 6 | 8 | 3 | 5 | 7 | 9 | 4 | 1 | 2 |
| 2 | 5 | 9 | 1 | 4 | 8 | 7 | 6 | 3 |
| 1 | 4 | 7 | 6 | 3 | 2 | 8 | 5 | 9 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 3 | 8 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 |
| 4 | 2 | 1 | 6 | 3 | 9 | 5 | 8 | 7 |
| 9 | 8 | 5 | 2 | 1 | 7 | 3 | 6 | 4 |
| 3 | 1 | 2 | 9 | 8 | 5 | 4 | 7 | 6 |
| 8 | 9 | 7 | 4 | 6 | 3 | 1 | 5 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 1 | 7 | 2 | 9 | 3 | 8 |
| 5 | 3 | 9 | 7 | 4 | 6 | 8 | 2 | 1 |
| 2 | 7 | 8 | 5 | 9 | 1 | 6 | 4 | 3 |
| 1 | 4 | 6 | 3 | 2 | 8 | 7 | 9 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 3 | 2 | 8 | 6 | 5 | 9 | 4 |
| 2 | 9 | 4 | 5 | 7 | 3 | 1 | 8 | 6 |
| 6 | 5 | 8 | 4 | 9 | 1 | 3 | 2 | 7 |
| 9 | 6 | 7 | 3 | 5 | 8 | 4 | 1 | 2 |
| 8 | 2 | 1 | 9 | 6 | 4 | 7 | 5 | 3 |
| 4 | 3 | 5 | 1 | 2 | 7 | 9 | 6 | 8 |
| 7 | 8 | 9 | 6 | 3 | 5 | 2 | 4 | 1 |
| 3 | 4 | 2 | 8 | 1 | 9 | 6 | 7 | 5 |
| 5 | 1 | 6 | 7 | 4 | 2 | 8 | 3 | 9 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 4 | 8 | 9 | 6 | 7 | 1 | 5 |
| 7 | 1 | 6 | 3 | 5 | 4 | 2 | 8 | 9 |
| 9 | 8 | 5 | 2 | 1 | 7 | 3 | 6 | 4 |
| 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 7 | 3 | 4 | 2 | 1 | 9 | 5 | 8 |
| 5 | 4 | 2 | 9 | 3 | 8 | 1 | 7 | 6 |
| 4 | 3 | 1 | 6 | 8 | 9 | 5 | 2 | 7 |
| 2 | 6 | 7 | 5 | 4 | 3 | 8 | 9 | 1 |
| 8 | 5 | 9 | 1 | 7 | 2 | 6 | 4 | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | 7 | 5 | 3 | 2 | 6 | 1 | 9 |
| 9 | 3 | 5 | 6 | 1 | 4 | 2 | 8 | 7 |
| 1 | 2 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 3 | 4 |
| 4 | 1 | 2 | 3 | 7 | 9 | 8 | 6 | 5 |
| 5 | 9 | 3 | 8 | 6 | 1 | 7 | 4 | 2 |
| 7 | 6 | 8 | 4 | 2 | 5 | 1 | 9 | 3 |
| 3 | 8 | 4 | 7 | 5 | 6 | 9 | 2 | 1 |
| 6 | 5 | 1 | 2 | 9 | 3 | 4 | 7 | 8 |
| 2 | 7 | 9 | 1 | 4 | 8 | 3 | 5 | 6 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 9 | 6 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 |
| 5 | 6 | 2 | 4 | 7 | 1 | 9 | 8 | 3 |
| 4 | 1 | 3 | 8 | 2 | 9 | 7 | 6 | 5 |
| 9 | 5 | 7 | 3 | 6 | 4 | 8 | 1 | 2 |
| 3 | 2 | 8 | 7 | 1 | 5 | 6 | 4 | 9 |
| 6 | 4 | 1 | 2 | 9 | 8 | 5 | 3 | 7 |
| 2 | 9 | 6 | 1 | 4 | 7 | 3 | 5 | 8 |
| 1 | 3 | 5 | 9 | 8 | 6 | 2 | 7 | 4 |
| 7 | 8 | 4 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 6 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 7 | 4 | 3 | 1 | 9 | 6 | 8 | 5 | 2 |
| 2 | 1 | 9 | 5 | 7 | 8 | 4 | 3 | 6 |
| 6 | 7 | 5 | 3 | 1 | 4 | 2 | 8 | 9 |
| 4 | 9 | 2 | 8 | 6 | 7 | 3 | 1 | 5 |
| 3 | 8 | 1 | 2 | 5 | 9 | 6 | 7 | 4 |
| 5 | 6 | 8 | 9 | 4 | 1 | 7 | 2 | 3 |
| 1 | 3 | 4 | 7 | 2 | 5 | 9 | 6 | 8 |
| 9 | 2 | 7 | 6 | 8 | 3 | 5 | 4 | 1 |

მე-13 გვერდი: 1. როსინანტი; 2. მორფოლოგია; 3. რაფინადი; 4. სირაქლემა; 5. ნაზიბროლა; 6. ნაირა; 7. რეკვიზიტი; 8. ობსიდიანი; 9. ოტია; 10. ინგა; 11. აფორიზმი; 12. აირის; 13. ქანი; 14. იბლისი; 15. კასტინგი; 16. აზგარდი; 17. სკაიპი; 18. აჯასპი; 19. ბია; 20. ურდუ; 21. ჯაკუზი; 22. ოოციტი; 23. ბროლია; 24. იუდა; 25. ერდო; 26. არგანი; 27. ლი; 28. მიიო; 29. ელი; 30. ისააკი; 31. ნადი; 32. პოპური; 33. სამასი; 34. სე; 35. ბაკარა; 36. სეკვოია; 37. აბრაუ; 38. ტრანსი; 39. ტატამი; 40. ტაბუ; 41. მამული; 42. მული; 43. ბის; 44. ოდერი; 45. ომარ; 46. ასო; 47. ადამ; 48. დისკო; 49. ვაიო; 50. „ოდოია“; 51. ინო; 52. ადის; 53. ურანი; 54. კუ; 55. მარადონა; 56. მეტ; 57. მინა; 58. მაკლები; 59. კიი; 60. ბუა; 61. ბმო; 62. ერა; 63. უმი; 64. სად; 65. სოს; 66. კატო; 67. კირა; 68. და.

მე-16 გვერდი: 1. ბარიბალი; 2. ატენი; 3. ითაკა; 4. ამური; 5. გარდენია; 6. აბვერი; 7. დიახ; 8. ნეორეალიზმი; 9. ფელამუში; 10. როზეტი; 11. მახარაძე; 12. დევი; 13. ავგაროზი; 14. ოლარი; 15. ოგიგია; 16. „ავეო“; 17. ური; 18. პირამიდა; 19. ბეზუხოვი; 20. უტამარო; 21. ოლე; 22. ალიბი; 23. ზრო; 24. აგული; 25. ჩალმა; 26. არილი; 27. ბატიკა; 28. „მეტალიკა“; 29. ჩოგბურთი; 30. აარე; 31. ტარიგი; 32. ადლი; 33. „კლიმა“; 34. ერატო; 35. ვაგონი; 36. არისა; 37. იუტნი; 38. კრინი; 39. იკი; 40. ბახალა; 41. გეა; 42. დეზი; 43. ლომე; 44. აძურა; 45. ანა; 46. ხვალ; 47. ერგი; 48. მაუ; 49. ათი; 50. ტურ; 51. რეი; 52. პიეტა; 53. იფი; 54. ფორა; 55. ამორელი; 56. მუნ; 57. ლილუ; 58. თუთუნი; 59. ეკი; 60. პელოტა; 61. ძნა; 62. ილი; 63. მეტისი; 64. სანგარი; 65. აგა; 66. რა.



# ჰოროსკოპი

## 25 ივნისი

**ვერძი** — აქტიური და ენერგიული დღე გელით. საშუალება მოგეცემათ, კარიერაში მწვერვალები დაიპყროთ, მხოლოდ საქმიანი სფერო მკვეთრად გამიჯნეთ სხვა საქმეებისგან და ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ.

**კურო** — შესაფერისი დღეა საკუთარ თავზე სამუშაოდ, მით უმეტეს, თუ მუსიკით, ხელოვნებით დაკავდებით, მოდის სიახლეებითა და ხალხური ტრადიციებით დაინტერესდებით. საკუთარი ძალები ჯეროვნად შეაფასეთ და უკიდურესობებს მაქსიმალურად აარიდეთ თავი.

**ტყუპები** — დღის განმავლობაში რთული საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს. არ არის გამორიცხული დამატებითი ფინანსური ხარჯი, სამაგიეროდ, ოჯახის წევრები გმაყოფილები დარჩებიან. სამსახურშიც იზრდება თქვენი ავტორიტეტი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. პირად ცხოვრებაში კი რადიკალური ნაბიჯებისგან თავი შეიკავეთ.

**კირჩხიბი** — დღეს გაცილებით სერიოზულად ხართ განწყობილი. საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებით და იზრდება თქვენი ინტერესი ფილოსოფიისა და რელიგიის მიმართ. ადვილად იჩენთ ახალ ნაცნობებს. შესაძლოა, მცირე ფინანსური დანაკარგი ან საქმიანი გარიგება.

**ლომი** — დღეს რთული საქმეებით დაკავება მოგიწევთ, რასაც ბოლომდე მიიყვანთ, მაგრამ ამისთვის დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. სიხარულს ვერც კი იგრძნობთ, ისე დაიქანცებით. დღის მეორე ნახევარი სასურველია, მშვიდ ვითარებაში დასვენებას დაუთმოთ.

**ქალწული** — რთული დღეა, შესაძლოა, ფინანსური პრობლემები გაჩნდეს და მოგიწევთ ხარჯების შემცირებაც, თუმცა მალე, მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება. დღეს დადებული გარიგებები შემოსავალს მოგიტანთ. კარგი დღეა ოჯახური საქმეებისთვისაც.

**სასწორი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად. მზად ხართ, დაეხმაროთ მათ, ვინც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

**ღრიანკალი** — დღეს შესაშურ გამბედაობას ავლენთ. მისი წყალობით მოაგვარებთ საქმეებს, რასაც თქვენი კოლეგები ვერ ახერხებენ. კარგი დღეა ახალი იდეების რეალიზაციისთვის, სასარგებლოა ურთიერთობა გავლენიან ადამიანებთან, არის შანსი, ძლიერი მფარველი გაიჩინოთ.

**მშვილდოსანი** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები მშვიდ დღეს ჰპირდებიან. შესაძლოა, საქმე გადაგღალოთ, მაგრამ ამის გამო წარმატებას ხელს ნუ ჰკრავთ. დრო ოჯახის წევრებსაც დაუთმეთ, განსაკუთრებით პატარებს, მათ თქვენი ყურადღება ძალიან სჭირდებათ.

**თხის რქა** — დღეს ენერგეტიკული პალიტრა საკმაოდ ჭრელია. თავი შეიკავეთ მკვეთრი შეფასებებისგან, განსაკუთრებულ პრეტენზიებს ნუ გამოავლენთ გარშემომყოფებისადმი. კარგი დღეა მნიშვნელოვანი შეხვედრებისა და ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმებისთვის.

**მერწყული** — თუ გინდათ, ხვალინდელ დღეს ღიმილით შეხვდეთ, დღევანდელის მადლიერი იყავით. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — ხელსაყრელი წინადადება თავად გიპოვით, მხოლოდ ამისთვის ცოტა მოთმინებაა საჭირო, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გარკვევას ნუ შეეცდებით, ამისთვის შესაფერისი დრო ნამდვილად არ არის.

**თევზები** — თქვენი ნიშნის სტიქია — წყალი საქმეში აუჩქარებლობისკენ მოგიწოდებთ, ამიტომ ნაკლებად გამოამჟღავნეთ გრძნობები და ემოციები. ნურც პირად ცხოვრებას დაივიწყებთ.



## ბაღში ვარცხნილობის გამო არ დაუშვეს

აშშ-ს ოჰაიოს შტატში მცხოვრები 5 წლის ითან კლოსი საბავშვო ბაღში მისი ორიგინალური — იროკეზის ვარცხნილობის გამო არ დაუშვეს. როგორც საოლქო განათლების სამმართველოს წარმომადგენელი აცხადებს, ასეთი ვარცხნილობა საბავშვო ბაღის სიმყუდროვეს დაარღვევდა და ბავშვების ყურადღებას მეცადინეობიდან მასზე გადაიტანდა, ამიტომ ბიჭის მშობლებს განუცხადეს, რომ ბავშვი ბაღში მანამდე ვერ ივლის, ვიდრე მისი თმა ნორმალურ ფორმას არ მიიღებს. ითანის დედის განცხადებით, ბიჭმა თავად მოისურვა თმის ასე შეჭრა, რადგან ფიქრობდა, რომ მეგობრების ყურადღებას მიიქცევდა. ასეც მოხდა, ბავშვებს ძალიანაც მოეწონათ მისი ახალი ვარცხნილობა, მაგრამ ითანი, ჯერჯერობით, საბავშვო ბაღში ველარ ივლის.



## ნაოჭების საწინააღმდეგო ბალიში შექმნეს

მეცნიერებმა, სპილენძის ჟანგის საფუძველზე, ახალი ბალიში შეიმუშავეს, რომელიც ძილის შემდეგ სახეზე არანაირ ნაოჭსა და ნასახს არ დაგიტოვებთ, პირიქით, თუ ნაოჭები გაქვთ, გაასწორებს. ახალი ბალიშის კლინიკური გამოცდა 57 მოხალისეზე მოეწყო. ოთხი კვირის განმავლობაში, ზოგიერთ მათგანს ამ „სასწაულმოქმედ“ ბალიშზე ეძინა, რომელიც სტანდარტულისგან არაფრით განსხვავდება, ნაწილს კი — ჩვეულებრივ ბალიშზე. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ მოხალისეთა უმრავლესობას, კვლევის შემდეგ გაცილებით ნაკლები ნაოჭი დარჩა. ბალიშების მწარმოებელ კომპანიაში Cupron აცხადებენ, რომ ეს ფანტასტიკური აღმოჩენაა. ქსოვილი, რომლისგანაც ახალი ბალიშებია შეკერილი, ყველა ნაოჭზე მოქმედებს, შედარებით თხელს კი საერთოდაც აქრობს. ავტორების ვარაუდით, ადამიანის კანი ბალიშის ქსოვილიდან სპილენძის იონებს გამოათავისუფლებს, რაც სასიკეთო გავლენას ახდენს კოლაგენის გამომუშავებაზე. აშშ-ში ეს „სასწაულმოქმედი“ ბალიშები უკვე ათასობით გაიყიდა და მისი ფასი, დაახლოებით, 35 დოლარია.

## ექვიანობა ავადმყოფობად აღიარეს



იტალიელმა სწავლულებმა პიზის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ ექვიანობა პათოლოგიაა და ასეთი ქცევა, რომელიც პარტნიორისადმი ზიანის მიყენებაში გამოიხატება, თავის ტვინის ერთ-ერთი უბნის ზედმეტად აგზნებული მდგომარეობის შედეგია. მეცნიერთა მოსაზრებით, ექვიანობის მკურნალობა შეიძლება და აუცილებელიცაა. ფსიქიატრიისა და ნევროლოგიის განყოფილების სპეციალისტებმა ამ პათოლოგიას უკვე უწოდეს „ოტელოს სინდრომი“, რომლის დროსაც ჭარბი რაოდენობით დოპამინი გამოიყოფა. იტალიელი სწავლულები დარწმუნებულნი არიან, რომ ექვიანების გამოვლენა მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მეშვეობით შეიძლება, შემდეგ კი მათ, დაავადების აღსაკვეთად, მკურნალობის მედიკამენტოზური კურსი უნდა გაიარონ.

## პლასტმასის ჭურჭელი თირკმელში კენჭებს აჩენს

მეცნიერები საფრთხეზე ალაპარაკდნენ: პლასტმასის ჭურჭლის გამოყენებისას იზრდება შანსი, ადამიანს თირკმელში კენჭები დაუგროვდეს. პლასტმასის ჭურჭელზე მოთავსებული ცხელი საკვები რეაქციაში შედის და გამოიყოფა მელანინი. ამ ნივთიერების ჭარბი რაოდენობა კი ორგანიზმში კენჭების წარმოქმნას იწვევს. ტაივანელმა მეცნიერებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომელშიც მოხალისეთა ორი ჯგუფი მონაწილეობდა. ერთი ნაწილი პლასტმასის ჭურჭლიდან იკვებებოდა, მეორე — კერამიკული ნაწარმიდან. ორივე ჯგუფის მონაწილეთა შარდის ანალიზმა აჩვენა, რომ საკვების მიღებიდან 12 საათის შემდეგ, პირველი ჯგუფის წევრებში მელანინის რაოდენობა, დაახლოებით, 8,35 მიკროგრამი იყო, მეორე ჯგუფში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1,3 მიკროგრამს შეადგენდა.



# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 5 | | | | | |
| | | | 3 | | | 1 | 9 | |
| | | 8 | | | 6 | 5 | 7 | |
| | | | | | 3 | | 6 | 7 |
| 8 | 6 | | | | | | 3 | 9 |
| 7 | 4 | | 6 | | | | | |
| | 8 | 5 | 9 | | | 3 | | |
| | 1 | 7 | | | 4 | | | |
| | | | | | 5 | | | 4 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | | 8 | 1 | 7 | | |
| | | | 5 | | 4 | 3 | | 1 |
| | | | | | 7 | | | 9 |
| 3 | | 8 | | | | | 5 | |
| 2 | | | | | | | | 6 |
| | 6 | | | | | 4 | | 3 |
| 7 | | | 6 | | | | | |
| 9 | | 4 | 8 | | 5 | | | |
| | | 2 | 7 | 4 | | | 3 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | | 5 | | | | |
| 2 | 3 | | | 4 | | | | 5 |
| 6 | | 4 | 3 | | | | | |
| | | 2 | 9 | | | | 8 | 1 |
| | | 6 | 5 | | 4 | 2 | | |
| 8 | 7 | | | | 1 | 6 | | |
| | | | | | 3 | 4 | | 7 |
| 7 | | | | 9 | | | 3 | 6 |
| | | | | 6 | | | | 8 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | | | | | |
| | | | 2 | 1 | 8 | | | |
| 7 | | 9 | | | | 3 | | |
| | 5 | 2 | 4 | | | | | 7 |
| 4 | | | 7 | | 6 | | | 3 |
| 3 | | | | | 5 | 4 | 6 | |
| | | 4 | | | | 8 | | 9 |
| | | | 8 | 6 | 1 | | | |
| | | | | | | | 5 | |

# ყველაზე ძვირი პასტა მოამზადეს

ნიუ იორკში, მანჰეტენზე მდებარე იტალიურმა რესტორანმა Bice გადაწყვიტა, 25 წლის იუბილე უჩვეულოდ აღენიშნა. დაწესებულებამ კლიენტებს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული პასტა შესთავაზა, რომლის ღირებულებაც 2 ათასი დოლარია. კერძის შემადგენლობაში შედის ხელით მომზადებული მაკარონი (პასტა) ტალიოლინი, ტყის სოკო, ერთი კილოგრამი ასთაკვის (ომარი) ხორცი, რომელიც აშშ-ს მენის შტატშია დაჭერილი და 30 გრამი შავი ტრიუფელი. რესტორნის შეფ-მზარეულის განცხადებით, კერძს განსაკუთრებულ პიკანტურობას ჰმატებს ოქროსფერი ლანგარი, რომლითაც ის მიაქვთ კლიენტთან — თავის დროზე, მისი ექსკლუზიური დიზაინი ცნობილმა მოდელიერმა ჯანი ვერსაჩემ სპეციალურად ამ რესტორნისთვის შექმნა. ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ამ ძვირადღირებულ კერძს შეუკვეთავს, სადილის შემდეგ შეუძლია Bice-სა და Versace-ს ლოგოტიპიანი თეფში სახლში წაიღოს. სულ ასეთი 800 ცალია დამზადებული. შეფ-მზარეულის თქმით, რესტორანი 45-ს უკვე დაემშვიდობა.



# ყველაზე უცნაური სასმელი









უცნაურ სასმელთა უმრავლესობა იაპონიიდანაა:

Bilk — სახელიც მიგანიშნებთ, რომ სასმელი ლუდისა და რძის „შეერთებით“ წარმოიშვა, რომელშიც პროპორციები ასეთია — 7:3. სასმელის მწარმოებელი კომპანია Abashiri Beer იმედოვნებდა, რომ ეს სიახლე დიდ ყურადღებას სუსტი სქესის წარმომადგენლებისგან დაიმსახურებდა. ამიტომაც, გარდა რძისა, სასმელში ხილის წვენიც დაუმატეს. იდეის დაბადებას იმან შეუწყო ხელი, რომ ავტორმა, რომელიც მეცხოველეობაში მუშაობდა, ძალიან განიცადა, როცა 2006 წელს რძეზე დაბალი მოთხოვნილების გამო, პროდუქტის გადაღვრა მოუწია. გარდა ფერმისა, Bilk-ის ავტორი სპირტიანი სასმელის მაღაზიაშიც მუშაობდა და ამ „სასიკეთო“ ნიადაგზე წარმოიშვა ასეთი უცნაური იდეა.

Placenta 400000 — რას არ გააკეთებენ ქალები, ოღონდ კი სილამაზე შეინარჩუნონ, კომპანია Nihon Shokuten-მა კი ამით ისარგებლა და პროდუქტთა მთელი სერია გამოუშვა ღორის პლაცენტით, რომელიც, თითქოსდა, ორგანიზმს ახალგაზრდავებს. ამ სერიის შემადგენლობაშია სასმელი Placenta 400000.

Fanta Furufuru Shaker — „კოკა-კოლას“ იაპონურმა განყოფილებამ ჟელესმაგვარი ფანტა გამოუშვა, რომელიც იაპონელ ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. „კოკა-კოლას“ მარკეტოლოგებმა მოზარდი თაობისთვის სასმელის მოხმარების პროცესს თამაშის ელემენტიც დაუმატეს. ამ გაზიან სასმელში ბუშტუკები რომ გამოჩნდეს, ქილა უნდა შეანჯღრიოთ.

Unagi Nobori soda — ვინც პერიოდულად სტუმრობს იაპონურ რესტორანს, მან სიტყვა „უნაგის“ მნიშვნელობაც იცის: ეს გველთევზაა. იაპონელები დიდ პატივს სცემენ ამ თევზს და ეს თაყვანისცემა იქამდე მივიდა, რომ ბაზარზე გამოჩნდა ახალი ენერგეტიკული სასმელი გველთევზას ექსტრაქტით. იაპონური ტრადიციის მიხედვით, ამ თევზის მირთმევა ადამიანს ძალებს მატებს, ზაფხულის ხვატი რომ ადვილად გადაიტანოს. სასმელი, რომელშიც ხუთი ვიტამინია დამატებული, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ერთადერთი, რამაც შეიძლება შეშფოთება გამოიწვიოს, Unagi Nobori soda-ს მწარმოებელი კომპანია Japan Tobacco-ა, რომელიც ჯანსაღ პროდუქტთან ნამდვილად არ ასოცირდება.

Okkikunare — მანდილოსნების სილამაზეზე თუ განვაგრძობთ საუბარს, აქ კიდევ ერთი უჩვეულო სასმელი Okkikunare უნდა გავიხსენოთ, რაც იაპონურ ენაზე ნიშნავს „გაზარდე ისინი“. სითხე, როგორც რეკლამაშია ნათქვამი, ხელს უწყობს ბიუსტის ზრდას და მას ვაშლის, ატმის, მანგოს გემო აქვს. სასმელი მეტად პოპულარულია ამომავალი მზის ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, მოზარდ გოგონებში. მისმა მწარმოებელმა კომპანია Welcia-მ შემადგენლობაში სპეციალური ინგრედიენტიც ჩართო — arouruti (სხვადასხვა მცენარის ფესვებისგან მიღებული ფქვილი), რომელიც ქალის ჰორმონალურ სისტემას აბალანსებს. გარდა ამისა, მკერდის ზრდისთვის ცხიმიცაა საჭირო, ამიტომაც სასმელს სიმინდის სიროფიც დაუმატეს, რომელიც მშვენივრად გარდაიქმნება ცხიმოვან ქსოვილად.

# მოსწავლე მამა გახდა

ახალ ზელანდიაში, 12 წლის მოსწავლე ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა მამა გახდა. ბავშვი ბიჭს მისივე თანაკლასელის დედამ „აჩუქა“. როგორც სკოლის დირექტორი აცხადებს, ამ ურთიერთობის შესახებ შარშან შეიტყო. მომავალი მამა, რომელიც მაშინ 11 წლის იყო, დირექტორს დახმარებას სთხოვდა, რადგან უფროს პარტნიორთან ურთიერთობა აღარ უნდოდა, მაგრამ არ იცოდა, ეს როგორ მოეხერხებინა. როგორც გაირკვა, ერთ-ერთი შატალოს დროს, ბიჭმა დღე თანაკლასელსა და მის დედასთან ერთად გაატარა. ქალმა ბავშვს ჯერ ლუდი შესთავაზა, მერე კი აცდუნა. ეს ურთიერთობა რამდენიმე თვე გრძელდებოდა. ბავშვის გაჩენის შემდეგ, ახალდაბადებული დედას ჩამოართვეს და სოციალურ სამსახურს გადასცეს. ახალი ზელანდიის კანონმდებლობით, ქალების მიერ არასრულწლოვანთა გარყვნა დასჯადი არ არის, მაგრამ ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ ქვეყნის იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ არსებული კანონი გადასახედია.





1. ორკუზიანი აქლემი
2. საზღვაო აკადემიის კურსანტი ძვ.რუსეთში
3. ილია ჭავჭავაძის პოემა
4. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი
5. საკონდიტრო ნაწარმი
6. ერთეულოვანი ვექტორი
7. ღამის ანტონიმი
8. ოდისევსის შვილის აღმზრდელი
9. ცხენების ჯოგი
10. ეკლიანი ბალახი
11. დიდი იტალიელი არქიტექტორი
12. იგავისებურად ნათქვამი სიტყვა
13. ტროას მეორე სახელწოდება
14. მაგარი და მომწარო შავი ლუდი
15. ინდოელი მოჭადრაკე
16. ელინებს ეპითეტი ბერძნულ მითოლოგ.
17. გარეული ღორი
18. მართლად წოდებული იბერიის მეფე
19. მრავალხმიანობა
20. უნგრელი პოეტი ... პეტეფი
21. ჯუჯა კამეჩი
22. ქართ. ფილმი
23. იგივე ქაშანური
24. კაბის გრძელი უკანა კალთა
25. ათენის საფეხბურთო კლუბი
26. (ძვ) ერთად თავმოყრილი ქალები ლხინში
27. ქართვ. კალათბურთელი
28. ალპინისტი ... გიგანი
29. წყალქვეშა კლდე
30. პირველი ქართველი ქრისტიანი დედოფალი
31. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
32. შუა აზიელთა ქეჩის კარავი
33. მდინარის ლამიანი დანალექი
34. სვეტებიანი გალერეა
35. ყაზახეთის ფულის ერთეული
36. ძვ. ფრანგული სიგრძის ერთეული
37. ხევისბერი გოჩას ვაჟი
38. მსახიობის მიერ განსახიერებ. სახე
39. მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში
40. პატარა სარკინიგზო ვაგონი
41. სიგრძის საზომი ერთეული ინგლისში
42. ქართული ანბანის მე-17 ასო
43. მეფე ლირის ერთ-ერთი ასული
44. ამერ. პოლიტიკოსი კონდოლიზა ...
45. აშშ-ის შტატი
46. უდანაშ. საბუთი
47. ინდური კობრა
48. მაგარი ქანი
49. ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
50. ფეხბურთელის ფეხსაცმელი
51. მდინარე ციმბირში
52. მზის შუქი, რამეზე დამდგარი
53. „12 სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
54. ბერძნული ანბანის ასო
55. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
56. მუსიკ. გამის IV ნოტი
57. ჭადრაკის საერთაშორ. ფედერაცია
58. ფაფა – ბავშვის ენაზე
59. მოედანი თეატრალური წარმოდგენისთვის
60. წამლის ბურთულა
61. დათა თუთაშხიას და
62. აზერბაიჯანში უმცროსი ძმის ქორწინების წესი უფროსი ძმის ქვრივზე
63. წვრილი ნაკეცები წსოვილზე
64. ებრაელის ბიბლიური სახელწოდება
65. რუსეთის დომენი ინტერნეტში
66. ბაშკირეთის დედაქალაქი

# შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

# მფრინავი ველოსიპედი შექმნეს

ეს უჩვეულო სატრანსპორტო საშუალება ჩეხმა გამომგონებლებმა შექმნეს. მფრინავი ველოსიპედი პრაღის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში წარადგინეს. დისტანციურად მართვადი ველოსიპედი ჰაერში 5 წუთს ტრიალებდა, თუმცა ამ გამოგონებით, ჯერჯერობით, ადამიანის ნაცვლად, მხოლოდ მანეკენმა იფრინა. ახალი მფრინავი საშუალება მთის ველოსიპედს წააგავს, 5 კილოგრამს იწონის და მასზე 6 საჰაერო ხრახნია დამაგრებული. როგორც ჩეხი სწავლულები გვპირდებიან, წლის ბოლოსთვის ასეთ საფრენაპარატებს მგზავრებისთვისაც გამოუშვებენ. ჯერჯერობით კი, მათი ამოცანა ველოსიპედის ელემენტის გაძლიერებაა.



ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.